ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

26 აპრილიდან
„ახალი თაობის“
სააღდგომო საჩუქარი
ახალ თაობას!
საყმაწვილო ბიბლიოთეკის
8 ტომეული
ძალიან დაბალ ფასად! წიგნი
და გაზეთი ერთად 2 ლარი!



ხუთშაბათი, 5 მაისი, 2011 №105 (5486) ფასი: 30 თეთრი

# ხელისუფლება ოპოზიციის ლიდერების ლიკვიდაციას გეგმავს?!



გვ.2

## სოსო შატბერაშვილი: სააკაშვილი ბრაიზასთან ერთად აზერბაიჯანში გადატრიალებას გეგმავს



გვ.3

## აჭარა საქართველო აღარ არის!

გვ.9



## პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლება 10.000 ლარი ღირს

გვ.10

ადვოკატ ტაბაღუას სკანდალური განცხადება



## აქციები თუ დაიწყება, სააკაშვილი დაარბევს

გვ.4



## სააკაშვილი იმ მამაოებს ებრძვის, რომლებიც აქციებს ესწრებოდნენ

გვ.6



## ბალათურიამ ნეპოტიზმი და ელიტური კორუფცია აღმოაჩინა

გვ.7



გვ.11

## საქართველომ დასავლეთთან ურთიერთობის გამო დაკარგა ორი თავისი ძირძველი ტერიტორია



## სამართალი ხელისუფლებამდე აუცილებლად მივა

გვ.5

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## ვასილ სანოძეს გადარჩენის პერსპექტივა აქვს

გვ.2





გვ.8

## რა მოიფიქრა რუსეთმა ვმო-ში გასაწევრიანებლად?

ISSN 1987-9385

**8** რუსეთი და საქართველო კომპრომისულ სქემებს ეძებენ

**7** აფხაზური ოპოზიცია რუსეთთან დაპირისპირებას ვერ გაბედავს

**3** ოპოზიციამ უკვე დაიგვიანა

**13** კვახაძე და რაზმაძე, მსაჯის გინების გამო, პოლიციამ დასაჯა!

# ვასილ სანოძეს გადარჩენის პერსპექტივა აქვს



შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს ვასილ სანოძეს გადარჩენის პერსპექტივა აქვს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ნეიროქირურგმა გრიგოლ ნანავამ, რომელმაც ვასილ სანოძეს ოპერაცია ჩაუტარა.

გრიგოლ ნანავას განცხადებით, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ოპერაციის შემდგომ გართულებებს, ვინაიდან ეს ტვინის ღია ჭრილობაა. ნეიროქირურგმა აღნიშნა, რომ სათანადო გამოკვლევების შემდეგ დადგინდა, რომ სანოძეს ჰქონდა გამჭოლი ჭრილობა მარჯვენა შუბლის საფეთქელში, რომელიც გამოსული იყო მარცხენა შუბლში.

— პაციენტი მძიმე მდგომარეობაში იყო შემოყვანილი, სუნთქვითი დარღვევით. მართვით სუნთქვაზე მოხდა მისი გადაყვანა. გამოკვლევების შემდეგ სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა. ოპერაციის დროს გართულებები და ექსცესი არ ყოფილა. ოპერაციის შემდეგ გაკეთდა კონტროლი და გამოიკვეთა, რომ ავადმყოფს გადარჩენის პერსპექტივა აქვს, — განაცხადა გრიგოლ ნანავამ.

მისივე განცხადებით, პაციენტის გადაყვანა ღუდუშაურის კლინიკიდან ისრაელში ღამის საათებში მოხდა. ოჯახმა გამოთქვა სურვილი, რომ პაციენტი საზღვარგარეთ გადაეყვანათ და შესაბამისი რჩევა ჰკითხეს ღუდუშაურის კლინიკის წარმომადგენლებს, რომლებმაც მათ პაციენტის ისრაელში გადაყვანა ურჩიეს, რადგან ამ ქვეყანას საშიში ჭრილობების მკურნალობის ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს.

**ინტერპრესნიუსი**

# ლეიბორისტული პარტია „სახალხო კრების“ საპროტესტო აქციებს სოლიდარობას უცხადებს

ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი იოსებ შატბერაშვილი „სახალხო კრებას“ 21 მაისიდან საპროტესტო აქციების დაწყების გამო სოლიდარობას უცხადებს.

როგორც შატბერაშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, ლეიბორისტები მოხარულები არიან, რომ სააკაშვილის ყოფილი თანაგუნდელები მათ პოზიციებზე გადავიდნენ.

— მივესალმებით „სახალხო კრების“, თუ ნებისმიერ პარტიის ქმედებას, ვინც მზად არის ებრძოლოს მიხეილ სააკაშვილის დიქტატურას ნებისმიერი ფორმით. მოხარული ვართ, რომ სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლები შემოგვიერთდნენ ჩვენ, რადგან ლეიბორისტები ამ ხელისუფლებას ჯერ კიდევ 2003 წლის 24 ნოემბრიდან ვებრძვით. სოლიდარობას ვუცხადებთ „სახალხო კრების ამ ნაბიჯს, — განაცხადა შატბერაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 21 მაისიდან ხელისუფლების შეცვლის მიზნით „სახალხო კრება“ საპროტესტო აქციებს იწყებს.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლება ოპოზიციის ლიდერების ლიკვიდაციას გეგმავს?!

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ გელა ნიკოლეიშვილთან



***— ბატონო გელა, სახალხო კრებამ მოქმედების დაწყების თარიღი გამოაცხადა, გაკეთდა შეფასებები, რომ თითქოს წინასწარ დაანონსებული თარიღები ყოველთვის იმედგაცრუებას იწვევს საზოგადოებაშიო, თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— რა გითხრათ, მეც ეგეთი ეჭვი გამაჩნია, თუმცა დიდი სურვილი მაქვს, რომ არანაირი იმედგაცრუება ამან არ გამოიწვიოს, მაგრამ გეთანხმებით, ეს საფრთხე არსებობს. ეს ყველაფერი მაინც ხალხზე და სახალხო კრების ორგანიზატორებზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებენ ისინი ხალხის მობილიზებას და რამდენად არის ეს რევოლუციური მუხტი იმ დონემდე მისული, რომ დუღილი ქვაბის სახურავის ახდით დამთავრდეს.

***— მათ კონკრეტული არაფერი უთქვამთ, უბრალოდ თქვეს, რომ ამ დღეს შეიკრიბებიან...***

— ალბათ, უნდა ჰქონდეთ სამოქმედო გეგმა, პრინციპში, ჩვენ ბევრი შეკრება და ბევრი დაშლა გვინახავს ამ შეკრების. კიდევ რომ არ მოხდეს იმედგაცრუება, ალბათ, უფრო მძლავრი ბერკეტები უნდა ჰქონდეთ, რომ ხელისუფლება რაღაცა ნაწილში დათმობებზე მაინც წამოიყვანონ თუ მთლიანად ხელისუფლების შეცვლას და გადადგომას ვერ მიაღწევენ, რაც ერთი შედეგით ძალიან ძნელად მიმაჩნია. კონკრეტული საკითხები მაინც უნდა დაათმობინონ, თუნდაც საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით, ან სასამართლოს გათავისუფლება ამ წნეხისგან, რაღაცა ნაწილში მაინც უნდა მოხდეს მიღწევა იმისა, რომ ხელისუფლებამ უკან დაიხიოს.

***— რამდენად იზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დღეს არეულობა და საპროტესტო მუხტი სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს?***

— ამას შედეგები გვიჩვენებს. საერთოდ ჭადრაკის თამაში ვინც იცის და ვისაც უყვარს ჭადრაკი, მან კარგად იცის, რომ შეიძლება მთელი პარტიის განმავლობაში უტევდეს ერთი მეტოქე, მაგრამ რაღაცა კონკრეტული კონტრშეტევის შედეგად მიიღოს შამათი. ყველაფერს გათვლა უნდა და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება იყო შეტევაზე, შეიძლება პარტია წაგებული გეგონოს მთლიანად და მოულოდნელად ისეთი სვლა მიიღო, რომ დაშამათებული აღმოჩნდე. ეგ ნონა გაფრინდაშვილზე უკეთ არავინ იცის და იმედია, რომ ამ სფეროშიც მისი გათვლები იქნება ისეთივე წარმატებული, როგორიც თავის დროზე იყო ჭადრაკში.

***— საზოგადოებისთვის პატივსაცემი ხალხია თავმოყრილი სახალხო კრებაში და იმედია, რომ ამჯერად მაინც არ გაუცრუვდება საზოგადოებას იმედები...***

— ამის შიში და საფრთხე, ისევე, როგორც ყველას, ვინც ოპოზიციურად არის განწყობილი ამ ხელისუფლების მიმართ, ეს შიში მეც მაქვს და ამავე დროს მაქვს იმედი, რომ ეს მარცხით არ დამთავრდება, თუმცა ვერ გეტყვით, რომ ან ერთი, ან მეორე წინასწარ განწირულია ან გამარჯვებისთვის, ან დამარცხებისთვის; ანუ ან იმედი, ან შიში წინასწარ გადაწყვეტილად არის შესრულებადი. ყველაფერი მაინც ხალხზეა დამოკიდებული, რამდენი ადამიანი მოვა და რამდენად ძლიერი იქნება ზეწოლა და ამ ზეწოლის მექანიზმები.

***— თუ ხელისუფლებამ რეალური საფრთხე დაინახა, როგორ ფიქრობთ, წავა დარბევაზე?***

— რა თქმა უნდა, წავა დარბევაზე და ესეც უნდა იყოს გათვლილი ამ კრების ორგანიზატორების მხრიდან, რით შეიძლება უპასუხონ ამ დარბევას. იქ მართლაც ბევრი ჭკვიანი და გონიერი ადამიანია და ეს ყველაფერი უნდა ჰქონდეთ გათვლილი.

***— საუბარია, რომ კიდევ ერთ იმედგაცრუებას საზოგადოება ვეღარ გაუძლებსო...***

— მე ვერ ვიტყოდი, რომ ვეღარ გაუძლებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ძალიან უკან გადაწევს პროცესებს, გააძლიერებს ხელისუფლებას და დაასუსტებს მის ოპონენტებს. ეს დაახლოებით ის იქნება, როგორც არაერთი გამოსვლა მომხდარა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და როდესაც მარცხით დამთავრდა, საზოგადოებაში გარკვეულმა ნიჰილიზმმა დაისადგურა. ეს საფრთხე ახლაც არსებობს.

***— საუბარია იმის შესახებ, რომ შესაძლოა ოპოზიციონერი ლიდერების დაკავებაც დაიწყოს სააკაშვილმაო. თქვენ ამის საფრთხეს ხედავთ?***

— ყველაფერს გააკეთებს ხელისუფლება, რასაც იმ მომენტში ჩათვლის საჭიროდ, რომ საკუთარი ხელისუფლება შეინარჩუნოს და გააძლიეროს კიდეც. აქ შეიძლება არა მხოლოდ ოპოზიციური ლიდერების დაპატიმრებაზე იყოს ლაპარაკი, არამედ პირდაპირ მკვლელობაზეც, რადგან ძალიან ბევრს კარგავენ ხელისუფლების ლიდერები და ამიტომ ისინი ყველაფერზე წამსვლელები რომ არიან, ეს მათმა 7 წლიანმა მოღვაწეობამ დაგვანახა. არა მარტო ადამიანების მსხვერპლი შედის ამ ყველაფერში, არამედ ტერიტორიების დაკარგვაც და ათასი სხვა უბედურებაც, რომელზე წამსვლელებიც არიან და ყველა ნაბიჯი გადადგმულია მათი ხელისუფლების გასაძლიერებლად.

***— ითქვა ისიც, რომ შესაძლოა სულაც საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს სააკაშვილმა და მოულოდნელად საპარლამენტო არჩევნები დანიშნოსო...***

— მე როდესაც ვამბობ, რომ ის ყველა ნაბიჯზე წავა, სწორედ ამას ვგულისხმობ, რომ წავა ნებისმიერ ნაბიჯზე, რომელსაც ისინი იმ დროს საჭიროდ ჩათვლიან, რაც მათი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის აუცილებელია. თუ ეს ჩათვალეს საჭიროდ, რა თქმა უნდა, არც საგანგებო მდგომარეობას მოერიდებიან და არც სხვა ნებისმიერ ისეთ ღონისძიებას, რომელიც შეიძლება ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია.

***— ბატონო გელა, ალბათ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ერთ პოზიციაზე მდგომმა პარტიებმა ვერ მოახერხეს პოზიციების შეჯერება და ერთიანი ძალით გამოსვლა...***

— არსებული სიტუაცია უკვე იღებს ტრაგიკომიკურ ხასიათს. ტრაგედიაა ის, რომ მართლაც ხელისუფლება ხეირობს ამით, მათ შორის დაპირისპირებით და კომედიაა ის, რომ სახალხო კრება და ქართული პარტია ფაქტიურად ერთმანეთის ასლები არიან სტრატეგიასა და ტაქტიკაში და ამავე დროს არიან ერთმანეთის კონკურენტები. უბრალოდ, ძალიან ბევრი გონიერი ადამიანია ორივე მხარეს და მე ვფიქრობ, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც პირად ამბიციებზე მაღლა დააყენებენ საზოგადო ინტერესებს და მაინც ბოლოს ერთად დადგებიან. რაც შეეხება მეორე ოპოზიციურ ფლანგს, რვიანი მყავს მხედველობაში, ვფიქრობ, რომ პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ეს დაანონსებული გამოსვლები თუ რეალურად დაწყებული გამოსვლები, სწორედ რვიანის წისქვილზეც ასხამს წყალს. იმიტომ, რომ თუ რაიმე უნდა დათმოს ხელისუფლებამ, უნდა დათმოს მხოლოდ და მხოლოდ ზეწოლის საშუალებით. ზეწოლის ერთ-ერთი მექანიზმია ეს გამოსვლები და თავისუფლად შეიძლება, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, სწორედ ამ ზეწოლით დათმოს ხელისუფლებამ. ძალიან გონივრული იქნებოდა, რომ რვიანიც და ეს ორივე ძალაც, სახალხო კრებაც და ქართული პარტიაც მოქმედებდნენ ერთიანი ტაქტიკით, შეთანხმებულად და არა კონკურენტულ რეჟიმში.

***— რვიანი აცხადებს, რომ მათ ძალიან დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვთ, როგორ ფიქრობთ, ეს მოახდენს ზეგავლენას ხელისუფლებაზე?***

— საერთაშორისო მხარდაჭერა არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა. აუცილებელი პირობა არის ხალხის მხარდაჭერა, მასობრივი მხარდაჭერა, თუმცა ესეც არასაკმარისია. ამიტომ, ეს ორივე კომპონენტი — საერთაშორისო და შიდა, საზოგადოებრივი მხარდაჭერა არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ ხელისუფლება თუ არ შეიცვლება, მას უკან დაახევინონ. ამ ორი კომპონენტის თანხვედრამ განაპირობა 2003 წელს ხელისუფლების შეცვლა. მაისში პროცესები აუცილებლად დაიწყება, ოღონდ როდის და როგორ დასრულდება, ეს სხვა საკითხია. თორემ დაწყებით, ფაქტია, რომ იწყება, დაანონსებულიც არის და ქართული პარტიაც უკვე აანონსებს თავის აქტივობებს და ასევე აანონსებს რვიანიც, რომ თვის ბოლომდე თუ არაფერი არ მოხდა, ისინი ახალ ტაქტიკაზე გადავლენ. აღარაფერს ვამბობ სახალხო კრებაზე. ანუ მაისი მართლაც გარდამტეხი თვე უნდა გახდეს ან იქეთ ძალთა ბალანსის გადახრით, ან აქეთ. იმედი ვიქონიოთ, ეს აქეთ, ოპოზიციის მხარეს მოხდება. ვნახოთ, რა გამოუვათ.

# პოსტსაბჭოთა სივრცეში ას უმდიდრეს ადამიანთა შორის სამი ქართველი მოხვდა



პოსტსაბჭოთა სივრცის უმდიდრესი ადამიანების ასეულში სამი ქართველი მოხვდა. კერძოდ, ბიძინა ივანიშვილი, გია ჯოხთაბერიძე და ალექსანდრე ჯაფარიძე.

პოსტსაბჭოთა სივრცის უმდიდრესი ადამიანების სია ვებ-გვერდმა „ერბე-კამ“ გამოაქვეყნა.

რეიტინგის ავტორებმა სია საინვესტიციო კომპანიების, ბანკებისა და საკუთარ შეფასებებზე დაყრდნობით შეადგინეს.

ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი აღნიშნულ რეიტინგში 38 ადგილზეა. გასული წლის მონაცემებით, მისი ქონება 4 მლრდ 235 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

ბიზნესმენი ალექსანდრე ჯაფარიძე სიაში 62-ე ადგილს იკავებს. მისი ქონება გასული წლის მდგომარეობით 1 მილიარდ 914 მილიონი დოლარია.

„მაგთიკომის“ დამფუძნებელი გია ჯოხთაბერიძე პოსტსაბჭოთა სივრცის უმდიდრესი ადამიანების ასეულში 99-ე ადგილს იკავებს. მისი კაპიტალი 1 მლრდ დოლარს შეადგენს.

**მედიანიუსი**

# შიდსით დაინფიცირებული ყველაზე მეტი პაციენტი თბილისში ცხოვრობს

საქართველოში შიდსით დაინფიცირებული ყველაზე მეტი პაციენტი თბილისში ცხოვრობს.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ინფორმაციით, პაციენტთა შორის 933 თბილისში ცხოვრობს, 430 სამეგრელოში, 357 აჭარაში, 372 იმერეთში, 118 კახეთში, 40 ფოთში, 193 აფხაზეთში, 111 ქვემო ქართლში, 82 შიდა ქართლში, 22 მცხეთა-მთიანეთში, 5 რაჭა-ლეჩხუმში, 34 სამცხე-ჯავახეთში, 56 გურიაში.

60 უცხოელს კი საქართველოში ყოფნის დროს დაუდგინდა შიდსის ვირუსი.

**ინტერპრესნიუსი**

# გლდანის საპატიმროს სამკურნალო დაწესებულებაში ორი პატიმარი გარდაიცვალა

გუშინ დილით გლდანის მე-8 დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე სამკურნალო დაწესებულებაში ორი პატიმარი გარდაიცვალა, — ამის შესახებ „მედიანიუსს“ ადვოკატმა ქეთი ბექაურმა აცნობა.

ადვოკატი ჯერჯერობით არ ფლობს ინფორმაციას პატიმრების ვინაობასა და მათი გარდაცვალების მიზეზებზე.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

როგორც „მედიანიუსს“ სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, ისინი მსგავს ინფორმაციას არ ფლობენ.

ქეთი ბექაურის ინფორმაციით, გარდაცვლილი პატიმრები უკვე გამოასვენეს საპყრობილის სამკურნალო დაწესებულებიდან. თუმცა, სად წაასვენეს ისინი, ჯერჯერობით, უცნობია.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო შატბერაშვილი: სააკაშვილი ბრაიზასთან ერთად აზერბაიჯანში გადატრიალებას გეგმავს

თეა მარხვაი ე

**რუსეთის ისლამისტური ცენტრის თავკაცმა ჰეიდარ ჯემალმა წინა კვირაში ხელისუფლება გაგვინერვიულა. მან გამოცემა „სალამნიუსს“ მისცა ინტერვიუ, სადაც განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს.**

**ამ ბრალდებას საქართველოს ხელისუფლებამ აბსურდული უწოდა. ჰეიდარ ჯემალის განცხადებებს ქართველმა ექსპერტებმა პროვოკაცია უწოდეს. მათ რუსეთის ისლამური კომიტეტის თავკაცი რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულეს.**

მათგან განსხვავებით, ჰეიდარ ჯემალის განცხადებებს გაცილებით სერიოზულად მოეკიდნენ ლეიბორისტულ პარტიაში. მათ ეჭვიც კი არ ეპარებათ, რომ საქართველოს ხელისუფლება აზერბაიჯანს რაღაცას უპირებს.

საქართველოს ხელისუფლების გარდა, ლეიბორისტებმა ეჭვი მეთიუ ბრაიზაზეც მიიტანეს. ეს უკანასკნელი აზერბაიჯანში ამერიკის ელჩია. ცოტა ხნის წინ ის აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე იყო და საქართველოს კონტროლი ევალებოდა. მას ჩვენი ხელისუფლება ძალიან ესიმპატიურებოდა. ჩვენმა ოპოზიციონერებმა ბრაიზა ამიტომაც შეიჯავრეს და როცა ის სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს, ჩვენებურებმა ერთი კაი პურმარილი იკისრეს.

ქართველი ლეიბორისტების მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება ამერიკელ დიპლომატ მეთიუ ბრაიზასთან ერთად აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს.

ამის შესახებ საგანგებო განცხადება გუშინ სოსო შატბერაშვილმა გააკეთა.

— უცხოური მედია უკვე ფართოდ აშუქებს თემას, სადაც საუბარია მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის ორგანიზებით აზერბაიჯანში მორიგი ფერადი რევოლუციისა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაზე, რაც აშკარა სიმართლეა. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ აზერბაიჯანში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად დაინიშნა მეთიუ



ბრაიზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მფარველი, რევოლუციათა სპეციალისტი ავანტიურისტია, რომელმაც კავკასიაში არაერთი პოლიტიკური აფეთქება მოახდინა. ლეიბორისტული პარტია ერთი მხრივ, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს მოუწოდებს, მეთიუ ბრაიზას მისი ქვეყნიდან გაწვევა მოითხოვოს და ამით რეგიონში პოლიტიკური დესტაბილიზაცია არ დაუშვას. ამერიკის სენატს კი კიდევ ერთხელ მიმართავს, რომ მეთიუ ბრაიზას აზერბაიჯანის ელჩად დანიშვნას მხარი არ დაუჭიროს, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

ლეიბორისტების განცხადება ჩვენმა ხელისუფლებამ ასევე აბსურდად მონათლა. ისინი არც აზერბაიჯანთან ურთიერთობის გაუარესებას ადასტურებენ. არადა, ბოლო დროს ბაქოდან ძალიან საეჭვო განცხადებები კეთდება. აზერბაიჯანელი დეპუტატები ყოველდღე გვაფრთხილებენ, რომ სომხეთი ტერიტორიულ პრეტენზიებს წაგვიყენებს.

ჰეიდარ ჯემალი კი თავის ინტერვიუში ამტკიცებს, რომ საქართველო და სომხეთი ერთმანეთს საეჭვოდ დაუტკბნენ. ჩვენს ხელისუფლებას კი საეჭვოდ ლეიბორისტებისა და ჯემალის პოზიცია ეჩვენება.

— არის მონაცემები, რომ საქართველოში აზერბაიჯანის სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ. საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს მომზადება იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალება და ამაზე პასუხისმგებელი საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერიაა. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, საქართველოს საელჩოში, მოქმედებს ცენტრი, რომელიც ამ საქმიანობას კურირებს და მის საქმიანობაზე პასუხისმგებელი ბაქოში არსებული საელჩოს თანამშრომელი ამერიკელი ქალია, რომელმაც ძალიან კარგად იცის ქართული ენა. იგი იმყოფება „შტაბში“ და მის მოვალეობაში შედის აზერბაიჯანულ ოპოზიციასთან კონტაქტი. ამ დროისათვის საქართველოში ახალგაზრდა აზერბაიჯანელების რიგებიდან ფორმირდება განაყოფი, რომლის სახელწოდებაც თარგმანში „წინააღმდეგობას“ ნიშნავს. ისინი ელოდებიან ბრძანებას, დაიწყონ ხისტი და გადამწყვეტი მოქმედებები აზერბაიჯანის ხელისუფლების დასამხობად. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, გადამწყვეტი მოქმედებები ანუ ოპოზიციის გამოსვლა აზერბაიჯანის ხელისუფლების დასამხობად დაგეგმილია 28 მაისს. 29 მაისს კი ლონდონში უნდა გაიმართოს კონფერენცია, რომელიც აზერბაიჯანს ეძღვნება და რომელზეც სიტყვით უნდა გამოვიდეს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, რომელიც შეაფასებს აზერბაიჯანის ოპოზიციის მოქმედებას, მდგომარეობას აზერბაიჯანში და აზერბაიჯანის მთავრობაში არსებულ მდგომარეობას. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში გიგა ბოკერია და კიდევ რამდენიმე ადამიანი აზერბაიჯანში იყვნენ ჩასულები და აზერბაიჯანის ხელისუფლებას მოთხოვნა წაუყენეს, საქართველოსთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე წასულიყვნენ. ამ კავშირის მიზანი რუსეთისათვის წინააღმდეგობის გაწევა უნდა ყოფილიყო. თუმცა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ამაზე უარი განაცხადა და ასევე უარი თქვა ერთობლივ აზერბაიჯანულ-ამერიკული სამხედრო წვრთნის გამართვაზე სახელწოდებით „რეგიონალური პასუხი-2011“ — მან უარი განაცხადა ამ თამაშში მონაწილეობის მიღებაზე, — აცხადებს ჰეიდარ ჯემალი.

ჯემალის თქმით, სწორედ ამის შედეგად საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ამყარებს სამხედრო კავშირს სომხეთთან, რომელიც აზერბაიჯანის წინააღმდეგაა მიმართული.

— საქართველო ამ შემთხვევაში ამ პროექტის შემსრულებელია, რომელშიც ჩართული არიან საქართველოს სახელმწიფო პირები, კერძოდ, გიგა ბოკერია, რომელიც საქართველოს უშიშროების საბჭოს წარმოადგენს. ანუ ქართველები ამ შემთხვევაში სხვისი ნების შემსრულებელნი არიან. აღვნიშნავ ასევე, რომ აზერბაიჯანული ოპოზიცია ამ გეგმის საქმის კურსშია. ყოველივე ამის



მთავარი ორგანიზატორი არის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი. ორგანიზებული, ერთგვარი „მართვადი ქაოსი“ ამერიკული სტრატეგების ძირითადი მეთოდოლოგიაა. „მართვადი ქაოსი“ არის მცდელობა დესტაბილიზება მოახდინო საერთო წესრიგისა, შექმნა სირთულე იმ გეგმიურ პროცესებში, რომლებმაც აშშ-ს ის ხარჯები უნდა აარიდოს თავიდან, რომლებსაც იგი განახორციელებდა მაშინ, როდესაც ცდილობდა პირდაპირ ემართა სიტუაცია და თავის ინტერესებში მოექცია. როდესაც ყოველივე ეს უკვე მათთვის შეუძლებელი ხდება, ისინი სხვა ტაქტიკაზე გადადიან, კონკრეტულად, იწყებენ ომს — ყველა-ყველას წინააღმდეგ ანუ სიტუაციის დესტაბილიზებას ახდენენ, — აცხადებს ჰეიდარ ჯემალი.

ის იმასაც განმარტავს, რატომ არჩია ამერიკამ აზერბაიჯანი. მისი თქმით,აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიის საკვანძო ქვეყანაა. იმ შემთხვევაში, თუკი აზერბაიჯანის ახლანდელი პრეზიდენტის ნაცვლად მის ადგილზე მოვლენ დასავლეთზე გაცილებით უფრო დამოკიდებული ადამიანები, ისინი აზერბაიჯანს აშშ-ს სამხედრო მანევრების ბაზად აქცევენ.

ჯემალი დარწმუნებულია, რომ ამერიკას აზერბაიჯანის ტერიტორია ირანზე დარტყმისთვის სჭირდება.

# ოპოზიციამ უკვე დაიგვიანა

**რა შედეგით შეიძლება დასრულდეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისთვის დაგეგმილი ხელისუფლება-ოპოზიციის მორიგი კონსულტაციები, რატომ ვერ შეძლო "ოპოზიციურმა 8"-იანმა ხელისუფლების ალტერნატიულ ცენტრად ჩამოყალიბება; რატომ არ აყენებს მოლაპარაკებებში მონაწილე "ოპოზიციური 8-იანი" სამართლიანი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს კატეგორიულად, „ინტერპრესნიუსი" ფილოსოფოსსა და პოლიტოლოგს, კახა კაციტაძეს ესაუბრა.**



*— ბატონო კახა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისთვის დაგეგმილი მორიგი კონსულტაციები უახლოეს მომავალში გაიმართება. ხელისუფლება არც რადიკალური ოპოზიციის და არც - მასთან მოლაპარაკებებში მყოფი "ოპოზიციური 8-იანის" აქტიურობას იმჩნევს. თქვენი აზრით, გაცნობიერებული აქვს თუ არა "რვიანს", რომ ხელისუფლებას ურჩევნია, დასავლეთისგან საყვედურები ისმინოს, ვიდრე - პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლი დაკარგოს. . .*

— მიჭირს თქმა, რამდენად აქვს გაცნობიერებული მოლაპარაკებებში მონაწილე "რვიანს" ის, რომ ხელისუფლებას ურჩევნია, დასავლეთისგან საყვედურები ისმონოს, ვიდრე საარჩევნო გარემო რეალურად გააუმჯობესოს. მაგრამ, მაინც ვფიქრობ, რომ მოლაპარაკებებში ჩართულ ოპოზიციის ნაწილს ეს კარგად ესმის. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, გარკვეულ პროცესებზე კონტროლის დაკარგვის რისკის ქვეშ რატომ უნდა ჩაიყენოს ხელისუფლებამ თავი, როდესაც შეუძლია რისკის ქვეშ თავი არ ჩაიყენოს. მოლაპარაკებებში მონაწილე ოპოზიციურ პარტიებს არავითარი მექანიზმი იმისა, რომ ზეწოლა მოახდინონ ხელისუფლებაზე, არა აქვთ, გარდა იმ ილუზორული იმედისა, რომ ხელისუფლება გამოიჩენს კეთილ ნებას და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის დასავლეთის რეკომენდაციებს შეასრულებს.

*— ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებების უნაყოფოდ დასრულება ეჭვის ქვეშ დააყენებს ქვეყნის ევროპულ არჩევანს, რის შემდეგაც ქვეყანა პოლიტიკური სტაგნაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ეთანხმებით ასეთ მოსაზრებას?*

— ერთი მარტივი მიზეზის გამო, ასეთ მოსაზრებას სრულად არ ვეთანხმები. ჩვენი ევროპული არჩევანი დიდი ხანია, ეჭვის ქვეშ დგას. როდესაც აშშ-ს ელჩმა საქართველოში ბატონმა ბასმა საქართველო ჩრდილო აფრიკის სახელმწიფოების რიგში გაიყვანა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი უახლოესი სტრატეგიული პარტნიორიც კი არ განიხილავს საქართველოს ევროპულ ქვეყნად. ძალიან მაინტერესებს, აშშ-ს ელჩი, მაგალითად ნორვეგიაში გამოსვლისას, ისაუბრებდა თუ არა ჩრდილო აფრიკაზე. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ, როგორც ბატონი ბასის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება. პირიქით, ხაზგასმით ვამბობ, მისი ქმედება აბსოლუტურად ადეკვატური იყო. საქართველოს ხელისუფლება უფრო და უფრო შორდება ევროპას და უახლოვდება ახლო აღმოსავლეთს. ხელისუფლება-ოპოზიციის მოლაპარაკებების ჩაშლა ამ პროცესის დასაწყისი კი არა, არამედ ამ მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.რა თქმა უნდა, პოლიტიკური პროცესების სტაგნაციის სტადიაში ვართ, ვინაიდან ჩვენ ახლა არა ჩამორჩენილი აფრიკის ჩრდილოეთის ქვეყნებში, არამედ არაევროპულ, ახლო აღმოსავლურ სახელმწიფოებში გავდივართ. ეს კი თავისთავად გამორიცხავს ევროკავშირისა და ნატო-ს წევრობას.

*— თქვენი აზრით, რატომ არ ასახელებს მოლაპარაკებებში მონაწილე "ოპოზიციური 8"-იანი საკითხთა იმ წრეს, რომელთა გადაუწყვეტელობის შემთხვევაში ოპოზიციური პარტიები ჩათვლიან, რომ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს. და კიდევ, იმის გათვალისწინებით, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის საარჩევნო სიის დაზუსტების საკითხი უმთავრესია, რატომ არ აყენებს "რვიანი" კატეგორიულად სიების იმგვარად გადაწყვეტის საკითხს, რომ ბოლოს და ბოლოს, არჩევნებზე ქვეყანას მეტ-ნაკლებად დაზუსტებული ამომრჩეველთა სია ჰქონდეს?*

— კარგი იქნება, თუ ამ კითხვებზე თავად "ოპოზიციური 8"-იანის წარმომადგენლები გასცემენ პასუხს. რაც შეეხება პირობების დაყენებას, ანუ რა პირობებზე იტყვის უარს ოპოზიცია არჩევნებში მონაწილეობაზე, როგორც ეტყობა, ასეთი პირობები "რვიანს" არა აქვს და ის, ყველა ვარიანტში, გარკვეული ფორმით აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. სხვანაირად ვერანაირად ვერ ამიხსნია ის, რომ მოლაპარაკებებში მონაწილე "რვიანი" უკანდახევის გარკვეულ ზღვარს არ აწესებს. მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც უკანდახევის წითელ ხაზს არ ავლებ, ეს ნიშნავს, რომ უკანდახევისთვის უსასრულოდ მზად ხარ.

*— ბევრ საკითხში, მათ შორის სიებთან დაკავშირებითაც, ხელისუფლების შეუვალი პოზიცია იმას ხომ არ უკავშირდება, რომ ოპოზიციური სპექტრი, ამ შემთხვევაში „ოპოზიციური 8"-იანი ხელისუფლების ალტერნატიულ ცენტრად ვერ ჩამოყალიბდა და ხელისუფლებას თავისი პოლიტიკური დღის წესრიგი ვერ შესთავაზა? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონსულტაციები ხელისუფლების სცენარით მიმდინარეობს და, შესაბამისად, იმაზე საუბარი, რომ ოპოზიცია კონსულტაციებზე რაიმე ხელშესახებ წარმატებას მიაღწევს, ძნელი სავარაუდოა . . .*

— რასაკვირველია. კარგა ხანია, ვამბობ - რატომ წავა ხელისუფლება რაიმე დათმობაზე, როდესაც შეუძლია ყველაფერი ყოველგვარი დათმობების გარეშეც მიიღოს. იმისთვის, რომ ოპოზიცია ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდეს, მან მოქმედების ქმედითი ფორმები უნდა მოძებნოს ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოსახდენად. მაგრამ, ვშიშობ, რომ ამგვარი რამისთვის ოპოზიციამ უკვე დააგვიანა. ჩემი აზრით, „რვიანს" მეტისმეტად ჰქონდა იმედი და ილუზია იმისა, რომ ხელისუფლება ამერიკელების თხოვნას გაითვალისწინებდა და თუ ნორმალურს არა, ნორმალურისმაგვარ საარჩევნო გარემოს შექმნიდა. როგორც ვხედავთ, ხელისუფლება ჩვენი პარტნიორების რეკომენდაციების გათვალისწინებას არ აპირებს და მოლაპარაკებებში მონაწილე ოპოზიციას სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით ხელისუფლების პირობების მიღება.

*— „ფორუმის" ლიდერმა კახა შარტავამ რადიო „პალიტრის" ეთერში განაცხადა  „ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებათა პროცესის შექმნა მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ამ პროცესის ბოლომდე მიმყვანი პოლიტიკური ძალა რეალურად არ არსებობს". რას შეიძლება ნიშნავდეს პოლიტიკურ ენაზე კახა შარტავას მიერ გამოთქმული მოსაზრება? და კიდევ, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რაც ერთხელ ერთმა ქართველმა ექსპერტმა თქვა — საქართველოს არ ჰყავს ოპოზიცია, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლა სურს?*

— სერიოზულად ჩნდება ეჭვი, რომ ოპოზიცია ოლიმპიური პრინციპით მოქმედებს - მთავარია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა. თუკი "ოპოზიციური 8"-იანი არჩევნებში არა გამარჯვებას, რამედ პარლამენტში გარკვეული რაოდენობის სადეპუტატო მანდატების მიღებას ისახავს მიზნად, ამ თვალსაზრისით მათი მოქმედება სრულიად ლოგიკურად ახსნადია.

*— ხშირად გაიგონებთ მტკიცებას, რომ "ოპოზიციური რვიანი" მალე დაიშლება. თქვენი აზრით, რამდენად მყარია მოლაპარაკებებში მონაწილე "ოპოზიციური 8"-იანის ერთობა და რამდენად სავარაუდოა მისი ისე დაშლა, რომ ნაწილი საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო მეორე ნაწილი არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს ან რადიკალურ ოპოზიციას შეუერთდება?*

— ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ განვითარდება პროცესები საზოგადოებაში. თუკი საზოგადოებაში რადიკალური განწყობები იმძლავრებს, ოპოზიციური "8-იანიდან" აბსოლუტური უმრავლესობა უცებ განაცხადებს, რომ ისინი ყოველთვის რადიკალური გამოსვლების მომხრეები იყვნენ. თუ პროცესები მშვიდად განვითარდა, მაშინ ისინი „ნაციონალების" პირობებით პარლამენტში თავის წარმომადგენლებს გაიყვანენ. „ოპოზიციური 8"-იანში გაერთიანებული პარტიების რადიკალიზაცია იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საზოგადოებაში განწყობების რადიკალიზაცია მოხდა. თუ საზოგადოებისათვის პროცესების რადიკალიზაცია კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში პარლამენტში ხელისუფლების პირობებით ზოგი ოპოზიციური პარტია ორ დეპუტატს, ზოგი სამს და ზოგიც ხუთს გაიყვანს.

**ინტერპრესნიუსი**

# აქციები თუ დაიწყება, სააკაშვილი დაარბევს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ირინა სარიშვილთან



***— ქალბატონო ირინა, სახალხო კრებამ 21 მაისს გადაწყვიტა აქციების დაწყება და ეს თარიღი ოფიციალურად გამოაცხადა. თქვენი აზრით, რამდენად გამოუვა სახალხო კრებას ის, რაც ჩაფიქრებული აქვს?***

— თუ იქნება მონდომება, ყველაფერი გამოვა. სამწუხაროდ, საკმარისი არ არის მხოლოდ ხალხის მონდომება, ანუ იმ ხალხის, ვისაც მოუწოდებენ. მთავარია ამ მონდომების ნება ჰქონდეთ აქციის ხელმძღვანელებს. მე წინა სამწუხარო გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ძალიან მოვერიდები ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთებას. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე, მაგრამ ერთი რამ არის ცხადი, დღეს თუ ქუჩაში გამოიყვან ხალხს, უკან დახევა არც ერთ შემთხვევაში, ხაზს ვუსვამ, არც ერთ შემთხვევაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელისუფლება უპრეცედენტო დარბევაზე წავა, უკან დახევა არ შეიძლება. იმიტომ, რომ მაშინ ეს ყველაფერი სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს და სააკაშვილი მიიღებს იმას, რაც მას დღეს ყველაზე ძალიან სჭირდება. ეს არის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები საგანგებო ვითარებაში. თუ ამისთვის მზად არის ქუჩაში გამოსვლის მომწოდებელი, ამას ხაზს ვუსვამ, მაშინ ქუჩაში გამოსვლა ერთადერთი გამოსავალია და ჩემთვის აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში ვინ არის ინიციატორი. სამწუხაროდ, მე ვფიქრობ, რომ ძველებურ სიმღერას გვიმღერიან. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე, მაგრამ თუ გვქონდა იგივე სიტუაცია, რაც გვქონდა ცოტა ხნის წინ, ანუ ხალხმრავალი აქცია დაიშლება ან თავისით, ან დარბევის შედეგად, ამას არა აქვს მნიშვნელობა და ეს იქნება ძალიან ცუდის მომტანი საერთო საქმისთვის. კიდევ უფრო განამტკიცებს დღევანდელი ხელისუფლების პოზიციებს და სააკაშვილს მისცემს საშუალებას, დაინიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რათა სააკაშვილმა საგანგებო მდგომარეობაში გარანტირებულად მიიღოს მომავალ პარლამენტში ისეთი უმრავლესობა, რომელიც მას პრემიერ-მინისტრად დაამტკიცებს.

***— ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ სააკაშვილს დღეს აწყობს აქციები და საპროტესტო გამოსვლები იმ შემთხვევაში, თუ ეს მართული იქნება.***

— სააკაშვილს აქციები აწყობს იმ შემთხვევაში, თუ ის შექმნის დაახლოებით 7 ნოემბრის შემდეგ პერიოდს. ანუ თუ ის გაიმარჯვებს აქციაზე, მნიშვნელობა არა აქვს, მისაღები და მოსაწონი მეთოდებით თუ არა, არც 7 ნოემბერს გამოუყენებია ხელისუფლებას მოსაწონი მეთოდები, მაგრამ ფაქტია, რომ ოპოზიციამ უკან დაიხია და ეს ახსნა იმით, რომ სისხლისღვრას მოვერიდეთო. რაც მოხდა 7 ნოემბრის ბოლოს, ჩვენ ვნახეთ; სისხლიც დაიღვარა სხვადასხვა ფორმით და რაც მთავარია, ამას მოყვა აგვისტოს ომი, რომ აღარაფერი ვთქვათ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე, სადაც სააკაშვილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთთან შეუთანხმებელი ოპოზიციის ფონზე გაიმარჯვა. გაყალბებით, გაუყალბებლად, ყოველ შემთხვევაში, გაყალბების მომენტიც ვერ გამოიყენა ოპოზიციამ, იმდენად ძლიერი იყო ერთმანეთს შორის დაპირისპირება და დღეს ეს დაპირისპირება სახეზეა. ანუ ისეთი ტიპის არეულობა, რომელიც მართული იქნება, რომელიც შეწყდება სააკაშვილის ხელისუფლების ჩარევის შედეგად და აღარ გაგრძელდება, რა თქმა უნდა, ეს აწყობს სააკაშვილს. დღეს თუ ვინმე ამაზე მიდის, იქნება ეს ბურჯანაძე, ოქრუაშვილი თუ ვინც არ უნდა იყოს, ის ამ შემთხვევაში პირდაპირ დანაშაულის ჩამდენია. ეს არ არის შეცდომა. შეცდომა შეიძლება ჩვენ ვუწოდოთ პირველად ასეთ გადადგმულ ნაბიჯს, მაგრამ მაშინ, როცა ამდენი ანალიზი კეთდება და იმას, რასაც მე ვამბობ, არანაირი განსაკუთრებული ნიჭი და ტალანტი არ სჭირდება, ამას საშუალო სკოლის განათლებაც ყოფნის, რომ ეს დასკვნა გააკეთო. მე მგონი, ამას ჩვენი ოპოზიციონერებიც უნდა ხვდებოდნენ. რა უდევთ გუნებაში ლიდერებს, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხის ქუჩაში გამოყვანის შემთხვევაში, კიდევ ერთხელ ვამბობ, ისინი უნდა იყვნენ აბსოლუტურად ყველაფრისთვის მზად. ისევე, როგორც ხალხი, თუმცა ხალხი ძალიან დიდი ხანია ასეა განწყობილი და არც ერთი აქციის დროს, როდესაც ჩვენ ვნახეთ რამდენიმე ასეულ ათასობით ადამიანი ქუჩაში გამოსული, სხვადასხვა დროს, ვთქვათ, პრეზიდენტის ინაუგურაციის გასაპროტესტებლად, იმ ადგილიდან ძალიან დიდი დაშორებით, 9 აპრილს, 26 მაისს და ა.შ., არც ერთ ამ შემთხვევაში თვითონ ხალხი დაშლის მომხრე არ იყო. თუ ეს გეგმაში არა აქვთ ორგანიზატორებს, რა თქმა უნდა, მძიმე სურათი გვექნება. მაშინ უნდა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ პოლიტიკოსებს შორის აღმოჩნდება ისეთი ჯგუფი ადამიანების, რომლებიც აღარ მოუსმენენ, რას ამბობენ აქციის ინიციატორები და რომელიც აღარ მისცემს აქციის ინიციატორებს ამ აქციის დასრულების უფლებას.

***— შესაძლოა ვინმემ აიღოს ეს ინიციატივა?***

— შესაძლებელია. თუ ასეთი რამ მოხერხდება, მაშინ რაც არ უნდა ჰქონდეს გუნებაში ბურჯანაძეს, ბუნებრივია, ეს აქციები გაგრძელდება. რა თქმა უნდა, ეს არ იძლევა გარანტიას, რომ ეს ხალხი ხელისუფლებას ხელში აიღებს, გარანტირებული გამარჯვება ბრძოლაში არავის არ ჰქონია და არც ახლა არ ექნება, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელისუფლება ძალიან მძიმე ფორმით დაამარცხებს ამ გამოსვლას, ეს უნდა იყოს მარცხი და არა უკან დახევა და ასეთ მარცხს ავტომატურად ამ ხელისუფლების წასვლაც მოჰყვება. თუ ამას არ აპირებენ ჩვენი ოპოზიციონერები და მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ არ აპირებენ, მაშინ ისინი აბსოლუტურად შეგნებულად და არა უტვინობით, ასხამენ წყალს სააკაშვილის წისქვილზე. უტვინო შეიძლება იყოს, როცა პირველად დგამს ასეთ ნაბიჯს, როცა მეორეჯერაც იგივეს იმეორებ, აქ უკვე შეგნებული ზიანის მოტანაზეა საუბარი.

***— თუმცა სახალხო კრების ლიდერები და მათ შორის ბურჯანაძე იფიცება, რომ ეს წელი ბოლო იქნება სააკაშვილისთვისო...***

— ბევრი ასეთი ფიცი მოვისმინე ბურჯანაძისგანაც, მისი დღევანდელი თუ ყოფილი მოკავშირეებისგან, მე პოლიტიკურ ფიგურებზე მაქვს საუბარი, თორემ ერთი წუთით ეჭვი არ მეპარება ნონა გაფრინდაშვილის გულწრფელობაში. ერთი წუთით არ მეპარება ეჭვი ისეთი ადამიანების გულწრფელობაში, რომელთა სახელები და გვარებიც დღეს ბევრად უფრო მეტის მთქმელია მასებისთვის, ვიდრე ამ კონკრეტული პოლიტიკოსების სახელები და გვარები, და რომლებიც პირიქით, აკეთილშობილებენ ამ პოლიტიკურ გარემოს. მე ამ ადამიანებში ეჭვი ნამდვილად არ მეპარება, მაგრამ იმდენი 26 მაისი, იმდენი 9 აპრილი და იმდენი სხვადასხვა თარიღი იქნა ასე ფიცის ქვეშ გატარებული და ზოგი რაღაც საცირკო სანახაობად გადაქცეული, რომ მაქვს უფლება, ამას ყველაფერს ეჭვის თვალით ვიყურო. ჩემზე მეტად არავის არ გაეხარდება, თუ ამჯერად მაინც ეს პროგნოზი არ გამართლდება. მე მოსმენილი მაქვს უცნობის ფიციც საკნიდან, რომ იქიდან არ გამოვიდოდა მანამ, სანამ პრეზიდენტი სააკაშვილი იქნებოდა, მაგრამ ვნახეთ, რომ ეს ყველაფერი სხვანაირად მოხდა. მოსმენილი მაქვს ქუჩაში გასული, რეალურად პიკამდე მისული აქციების ხელმძღვანელების ფიციც, როცა იგივე საკნები იყო ქუჩაში, რომ არ ალაგდებოდა ეს საკნები მანამ, სანამ ეს ხელისუფლება ისევ ხელისუფლებაში იქნებოდა და უცნობის გამოსვლაც საკნიდან და ამ საკნების ალაგებაც, სწორედ იმ დროს მოხდა, როცა ეს ყველაზე მეტად აწყობდა სააკაშვილს. ანუ ბაიდენის ჩამოსვლას ვგულისხმობ და მისი ჩამობრძანების წინ მთელი ამ სიტუაციის მოწმენდას. აი, ასეთი მწარე გამოცდილებების ფონზე ძალიან მიჭირს ამის დაჯერება, მაგრამ ერთ იმედს მე მაინც ვიტოვებ, რომ მოხერხდება დღევანდელი ინიციატორების ღალატის შემთხვევაშიც კი, კონკრეტული ადამიანების მხრიდან ამ აქციისთვის სხვა სახის მიცემა, ანუ უკან არ დახევა. აქამდე ყველაფერი ძალიან მკაცრად კონტროლდებოდა, ჩვენს მაგალითსაც გავიხსენებ, როგორ არ მიშვებდნენ ტრიბუნამდე და არც სხვა ცნობილ სახეებს, თუ მათ წინასწარ არ ეცოდინებოდათ (აქციის წამყვანს), რის თქმას აპირებდი. მე ამჯერად იმედი მაქვს, რომ ამ ფუფუნების საშუალება ამ ოპოზიციას აღარ ექნება.

***— დღეს ქართულ პარტიას და სახალხო კრებას ერთი და იგივე სტრატეგია აქვთ, თუმცა მათ შორის დაპირისპირება კვლავ გრძელდება, როგორ ფიქრობთ, დადგება ეს ორი ძალა ერთად?***

— არ ვიცი, დაპირისპირება ისეთ ფაზაში შევიდა, რომ ძნელი წარმოსადგენია ჩემთვის, რომ ერთად დადგნენ. საერთოდ მე ვთვლი, რომ ეს დაპირისპირებაც სააკაშვილის გეგმის ნაწილი იყო და ამ გეგმას ორივემ მხარი დაუჭირა თავისი მოქმედებებით. მაშინ კლინიკური შემთხვევა უნდა იყოს სრული უგუნურების, რომ ეს ან ერთ, ან მეორე მხარეს არ ესმოდეს. ის რომ მათ ერთი სტრატეგია და ერთი ტაქტიკა აქვთ, ეს ყველაფერი ძალიან კარგი იქნებოდა მათი ერთიანობის შემთხვევაში. ღმერთმა ქნას, რომ ეს ერთიანობა მოხერხდეს, მაგრამ ჯერჯერობით ამ ერთიანობას მე აქციის ვადებსა და მიმართულებებზეც ვერ ვატყობ. ესეც ძალიან დიდ ეჭვს ბადებს საიმისოდ, რომ რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ამ ყველაფერს. აბსოლუტურად წარმოუდგენელია, თუ მაისში ვიწყებთ რაღაცას, ეს რა გზით უნდა გაგრძელდეს სექტემბრამდე. და საერთოდ, რაც ყველაზე მთავარია, აქ არის საეჭვოდ მაისის თვე. 21 მაისი, ვთქვათ, 5 დღიანი აქცია წარმოვიდგინოთ ყველაზე უკეთეს შემთხვევაში. ხუთდღიანი აქცია და შემდეგ ისევ პომპეზური რაღაც ზეიმის ელფერით დასრულებული 26 მაისს. და კიდევ ერთი განცხადება...

***— რომ გაგრძელდება შემოდგომით?***

— რომ გაგრძელდება შემოდგომით. ზაფხულში ჯერ ისტორიას არ ახსოვს, რომ რამე მომხდარიყო. ამიტომ თვითონ ეს თვე იწვევს ძალიან დიდ ეჭვს ჩემში და საკმარისია 26 მაისს ან რომელიმე დღეს, რომ ოპოზიცია გაიშლება ახლა ველად რეგიონებში და იქ მოამზადებს სიტუაციას. ეს როგორი ნაცნობი მეთოდია ჩემთვის, როცა არ იცი რა აკეთო და გაიყვანო დრო, ეს ძალიან კარგად ვიცით, ვისაც ოდესმე გვიმუშავია პარტიებში, ხელმძღვანელის თუ არა, მოადგილის დონეზე მაინც. ამიტომ თვითონ ეს თარიღიც ძალიან საეჭვოა. გახსოვთ ალბათ, თავიდან სახელდებოდა ადრეული გაზაფხული, მაისი არანაირად არ არის ადრეული გაზაფხული, ფაქტია. შემდეგ ითქვა მიზეზად, რომ 24 აპრილს აღდგომააო, თითქოს ეს მანამდე არ იცოდნენ და მძიმე მარხვის დროს პოლიტიკური დაპირისპირებ აარ გვეკადრებაო. შემდეგ ამას მოჰყვა ბრწყინვალე შვიდეული. ახლა მოვედით 2 მაისამდე, როდესაც ხალხს ჰქონდა მოლოდინი, რომ რაღაც უნდა დაწყებულიყო. შემდეგ ბურჯანაძე გამობრძანდა და თქვა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ გაავრცელა ეს ხმა, თორემ არაფრის დაწყებას არ ვაპირებ, უბრალოდ, განცხადებას გავაკეთებ, როდის დაიწყებაო და ამის შემდეგ გვისახელებენ 21 მაისს. ამ მომენტში მაინც ყველა ადამიანმა, მე როგორც მგონია, მისი ნათქვამი ასე უნდა გაიგოს, რომ 21-ში ვიწყებთ და ვამთავრებთ! ახლა 21 მაისს თუ ვიწყებთ, დეკემბრის ბოლომდე რომ ბრძოლა არ შეიძლება გაგრძელდეს, ეს ფაქტია. ზოგადად ოპოზიციას ის პლუსი აქვს, რომ ეს ის შემთხვევაა, თუ უკან არ დაიხევ და ხელისუფლება დაგამარცხებს, ხელისუფლება უკვე იძულებული გახდება ისეთ გზებზე წავიდეს, რომ შენი მარცხი მაინც გამოიწვევს ხელისუფლების შეცვლას.

***— რვიანს რაც შეეხება, რას ფიქრობთ რვიანის პოზიციაზე?***

— ეს პროცესი რომ თავიდანვე განწირული იყო, ეს მათ თავიდანვე მშვენივრად იცოდნენ. ეს იყო დროის გაყვანის პოლიტიკა. იმიტომ, რომ როცა არაფერს არ აკეთებ ან ვერ აკეთებ და როცა არ გინდა, რომ შენ ადგილზე სხვა მოუშვა, დღეს ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ მარტო მინისტრები კი არა, ოპოზიციონერებიც დანიშნულები არიან და ძვრას ვერ უზამ იმ ადგილიდან. მათ ყველგან დაკავებული აქვთ ადგილები და არ არის გასაკვირი, რომ ასეთი სიტუაცია იქმნება.

***— როგორც ირკვევა, თქვენ მაისში განსაკუთრებულს არაფერს ელით...***

— მე მაისში ველი 26 მაისს, რომელიც ოპოზიციას და ხელისუფლებას უნდა თუ არ უნდა, მაინც იქნება. მაისში ველი ყველა შემთხვევაში იმას, რომ ამ დღის რაღაცა დონეზე აღნიშვნას შეეცდება როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხარე, მაგრამ რომელი როგორ ფორმას აირჩევს, ძნელი სათქმელია. დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ სახალხო კრებაზე, თუ სახალხო კრება არ აპირებს, ისიც საეჭვოა, რომ წლის ბოლომდე სააკაშვილი აღარ იქნება. მაისი არ არის წლის ბოლო, თუ სასწავლო წლის ბოლოს გულისხმობენ, მაშინ ესეც გვითხრან. თუ მაისშია არ არის გადაწყვეტილი ამ აქციის ბოლომდე მიყვანა, ან წარმატებით, ან ისეთი დამარცხებით, რომელიც გამოიწვევს ხელისუფლების დამარცხებასაც, მაშინ ეს არის ტყუილი და მაშინ მაისში არავინ არაფერს არ უნდა ელოდოს, გარდა იმისა, რომ მერე მოვა გარუჯვის დრო, პოლიტიკოსებისთვისაც და სხვებისთვისაც, ვისაც ამის საშუალება ექნება და შემდეგ, სექტემბერში ახალი თემებით ისევ იგივე ხალხი, იმავე არხებზე და გაზეთებში დაიწყებენ საკუთარი პოზიციების რეკლამირებას. ამასობაში არჩევნების დროც მოვა. თუ არ მოხდა სხვა რამ, შესაძლოა სააკაშვილს ამ ეტაპზევე აწყობს საგანგებო მდგომარეობა და მაშინ ერთ-ერთ მომენტს შეარჩევს, როდესაც უნდა მოხდეს აქციის დარბევა. აი, ზუსტად ამ მომენტზეა საუბარი, ამ მომენტისთვის ოპოზიცია მზად არის თუ არა. მზად არის თუ არა, რომ დარბევის შემდეგაც გააგრძელოს ბრძოლა. ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ დარბევა იქნება, მთავარია, რომ მერე არ მოხდეს ოპოზიციის მხრიდან უკან დახევა, რაც იქნება ძალით საკუთარ თავში გაჩენილი იმედი ბოლო ნაპერწკლის ჩაქრობაც მოსახლეობაში, რაც ასევე ხელს აძლევს სააკაშვილს. ვიმეორებ, მოქმედების დრო ნამდვილად არის, ოღონდ ისეთი მოქმედების, რომელიც უნდა გავიდეს ბოლომდე ამა თუ იმ შედეგით, სხვანაირად ადამიანების ქუჩაში გაყვანა ერთმნიშვნელოვნად სააკაშვილის ინტერესებშია.

## ეკატერინე ტყეშელაშვილი აშშ-ში შეხვედრებს მართავს



საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში ეკატერინე ტყეშელაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა.

მინისტრი უკვე შეხვდა „ფრიდომ ჰაუსის“ ხელმძღვანელს დევიდ კრემერს, კონგრესმენებს — დენ ბარტონს და გრეგორი მიკს.

ეკა ტყეშელაშვილი დღეს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო კომიტეტის ხელმძღვანელს ილეანა როს ლეჰტინენსაც შეხვდება.

დაგეგმილია სახელმწიფო მინისტრის შეხვედრები სენატისა და კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში, სადაც ის საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის თემას განიხილავს. საუბარი ასევე შეეხება რეზოლუციას, რომელიც შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ უნდა მიიღოს. ასევე დაგეგმილია ეკატერინე ტყეშელაშვილის შეხვედრები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტშიც.

**მედიანიუსი**



## ედუარდ კოკოითი ბენზინის დეფიციტში მთავრობას ადანაშაულებს

ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი „რესპუბლიკაში“ ბენზინის დეფიციტის შექმნაში საკუთარ მთავრობას ადანაშაულებს. აღნიშნულის შესახებ სააგენტო „რესი“ იტყობინება.

— ბენზინის დეფიციტი სამხრეთ ოსეთში მთავრობის დაუფიქრებელმა ქმედებებმა გამოიწვია. მთავრობამ დროულად არ იზრუნა საწვავის აუცილებელი მარაგის შემოტანაზე, — აღნიშნა კოკოითმა.

კოკოითის თქმით, „სამხრეთ ოსეთში“ საწვავის სტრატეგიული მარაგი არსებობს.

—ბენზინი სასწრაფო სამედიცინო დახმარებისათვის, მილიციისათვის, სახანძრო სამსახურისათვის და არმიისათვის არის, — განაცხადა ედუარდ კოკოითმა.

მოსახლეობას კი ბენზინის მარაგი სამოთხ დღეს ეყოფა.

—ამ დროის მანძილზე, დარწმუნებული ვარ საწვავის შემოტანის პრობლემას გადავჭრით, — აღნიშნა კოკოითმა.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში საწვავის დეფიციტი რუსეთში ანალოგიური პრობლემის გამო შეიქმნა. ე.წ. სამხრეთ ოსეთში ბენზინგასამართ სადგურებზე უზარმაზარი რიგებია.

**მედიანიუსი**

## სახალხო კრებამ ქუთაისში აქცია გამართა

გუშინ ქუთაისის მერიის წინ, სახალხო კრების ადგილობრივმა ორგანიზაციამ გამაფრთხილებელი აქცია გამართა.

სახალხო კრების მონაწილეებმა იმერეთის გუბერნატორ ლაშა მაქაცარიას ქვეყნის პრეზიდენტის ყურმოჭრილი მონა უწოდეს.

ასევე, სახალხო კრების მონაწილეებმა მანქანებით ქუთაისის ქუჩები დროშებითა და ტრანსფარატებით შემოიარეს და მოსახლეობას 21 მაისს დაგეგმილი საპროტესტო აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდეს.

**ინტერპრესნიუსი**

## 21-ე საუკუნის ბოლოსთვის მსოფლიოს მოსახლეობა 10,1 მილიარდს მიაღწევს

გაეროს ინფორმაციით, მსოფლიოს მოსახლეობა 21-ე საუკუნის შუა პერიოდში 9 მილიარდი იქნება, ხოლო საუკუნის დასასრულს ეს მონაცემი 10,1 მილიარდამდე გაიზრდება. მოსახლეობის ზრდა ძირითადად აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის კონტინენტებზე შეიმჩნევა. საუკუნის განმავლობაში აფრიკის მოსახლეობა 1 მილიარდიდან 3,6 მილიარდამდე გაიზრდება.

საპირისპირო მონაცემია დაფიქსირებული ევროპის სახელმწიფოებთან მიმართებაში, სადაც შობადობის დაბალი მაჩვენებლის გამო მოსახლეობის დაბერება აღინიშნება.

**მედიანიუსი**

# საპარლამენტო უმრავლესობა კახი კალაძისათვის გამონაკლისის დაშვებას არ აპირებს



საპარლამენტო უმრავლესობა საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტან კახი კალაძისათვის გამონაკლისის დაშვებას არ აპირებს

— ყველამ უნდა შეასრულოს აღებული ვალდებულება, იქნება ეს კახი კალაძე თუ სხვა, - ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა ფეხბურთელ კახი კალაძის „არსენალ სითის“ პროექტის პირობების შესრულების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა.

— თუ რაიმე ვალდებულება არსებობს, რომელიც არ შესრულებულა, დარწმუნებული ვარ, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება, რომ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ქონება სახელმწიფოს დაუბრუნდეს. აღნიშნული გადაწყვეტილება იქნება ლოგიკური, რადგან ქონების გადაცემა ხდება პირობით და თუ ეს პირობა არ შესრულდება მოყვება შესაბამის ქმედება, — განაცხადა კუბლაშვილმა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტან კახი კალაძესა და მთავრობას შორის „არსენალ სითის“ პროექტთან დაკავშირებით მოლაპარაკებები შეჩერებულია და „კალა კაპიტალს“ საპრივატიზაციო დარღვევებისთვის, ყოველდღიურად 19 ათასი აშშ დოლარის საურავი ერიცხება. **პრაიმ-ნიუსი**

# მსოფლიო ბანკი დამატებით 235 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს

მსოფლიო ბანკი ზრდის საქართველოსადმი მხარდაჭერას და მომდევნო ორი წლის განმავლობაში დამატებით 235 მილიონ აშშ დოლარს გამოუყოფს.

როგორც პრაიმ-ნიუსს ბანკის საქართველოს წარმომადგენლობიდან აცნობეს, დღეს მსოფლიო ბანკმა წარმოადგინა 2010-2013 წლების საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგიის განხორციელების შუალედური ანგარიში. სტრატეგია შემუშავდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის და გლობალური ეკონომიკური ვარდნის ორმაგი კრიზისის ფონზე. აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება ორ მიმართულებას: კონფლიქტის შემდგომი საჭიროებების უზრუნველყოფა და მოწყვლადობის დაძლევა; კონკურენტუნარიანობის გაძლიერება კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ეკონომიკის აღდგენის და ზრდის მიზნით.

— მოხარული ვართ, რომ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებულ პროგრამებს კარგი შედეგები აქვს. ამიტომაც, მსოფლიო ბანკი დამატებით გამოყოფს 235 მილიონ აშშ დოლარს მომდევნო ორი წლის განმავლობაში, რაც მიმართული იქნება ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებისა და მოწყვლადი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. თანხის დიდი ნაწილი მოხმარდება ადგილობრივი და შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესებას და რეგიონალურ განვითარებას, — განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, ასად ალამმა.

2009 წლიდან ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამების ძირითადი მიღწევები: განახლდა 600 კმ-მდე გზა და შეიქმნა 20,000 კაცი-თვე სამუშაო ადგილი; გზების გაუმჯობესების შედეგად უფრო ხელმისაწვდომი გახდა ბაზრები და სოციალური მომსახურება აშენდა 7 ახალი სკოლა, სადაც 4,150 მოსწავლე სწავლობს და 300-ზე მეტი მასწავლებელი მუშაობს სამედიცინო დარგის დაახლოებით 1800 მუშაკმა სპეციალური მომზადება გაიარა და ოჯახის ექიმი გახდა. ამბროლაურში აშენდა 25-საწოლიანი საავადმყოფო. გორში გაიხსნა პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრი, რომელიც დაახლოებით 69,000 ბენეფიციარს ემსახურება (მათგან 10,000 იძულებით გადაადგილებული პირია) მიზნობრივი სოციალური დახმარების სქემა 408,367 ბენეფიციარს მოიცავს

ასევე, აფართოვდა გადასახადების ელექტრონულად დეკლარირების სისტემა, რომელმაც ყველა სახის გადასახადი მოიცვა. ამის შედეგად, 2010 წელს ყველა დეკლარაციის 75%-ი ელექტრონული ფორმით იყო წარდგენილი. მაგალითისათვის, 2009 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 10%-ს უდრიდა.

ბანკი განაგრძობს ყოვენლიური განვითარების პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს სოციალური უსაფრთხოების, ფისკალური ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას. გაიზრდება ინვესტიციები ადგილობრივ და შიდასახელმწიფოებრივ გზებში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მასშტაბით რეგიონების დაკავშირებს და ხელმისაწვდომობას ბაზრებსა და საზოგადოებრივ მომსახურებებზე, განსაკუთრებით სოფლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოკლევადიანი სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკურ გაჯანსაღებას. რეგიონალური განვითარების პროგრამა, რომელიც თავდაპირველად კახეთის რეგიონში განხორციელდება, მიმართული იქნება საზოგადოებრივი მომსახურებების მიწოდებაზე, თბილისსა და სავჭრო ადგილებს შორის სატრანსპორტო კავშირების უზრუნველყოფაზე და შერჩეულ სექტორებში ზრდის პოტენციალის მხარდაჭერაზე. **პრაიმ-ნიუსი**

# ახალციხეში ახალი ჰესის მშენებლობა დაიწყო

ახალციხეში ახალი ჰესის მშენებლობა დაიწყო. სამშენებლო სამუშაოებს ავსტრიული, გერმანული და ინდური კომპანიები ერთობლივად ჩაატარებენ.

ახალციხის 500, 400 და 220 კილოვატიანი ქვესადგურის მშენებლობაზე 400 ადამიანია დასაქმებული. მათი უმრავლესობა კი ადგილობრივი მოსახლეა. პროექტზე მუშაობა 2010 წლის პირველ სექტემბერს დაიწყო, მისი საკონტრაქტო ღირებულება 158,8 მილიონი ევროა. **პრაიმ-ნიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# სამართალი ხელისუფლებამდე აუცილებლად მივა



**„სახალხო კრების“ მიერ დაარსებულმა მოძრაობამ „სამართალი მოდის“ აქცია გამართა. აქცია ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის შენობასთან გაიმართა.**

**საყვირებით და ტრანსპარანტებით „შეიარაღებულმა“ აქციის მონაწილეებმა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელს დავით ბურდულს სახელმწიფო სამსახურის დატოვებისკენ მოუწოდეს.**

**მოძრაობა „სამართალი მოდის“ წევრები სახელმწიფო ჩინოვნიკებს მოუწოდებენ, 21 მაისამდე დატოვონ თანამდებობა და ქუჩაში გამოსული ხალხის გვერდით დადგნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, როგორც აქციის ორგანიზატორები ამბობენ, მათ სამართლიანი სასამართლო პროცესის წინაშე მოუწევთ წარდგომა.**

**აქციის მონაწილეების განცხადებით, მსგავსი საპროტესტო გამოსვლები პერმანენტულად გაიმართება.**

**მოძრაობა „სამართალი მოდის“ ლიდერების განცხადებით, გუშინ აქციები თბილისის სხვადასხვა რაიონში და საქართველოს ხუთ რეგიონში ჩატარდა.**

ნათია ხურცილავა

**შალვა ოგბაიძე, მოძრაობა „სამართალი მოდის“ ხელმძღვანელი:**

— თბილისის გარდა, ანალოგიური აქცია ტარდება საქართველოს ძალიან ბევრ რაიონში, სადაც მონაწილეობას ღებულობს სახალხო კრების ათეულ ათასობით მხარდამჭერი. ეს აქციები ტარდება „სახალხო კრების“ კამპანიის „სამართალი მოდის“ ეგიდით, რომელიც ითვალისწინებს, კიდევ ერთხელ შეახსენოს გამგებლებს, რომ სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის დროს ფრთხილად იყვნენ და მოერიდონ უკანონო გადაწყვეტილებების მიღებას. ჩვენ ვაფრთხილებთ გამგეობის ყველა პატიოსან თანამშრომელს, ასეთები ღვთის მადლით ბევრნი არიან, რომ დემონტაჟის დროს არ მოყვნენ ნამსხვრევებში, ხოლო გამგებლებს ვთხოვთ, ნუ გადაიქცევიან ნაციონალური მოძრაობის რაიონულ ოფისებად. ნებისმიერი აქცია მშვიდობიანი, კონსტიტუციით მონიჭებული უფლების ფარგლებში ტარდება ჩვენი მხრიდან. ეს არის ბრძოლის საშუალება, ბრძოლას კი ყოველთვის აქვს აზრი. როდესაც მოძალადე რეჟიმი გჩაგრავს, გდევნის, გართმევს ქონებას, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ განსხვავებული აზრი გაქვს. ხშირ შემთხვევაში აწყობს საგადასახადო ეგზეკუციას. ხშირ შემთხვევაში იჭერს კიდეც ადამიანებს, ამას რომ შეეგუო, ეს უბედურებაა. ჩვენ არ ვაპირებთ შეგუებას, ამდენად, ჩევნი აქციები ითვალისწინებს ჩინოვნიკებისთვის შეხსენებას, რომლებიც რეჟიმს ემსახურებიან და ქვეყანას, რომ სამართალი მოვა. არასდროს არავინ არ რჩება დაუსჯელი. მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის გაათავისუფლოს გამგებელმა ადამიანი სამსახურიდან, რომ მისი მეუღლე რომელიმე ოპოზიციური პარტიის მიტინგზე იყო, ეს საშინელებაა.

***— კონკრეტულად იყო ასეთი შემთხვევა?***

— რისთვის არის ეს ხალხი შეკრებილი, ხალხის პროტესტს რა განაპირობებს, როგორ ფიქრობთ? ერთი ადამიანის ხუშტური თუ ძალიან ბევრი ადამიანის პროტესტი. შარშან 1510 ადამიანმა ნებაყოფლობით თავის ქონება სახელმწიფოს ჩააბარა. რაც შეეხება ბიზნესმენებს, მათ წაერთვათ ბიზნესი და საქართველოს ბიუჯეტს ჯარიმების ბიზნესი დაერქვა. საქართველო გადაიქცა ნაციონალების ქვეყნად. თუ ადამიანი ნაციონალი არ არის ან მათთან დაახლოებული პირი, ის მეორეხარისხოვანია თავის ქვეყანაში. ამ ადამიანებმა ხმა ამოიღეს და თავიანთ უფლებებს იცავენ. ამ რეჟიმის მომსახურე ჩინოვნიკებს ახსენებენ, რომ სამართალი მოდის, მართალია სამართალი ურმით მოდის, მაგრამ მაინც მოდის.

სანდრო დონაძე, „სახალხო კრების“ თბილისის კოორდინატორი:

***— „სახალხო კრების“ წევრებმა აქცია გავმართეთ „სამართალი მოდის“ ფარგლებში. ეს აქცია ერთდროულად ტარდება თბილისის ყველა გამგეობასთან, ასევე საქართველოს მასშტაბით ყველა დიდ რაიონულ ცენტრში. სააკაშვილის ხელისუფლების დამქაშების წინააღმდეგ, როგორიც არიან გამგებლები. ყველა ჩინოვნიკი მკაცრად გავაფრთხილეთ, რომ ყველას ძალიან მკაცრად მოეთხოვება პასუხი, ვინც უკანონო ბრძანებებს ასრულებს. საუბარია უკანონო გადაწყვეტილებებზე, რომელსაც ამ ხელისუფლების დამქაშები იღებენ ჩვენი მოსახლეობის წინააღმდეგ.***

ლევან ჩიტაძე, მოძრაობა „არას“ თავმჯდომარე:

— ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელ დავით ბურდულს ჩვენ ვადანაშაულებთ საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის სხვადასხვა მუხლების დარღვევაში. ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბრალდება არის ის, რომ მან ბოროტად ისარგებლა და თანამდებობას გადაამეტა, კორუფციულ გარიგებაში შევიდა არაერთ მაღალჩინოსანთან. მისი კორუფციული დარღვევების ნუსხა 2008 წლის არჩევნებიდან იწყება, როდესაც ის არჩევნების გაყალბებაში სერიოზულ მონაწილეობას ღებულობდა. ლომის წილი აქვს შეტანილი არჩევნების დროს ამ პროცესში. ასევე მინდა დავაფიქსირო ის, რაც ხდება გამგეობის მისაღებში. როდესაც მე წერილი შევიტანე გამგებლის სახელზე, იქ მოხუცი ქალბატონი ეჩხუბებოდა ერთ-ერთ თანამშრომელს. როდესაც სოციალურად გაჭირვებული ადამიანები მოდიან გამგებელთან და დახმარებას სთხოვენ, როდესაც ისინი სიღატაკის ზღვარს ქვევით არიან და ითხოვენ დახმარებას, მათ გამგეობა ირონიულ პასუხს აძლევს. გამგებლის ირონიული პასუხი არაეთიკური საქციელია თანამდებობის პირისთვის. მინდა შევახსენო დავით ბურდულს, რომ თანამდებობის პირს მოთმენის ვალდებულება აქვს. მან უნდა მოითმინოს, როდესაც თავად არის კანონდამრღვევი და დანაშაულს სჩადის, არანაირი მორალური უფლება არ აქვს, რომ ვილაცას შეურაცხყოფა მიაყენოს. გამგებელი თავისი ქმედებებით შეურაცხყოფას აყენებს ვაკე-საბურთალოს რაიონის მოსახლეობას. ჩვენ 21 მაისამდე ვაძლევთ ამ ადამიანს ვადას, რომ ბოდიში მოიხადოს და თავისუფალი სასამართლოს პირობებში სასამართლო გაითვალისწინებს ამ ჩინოვნიკის ქმედებას. მოვუწოდებთ, დადგეს ხალხთან ერთად და დაანებოს თავი ვანო მერაბიშვილის ბრძანებების შესრულებას და მიხეილ სააკაშვილის მონობას. ჩინოვნიკებს მოვუწოდებთ, მიხეილ სააკაშვილის მონობის უღელი გადააგდონ.

***— მსგავსი აქციები გაგრძელდება სახელმწიფო ოფისებთან?***

— ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო, რადგან მთელი საქართველოს მასშტაბით რაიონულ ცენტრებში, ცენტრალურ გამგეობებში, სადაც ყველაზე მეტად ირღვევა ადამიანის უფლებები, ყველაზე მეტად არიან კორუმპირებული გამგებლები, მათ წინააღმდეგ ერთობლივი აქცია გაიმართა. დაახლოებით 18 ათასამდე ადამიანი იყო გამოსული გამგეობებთან თუ სხვა ადგილებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისინი აპროტესტებდნენ უსამართლობას, რომელიც ქვეყანაშია. ყველა ადამიანი ამბობდა, რომ სამართალი აუცილებლად მოვა. დღეს მთავარი მესიჯებია: „სამართალი მოდის“ და „არა უსამართლობას“. დარწმუნებული ვარ, რომ ვანო მერაბიშვილი და მისი ოდეერები საკმაოდ შეშინებულები არიან. არ ყოფნით პოლიციის თანამშრომლები, რომ გადაანაწილონ მერიებთან და გამგეობებთან. დღეს გამგეობასთან პატრულის სამი ეკიპაჟია მობილიზებული, სხვა დროს 10-12 პატრულის ეკიპაჟი დაგვყვებოდა ხოლმე. ამ მნიშვნელოვან დღეს ნამდვილად ცოტანი არიან და ველარ ახერხებენ ობიექტების დაცვას. დარწმუნებული ვარ, როდესაც სამართალი მოვა, ესენი უსამართლობას ველარ დაიცავენ. ვფიქრობ, არც უნდა დაიცვან. აქამდეც დიდი შეცდომა დაუშვეს, უსამართლობას რომ იცავდნენ.

***— მოძრაობა „არა“ „სახალხო კრებაშია“ გაერთიანებული?***

— ჩვენ ვართ „სახალხო კრების“ მხარდამჭერი ორგანიზაცია. შევუერთდით „სახალხო კრებას“ და ხალხთან ერთად ვიბრძვით. თუ არა ხალხის გვერდით, არ ვიცი სად, მიშას კაბინეტში რომ ევაჭროს, ორი პარლამენტარით მეტი ჰყავდეს პარტიაში? ეს ჩემთვის წარმოუდგენელია.

ნახევარი საათის შემდეგ აქცია დაიშალა. აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მოძრაობა „არას“ ხელმძღვანელმა გამგებლის სახელზე გამგეობაში წერილი შეიტანა.

# ბათუმის საკრებულოსა და მთავრობის სახლის წინ აქცია გაიმართა

„სამართალი მოდის“ კამპანიის ფარგლებში, „სახალხო კრებამ“ ბათუმის საკრებულოსა და მთავრობის სახლის წინ აქცია გამართა. აქტივისტებმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს 21 მაისს ევროპის მოედანზე დაგეგმილი საპროტესტო აქციის შესახებ მიმართვა გაუგზავნეს.

„სახალხო კრებამ“ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები კონსტიტუციური უფლებების დარღვევაშიც დაადანაშაულა.

მსგავს აქციებს აქტივისტები აჭარის ყველა რაიონულ ცენტრში გეგმავენ. **პრაიმ-ნიუსი**

# საბერძნეთში საქართველოს 4 მოქალაქე დააკავეს

საბერძნეთში ყაჩაღობისა და ქურდობის ბრალდებით საქართველოს 4 მოქალაქე დააკავეს.

წინასწარი ინფორმაციით ქართველებმა საბერძნეთის საზღვარი არალეგალურად გადაკვეთეს და რამდენიმე წლის განმავლიბაში 31 დანაშაული ჩაიდინეს. ისინი ძირითადად საცხოვრებელ სახლებს ძარცვავდნენ.

დაკავებულების ვინაობა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ხმაურდება. ჩხრეკისას ძალოვანებმა დიდი რაოდენობით თანხა და ოქროულობა ამოიღეს. **პრაიმ-ნიუსი**

# მეტროსადგურ „ავლაბართან“ უცნობი ქალბატონის ცხედარი იპოვეს

თბილისში, მეტროსადგურ „ავლაბართან“ მდებარე სკვერში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა უცნობი ქალბატონის ცხედარი აღმოაჩინეს.

როგორც „მედიანიუსს“ სასწრაფო დახმარების სამსახურში განუცხადეს, გარდაცვლილი დაახლოებით 55 წლის ქალბატონია.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს, თუმცა სასწრაფო დახმარების ექიმებს ადგილზე ქალბატონი უკვე გარდაცვლილი დახვდათ. **მედიანიუსი**

# სააკაშვილი იმ მამაოებს ებრძვის, რომლებიც აქციებს ესწრებოდნენ



ქეთი ხომერიკი

30 აპრილს „ორმოცდაათიანელებმა“ ავჭალის პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე საკნები გაშალეს, სადაც ანტიმართლმადიდებლურ რიტუალებს ატარებდნენ. ავჭალის პოლიციის თანამშრომლები თავიანთი ხელმღვანელის მეთაურობით კი ამას არხეინად უყურებდნენ, მეტიც, მრევლთან ერთად მისულ ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრის მოძღვარ, მამა გიორგი რაზმაძეს, ავჭალის პოლიციის უფროსის მოადგილემ, გიორგი კილასონიამ პირდაპირ განუცხადა, რომ ვინც საკანს ახლოს მიეკარებოდა და „ორმოცდაათიანელებს“ შეეხებოდა, დააპატიმრებდნენ. „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრის, გია ყრუაშვილის თქმით, „ორმოცდაათიანელებმა“ საკნები პოლიციის თანამშრომლების დავალებით გაშალეს, მამა გიორგის პროვოკაციაზე წამოგება და მისი დაპატიმრება იგეგმებოდა. „სააკაშვილი ებრძვის იმ მამაოებს, რომლებიც აქციებს ესწრებიან და მის პოლიტიკას არ იწონებენ, ერთ-ერთი ასეთი მოძღვარი კი მამა გიორგი რაზმაძეა“, — აცხადებს, ყრუაშვილი.

საქართველოში „ორმოცდაათიანელები“ (სექტაა) არცთუ ისე დიდი ხნის წინ გამოჩნდნენ. ძნელია ზუსტად აღირიცხოს ამ მოძრაობის მიმდევართა რიცხვი, თუმცა დაახლოებით შეიძლება ითქვას, რომ მათი რიცხვი 50 მილიონს აჭარბებს, ისინი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არიან გავრცელებული. „ორმოცდაათიანელები“ რამდენიმე მიმართულებით იყოფიან. ძირითადი, რაც მათ საერთო აქვთ, ეს არის მადლმოსილი გაბრწყინვებისკენ მისწრაფება და ენათა ნიჭის გამომჟღავნება. „ორმოცდაათიანელთა“ უმრავლესობა აღიარებს ყოვლადწმიდა სამებას, ადამიანში პირველქმნილ ცოდვას, მაცხოვრის ღმრთაებას და მის გამომხსნელ მსხვერპლს. ისინი აღიარებენ ნათლობას წყალში შთაფლვით და ზიარებას — „საიდუმლო სერობას“, რომელსაც უთავსებენ რიტუალს — „ფეხთა განბანვას“. მაგრამ სამოციქული მემკვიდრეობას, მღვდლობას და სხვა საიდუმლოებებს, თავიანთი პროტესტანტული წარმომავლობის გამო, ისინი უარყოფენ.

„ახალი თაობა“ ამ საკითხზე „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრ, გია ყრუაშვილს ესაუბრა.

**გია ყრუაშვილი:**

— სანამ საუბარს კონკრეტული თემის ირგვლივ დავიწყებდე, მინდა „ახალ თაობას“ დიდი მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ მკითხველამდე სწორი ინფორმაციის, სიმართლის მიტანას ცდილობთ და ეს გამოგდით კიდეც. აი, ამას დღეს, სამწუხაროდ, ბევრი მედიასაშუალება არ აკეთებს. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს მიხეილ სააკაშვილი გულზე არ ეხატება და მე მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით სრულიად საქართველოს ვუთხრა და დავპირდე ერთ რამეს — სააკაშვილის ბოგინი საქართველოში ძალიან მალე დასრულდება. აქვე მინდა, ერთი კითხვა დავუსვა ქართველ საზოგადოებას. გამაგებინეთ, ვინ ვართ ჩვენ — მართლმადიდებელი მორწმუნენი, თუ ფარისევლები? თუ მორწმუნენი ვართ, მაშინ რისთვის იხდის ის 8 ბიჭი, „მართლმადიდებლური მოძრაობის“ წევრ ახალგაზრდებს ვგულისხმობ, სასჯელს საპატიმროში? არცერთი ნორმალური ქვეყანა არ აპატიებდა ხელისუფლებას ამ ბიჭების დაკავებას და საერთოდ, იმ ყველაფერს, რასაც სააკაშვილი სჩადის. აი, ჩვენ კი მას ყველაფერს ვპატიობთ. ჩვენ ვაშენებთ ისეთ ქვეყანას, სადაც ყველაფერი ქართული ამოშანთული და განადგურებულია. საქართველოში ადრე თუ მრუში ცოლის ყოლა სირცხვილი იყო, ახლა პატიოსანი ცოლის ყოლაა სირცხვილი. საქართველომ მხარი სააკაშვილის ღრეობებს, იაღოველების პარპაშს და ათას უბედურებას დაუჭირა. და სწორედაც რომ ამ მხარადმჭერის შედეგია ის, რაც რამდენიმე დღის წინ „ორმოცდათიანელებმა“ გაბედეს.

***— იქნებ დეტალურად გვიამბოთ, თუ რა მოხდა 30 აპრილს ავჭალის პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა უნდოდათ იქ „ორმოცდაათიანელებს“, მრევლი როგორ შეხვდა მათ ქმედებას და მრევლსა და „ორმოცდაათიანელებს“ შორის შეხლა-შემოხლას ხომ არ ჰქონია ადგილი?***

— 30 აპრილს „ორმოცდაათიანელებმა“ ავჭალის დასახლებაში, პირდაპირ მერაბიშვილის საამაყო და გამჭირვალე პოლიციის შენობის წინ 80-მეტრიანი საკანი გაშალეს, სადაც ანტიმართლმადიდებლურ რიტუალებს ატარებდნენ. მე იქ ვიმყოფებოდი და ჩემთვის ეს ყველაფერი, ისევე, როგორც მამაოსთვის და მრევლისთვის საშინელი სანახავი იყო. როგორც კი შეიტყო, იმ წამსვე მივიდა იქ ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა გიორგი რაზმაძე თავის მრევლთან ერთად. და იცით, რა მოხდა? მამა გიორგის და მის მრევლს ავჭალის პოლიციის უფროსის მოადგილემ, კილასონიამ პირდაპირ განუცხადა, რომ ვინც საკანს ახლოს მიეკარებოდა და „ორმოცდაათიანელებს“ შეეხებოდა, გაიზიარებდა მართლმადიდებლური მოძრაობის წევრების, იმ 8 დაკავებული ახალგაზრდას ბედს და ყველანი 7-8 წლით ციხეში წავიდოდნენ. აი, სააკაშვილის ხელისუფლებას იმ 8 ბიჭის დაკავება რომ შევარჩინეთ, იმიტომაც გაბედეს ამდენი. პოლიციელებთან და მათ ხელმძღვანელ კილაძესთან არანაირ საუბარს აზრი არ ჰქონდა, იქ ჩვენ ერთი ამბავი, რომ აგვეტეხა და პროტესტი რადიკალურ ფორმებში გამოგვეხატა, მამაოსაც დააკავებდნენ და ჩვენც, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით ზევიდან მიგვაყოლებდნენ. ამიტომაც დავიშალეთ და გამწარებულებმა დავტოვეთ იქაურობა.

***— ავჭალის პოლიციის უფროსის მოადგილემ ეს მამაოს პირდაპირ უთხრა და სხვა ადგილი ვერ ნახეს „ორმოცდაათიანელება“, ასე გააფთრებით რატომ იცავდა მათ პოლიცია, რატომ მიანიჭეს მათ უპირატესობა და რატომ იყვნენ მზად, რომ მათ გამო მამაოც კი დაეპატიმრებინათ?***

— დიახ, ავჭალის პოლიციის უფროსმა კილაძემ პირდაპირ ასე უთხრა მამა გიორგის. მინდა გითხრათ, რომ „ორმოცდაათიანელები“ საკმაოდ გამომწვევად და გამაღიზიანებლად იქცეოდნენ, ენას გვიყოფდნენ და აშკარად ჩვენს პროვოკაციაზე წამოგებას ცდილობდნენ. აი, ამიტომაც წამოვედით, აბა, რა გვექნა, თავს ხომ არ დავაჭერინებდით? მათაც ხომ ეს უნდოდათ. „ორმოცდაათიანელები“ ასე გამაღიზიანებლად პოლიციის თანამშრომლების დავალებით იქცეოდნენ. საკნების გაშლაც შეგნებულად იყო მოწყობილი. ეს საკნები სპეციალურად გაშალეს იმ ადგილებში, სადაც ისეთი მამაოები მსახურობენ, რომლებსაც სააკაშვილის პოლიტიკა არ მოსწონთ, ანუ მამა გიორგის პროვოკაციაზე წამოგება იყო დაგეგმილი. მამა გიორგი ამას ვერ მოითმენს და ამ მიზეზით დავაკავებთო, ფიქრობდნენ ისინი. სააკაშვილი ებრძვის იმ მამაოებს, რომლებიც აქციებს ესწრებოდნენ და მის პოლიტიკას არ იწონებენ. ერთ-ერთი ასეთი მოძღვარი, მამა გიორგი რაზმაძეა. ფიქრობდნენ რომ ჩვენ და მრევლი თავს ვერ შევიკავებდით, „ორმოცდაათიანელებს“ დავერეოდით და ამ მიზეზით დაგვაკავებდნენ.

***— დარწმუნებული ხართ, რომ ეს ყველაფერი მამა გიორგის პროვოკაციაზე წამოგების მიზნით დაიგეგმა, სააკაშვილის ხელისუფლება უკვე მამაოების დაკავებას გეგმავს? და „ორმოცდაათიანელები“ იქ დარჩნენ?***

— დიახ, მათ მამა გიორგის დაკავება უნდოდათ, ამაში ეჭვიც არ მეპარება. კი იქ დარჩნენ და რამდენიმე დღე განაგრძობდნენ ანტიმართლმადიდებლური რიტუალების ჩატარებას. ხედავთ, ხალხნო, რა ანტიქრისტე მართავს ჩვენ ქვეყანას? შსს თანამშრომლები „ორმოცდაათიანელების“ საკნებს გააფთრებით იცავდნენ. ისინი მათ ცივ ნიავს არ აკრებდნენ. და ეს მაშინ, როდესაც ერთი ყუთი სასმელი, რომ მიიტანო პოლიციის წინ და იქვე დალიო ცემაში სულს ამოგხდიან, ციხეში გიკრავენ თავს და იქიდან, კარგა ხანი ცხვირს არ გამოგაყოფინებენ. აი, ასე გახრწნა ანტიქრისტე სააკაშვილმა ხალხი. სააკაშვილი მწარედ გვატყუებს, როდესაც გვეუბნება, რომ პოლიცია საქართველოს მოსახლეობას იცავს, ის მხოლოდ და მხოლოდ, სააკაშვილის ბანდის წევრებს იცავს. დიახ, ქართული პოლიცია მხოლოდ „ორმოცდაათიანელებს“, დეისაძეებს, ბურჭულაძეებს და მისნაირებს იცავს გააფთრებით, მეტიც, ცივ ნიავს არ აკარებს. პოლიცია სააკაშვილის და მერაბიშვილის დავალებით ყველაფერ ქართულს, ჩვენს ფასეულობებს, ტრადიციებს, სარწმუნოებას, ეკლესიას, მამაოებს და ა.შ გააფთრებით ებრძვის. იმ პოლიციის თანამშრომლებს მინდა, ერთი რამ ვუთხრა: ნუ აიკიდებენ უამრავ ცოდვას და სააკაშვილი-მერაბიშვილის მიერ მიცემული პრემია-ხელფასების გამო თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებენ. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა არავის ეპატიება, არც არავის შერჩენია და ახსოვდეთ ეს. ნუ მონაწილეობენ ქართველი ხალხის დარბევებში. სხვათა შორის, მე ვიცი ერთი შსს-ს თანამშრომლის მეუღლე, რომელიც ამბობდა, რომ რა კარგი იყო აქციები, მაშინ ჩემი მეუღლე ხალხის დარბევაში 1000 ლარს იღებდაო. მოვუწოდებ ქართველ საზოგადოებას, რომ დავდგეთ ერთად და ვიბრძოლოთ ამ რეჟიმის მოსაშორებლად, დრო აღარ ითმენს, ხალხო.

„ახალი თაობა“ ამ საკითხზე ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრის მოძღვარს, მამა გიორგი რაზმაძეს ესაუბრა.

**მამა გიორგი რაზმაძე:**

— არანაირი ნებართვა ქალაქის მერიისაგან კარვების გაშლის თაობაზე მათ არ ჰქონიათ. უბრალოდ, ასე მოისურვეს, ერთმანეთში შეთანხმდნენ და გაშალეს კარვები. პოლიციის უფროსმაც კი დაადასტურა, რომ მითითება გვაქვს, დარეკილია ზემოდან, რომ ამათ არ შევეხოთო. მეტიც, ბრძანება გვაქვს, დააკავეთ ნებისმიერი, ვინც ამათ ხელს შეუშლისო. ორი დღის განმავლობაში ბოგინობდნენ და მიდიოდა შეურაცხყოფა სარწმუნოების. პატარა ბავშვები მიჰყავდათ და ატარებდნენ ნათლობას და იყო ერთი ორგიები. და, აი, ამას არხეინად და კმაყოფილი სახით უყურებდნენ პოლიციელები, მათი მეთაურის თამადობით.

## სირიიდან საქართველოში ათი ქართველი სტუდენტი ბრუნდება

გუშინ სირიიდან საქართველოში ათი ქართველი სტუდენტი ბრუნდება. ქართველები სირიაში არაბულ ინსტიტუტში სწავლობდნენ. ამ ინსტიტუტში ქართველი სულ 11 სტუდენტი ირიცხებოდა, მათგან ათი საქართველოში ბრუნდება, ერთი კი კვლავ სირიაში გააგრძელებს სწავლას.

როგორც თავად სტუდენტები აცხადებენ, სირიაში განვითარებულ მოვლენებს მათთვის ხელი არ შეუშლია. სასწავლო კურსი დასრულდა და სამშობლოში მხოლოდ ამიტომ ბრუნდებიან.

საქართველოს საელჩოს მონაცემებით, სირიაში კიდევ რჩება რამდენიმე ათეული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოს საგარეო უწყება ქვეყანაში დაბრუნებისკენ მოუწოდებს.

შეგახსენებთ, რომ სირიაში დემონსტრანტებსა და სამართალდამცველებს შორის შეტაკებები მიმდინარეობს.

მედიანიუსი

## სტამბოლში საქართველოს მოქალაქე მოკლეს

სტამბოლში თურქმა ქართველი მოკლა. არსებული ინფორმაციით, ინციდენტს შელაპარაკება უძღოდა წინ. კონფლიქტის მიზეზი კი, გარდაცვლილის ოჯახის მტკიცებით, რევაზ ჯგერენაიას კუთვნილი ხელფასი გახდა, რომელიც ბოლო პერიოდში არ მიუღია.

ჯგერენაია სტამბოლში მშენებლობაზე მუშაობდა. გარდაცვლილის ოჯახი ცხედრის გადმოსვენებაში დახმარებას საქართველოს საკონსულოს სთხოვს.

მკვლელობა, სავარაუდოდ, სამი დღის წინ მოხდა, ოჯახმა მომხდარის შესახებ წუხელ შეიტყო.

ინტერპრესნიუსი

## სლოვაკეთში საქართველოს ელჩმა ქვეყნის პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელები გადასცა

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სლოვაკეთის რესპუბლიკაში ალექსანდრე ნალბანდოვმა რწმუნებათა სიგელები გადასცა სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ივან გაშპაროვიჩს.

ოფიციალაური ცერემონიის დასრულების შემდეგ, საქართველოს ელჩთან საუბრისას, პრეზიდენტმა გაშპაროვიჩმა დაადასტურა სლოვაკეთის რესპუბლიკის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე მისი ინტეგრაციის მიმართ ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.

მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ეკონომიკის სფეროს განვითარების მნიშვნელობაზე.

ივან გაშპაროვიჩმა ალექსანდრე ნალბანდოვს მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა

მედიანიუსი

## პარლამენტში გენდერული ძალადობის დაძლევაზე იმსჯელებენ

დღეს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, ოჯახში ძალადობის საუწყებათაშორისო საბჭოსა და გაეროს მოსახლეობის ფონდის ორგანიზებით გაიმართება მულტისექტორული შეხვედრა თემაზე: „თანამშრომლობა გენდერული ძალადობის დაძლევისათვის საქართველოში“.

შეხვედრის მიზანია ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობისა და თანამშრომლობის სამწლიანი შედეგების, მიღწევების, გამოწვევებისა და მიღებული გამოცდილების მიმოხილვა და შეჯამება.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვლენ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, მისი მოადგილე და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე რუსუდან კერვალიშვილი, ოჯახში ძალადობის საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარე ლალი ფაფიაშვილი, გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში ჯეიმი მაკგოლდრიკი და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი თამარ ხომასურიძე.

პროექტი „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ საქართველოში გაეროს მოსახლეობის ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით 2008 წლიდან ხორციელდება.

მედიანიუსი

## აშშ საქართველოს მოქალაქეებისთვის ამერიკის ვიზის მოქმედების ვადას ზრდის



აშშ-ის მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს მოქალაქეებისთვის ამერიკის ვიზის მოქმედების ვადა იზრდება. ამის შესახებ გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ და აშშ-ს ელჩმა ჯონ ბასმა განაცხადეს.

ჯონ ბასის თქმით, იმის გამო, რომ ამერიკის მოქალაქეები საქართველოში უვიზო რეჟიმით სარგებლობენ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გადაწყვეტილება მიიღო გაეხანგრძლივებინა ამერიკის ვიზის მოქმედების მაქსიმალური ვადა მრავალ კატეგორიაში. მრავალჯერადი სარგებლობის Xაყრჟდქწზლღ-ის კატეგორიების ვიზიტის მოქმედების ვადა გაიზრდება ერთი წლიდან ხუთ წლამდე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ამერიკის ვიზების მოქმედების ვადის გახანგრძლივება საქართველოს მოქალაქების სასარგებლოდ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეაფასა.

ვიზის მოქმედების ვადების გაზრდის პირობებში ამერიკის ვიზის კვალიფიციურ მაძიებლებს საქართველოში არ მოუწევთ ყოველ წელიწადს განაცხადის შეტანა ვიზიტის მოთხოვნით.

ამერიკის ვიზის გაცემის პროცედურებში ცვლილებები არ განხორციელებულა.

მედიანიუსი

## რესპუბლიკელები დამნაშავე ტოტალიზატორების მხილებას ითხოვენ

„რესპუბლიკური პარტია“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდებს გამოაქვეყნოს სრული ინფორმაცია იმ ტოტალიზატორების შესახებ, რომლებთანაც ფეხბურთელები გარიგებებში შედიოდნენ.

როგორც თინა ხიდაშელმა განაცხადა, ამ ინფორმაციის დამალვა აფიქრებინებთ, რომ საქმე აქვთ მორიგ სახელისუფლებო ბიზნესთან და ხელისუფლების წარმომადგენლეთა მფარველობის ქვეშ მყოფ ტოტალიზატორებთან.

თინა ხიდაშელის განცხადებით, როგორც ფეხბურთელების ვინაობასთან ერთად, რომლებიც გარიგებაში შედიოდნენ ტოტალიზატორებთან, ცნობილი უნდა იყოს ტოტალიზატორების კონკრეტული დასახელება.

მისი თქმით, ბოლო დღეების განმავლობაში ქართული მედიით ინტენსიურად ვრცელდება ინფორმაციები საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენელთა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. ნაციონალურმა ტელეარხებმა ნახევარსაათიანი სიუჟეტები მიუძღვნეს აღნიშნულ ფაქტებს, თუმცა სიმართლე როგორც ყოველთვის, ბოლომდე არ ითქვა.

შსს-მ გარიგებულ თამაშებთან დაკავშირებით, რამდენიმე ფეხბურთელი დააკავა, რომელიც მოგვიანებით გაათავისუფლეს.

ინტერპრესნიუსი

# ბაღათურიამ ნეპოტიზმი და ელიტური კორუფცია აღმოაჩინა



ნანა მიშელაშვილი

**თავისუფალ ტურისტულ ზონაში ჯონდი ბაღათურიამ ნეპოტიზმის, კორუფციისა და პროტექციონიზმის ფაქტები აღმოაჩინა. ელიტური კორუფციის შესახებ განცხადება „ქართული დასის“ ლიდერმა ორი კომიტეტის სხდომაზე გააკეთა.**

**პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტები თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ კანონპროექტზე მსჯელობდნენ. ამ საკითხზე მომხსენებელი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი იყო.**

ახალი კანონპროექტის მიზანია საქართველოში ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც ეს კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს.

საქართველოში ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების მიზნით, თავისუფალი ტურისტული ზონების შექმნა, ქობულეთისა და ანაკლიის გარდა, ასევე იგეგმება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

კამათი კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე მას შემდეგ დაიწყო, რაც ჯონდი ბაღათურიამ თავისუფალ ტურისტულ ზონაში ცალკეული ადამიანებისთვის შეღავათების დაწესება გააპროტესტა.

— ეს არის ნეპოტიზმის და ელიტური კორუფციის მაგალითი, 1-2 რესტორანს დაუწესოთ შეღავათი ეს არის კორუფცია. თუ რესტორნების ბიზნესს ვათავისუფლებთ გადასადებისგან, ეს სხვაა, მაგრამ რეგიონში კი არ შევქმენით თავისუფალი ტურისტული ზონა, არამედ, იმ მონაკვეთში, სადაც პრეზიდენტმა ტრიბუნა დაარჭო და თქვა ამ ადგილს ვათავისუფლებ გადასახადებისგანო, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა ასევე იკითხა: რა ქნას იმ რიგითმა ქობულეთელმა, რომელმაც პროცენტიანმა ვალით ააშენა სასტუმრო, ახალი კანონის მიხედვით კი მილიონერი გათავისუფლდა გადასახადებისგან და არა რიგითი ქობულეთელი.

ბაღათურიამ მოსაზრება გამოთქვა, რომ ზღვის სანაპირო ზოლიდან დაშორებული სასტუმროები გათვისუფლდნენ გადასახადისგან და არა მარტო ის ადგილი, სადაც პრეზიდენტმა ბრიფინგი ჩაატარა.

ჯონდი ბაღათურია იმასაც აპროტესტებს, რომ მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება სხვა დამატებით ტერიტორიებზე თავისუფალი ტურისტული ზონის შექმნა. □ — რა არის, კოლუმბია ვართ, აფრიკა ვართ თუ რა არის? — იკითხა ბაღათურიამ, რომელმაც კანონს კორუცფიული უწოდა. „ქართული დასის“ ლიდერს პასუხი პავლე კუბლაშვილმა გასცა. □ — ეს კანონი კორუფციისა და ნეპოტიზმის მაგალითი ვერ იქნება. ეს არ შეეხება ერთ რომელიმე კომპანიას. ვინც არ უნდა იყოს, ნებისმიერს, საშუალება ექნება, განავითაროს თავისი ბიზნესი, — უთხრა პავლე კუბლაშვილმა ბაღათურიას.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ შეღავათიანი რეჟიმის დაწესებაზე და ტურიზმის ხელშეწყობაზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა იმას, რომ რეგიონში ტურიზმის სექტორის განვითარება მოხდეს.

პავლე კუბლაშვილის განმარტებას ბაღათურია არ დაეთანხმა. ბაღათურიას აზრით, შეღავათი მხოლოდ ორ ადამიანს აქვს, ვინც ტურისტულ ზონაში სასტუმროს აშენებს და არა დანარჩენებს. □ — გამოქექვას დავიწყებ, ვინ არის ის 2 ადამიანი, — თქვა ბაღათურიამ, თუმცა, კომიტეტების სხდომაზე არავის გვარი არ დაუსახელებია.

ბაღათურიას „მუქარის“ არ შეშინებია პავლე კუბლაშვილს. უფრო მეტიც, მან ბაღათურიას მიმართა, რომ გამოიკვლიოს, ვინ აშენებს სასტუმროებს. „ამ ადამიანების სახელი და გვარი ყველასთვის უნდა იყოს ცნობილი, იმიტომ, რომ ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს“, — აღნიშნა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ.

პავლე კუბლაშვილს დაეთანხმა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მალაძე. მისი თქმით, ეკონომიკის სამინისტრომ უნდა დაასახელოს იმ ინვესტორების ვინაობა, ვინც ახორციელებს ინვესტიციებს.

კომიტეტების თავმჯდომარეების მოსაზრება არ გაიზიარა „ქართული დასის“ ლიდერმა. იგი ამტკიცებდა, რომ მთლიანად ქობულეთის გათავისუფლება გადასახადებისგან სწორი იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ ორი ადამიანის შეღავათიან რეჟიმში ჩაყენება არასწორია.

„ქართული დასის“ ლიდერი მთავრობის მიერ თავისუფალი ტურისტული ზონების განსაზღვრის უფლებასაც აპროტესტებს.

ახალი პროექტით, თავისუფალი ტურისტული სხვა ზონები, რომლებიც ახლა მხოლოდ ანაკლიასა და ქობულეთშია, მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება. არადა, ბაღათურიასთვის მიუღებელია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მთავრობამ პარლამენტის გვერდის ავლით მიიღოს. ბაღათურია დარწმუნებულია, რომ თავისუფალი ტურისტული ზონები კონკრეტული ჩინოვნიკების ბიზნესებისთვის ეწყობა.□ — მთავრობამ უნდა დაადგინოს, თუ რომელი მისი კორუმპირებული ჩინოვნიკი სად აიწყობს ბიზნესს, — განაცხადა ბაღათურიამ და თავისუფალი ტურისტული ზონების მხოლოდ ცალკეულ მონაკვეთებში განთავსება, უსამართლობად შეაფასა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბაღათურიას მოსაზრებებს არ იზიარებს და ამბობს, რომ კანონი კორუფციის ხელშემწყობი იქნებოდა მაშინ, თუ ის კონკრეტულ კომპანიებს შეეხებოდა.

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სთხოვა გამოაქვეყნონ ინფორმაცია იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც ქობულეთში სასტუმროებს აშენებენ.

კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე კანონპროექტთან დაკავშირებით კენჭისყრა ჩატარდა. კანონპროექტის სხდომაზე წინააღმდეგი მხოლოდ ერთი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია იყო. ამდენად, თავისუფალი ტურისტული ზონის შექმნის შესახებ საკითხი პარლამენტის სხდომაზე გავა განსახილველად.

# აფხაზური ოპოზიცია რუსეთთან დაპირისპირებას ვერ გაბედავს

**აფხაზეთის მოსახლეობაში ანტირუსული განწყობა ყოველდღიურად იზრდება. კრემლის პოლიტიკა მათთვის უკვე მიუღებელი ხდება. რუსეთის პოლიტიკის გამო უკმაყოფილებას უკვე აფხაზი პოლიტიკოსებიც გამოთქვამენ. საინტერესო ის არის, რომ კრემლის პოლიტიკის გამო, ისინი სერგეი ბაღაფშს აკრიტიკებენ. რომელიც, მათი თქმით, რუსეთს ყველა სურვილს უსრულებს.**

**ექსპერტთა კლუბის წევრი გიორგი წიკლაური მიიჩნევს, რომ ეს ვითომ ანტირუსული განწყობა ბაღაფშის ჩასაძირვისკენ არის მიმართული. გიორგი წიკლაურის აზრით, ვინც დღეს ბაღაფშს რუსული პოლიტიკის გატარების გამო აკრიტიკებს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავადაც იმავე გზას დაადგება.**

**რას ემსახურება აფხაზური ოპოზიციის განცხადებები, რატომ ვერ წავლენ აფხაზი ჩინოვნიკები მოსკოვის წინააღმდეგ, რატომ ზარალდება ყველაზე მეტად ბაღაფში, რას ფიქრობს აფხაზური საზოგადოება — ამ საკითხებზე გიორგი წიკლაური „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



თეა მარხვაი ე

გიორგი წიკლაური:

— თუ აფხაზურ საზოგადოებაზე ვისაუბრებთ, მათი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ მკვეთრად შეიცვალა. აფხაზები უკვე სერიოზულად არიან გაღიზიანებული. ყველამ კარგად ვიცით, რომ რუსეთი აფხაზებს ტერიტორიების წართმევას უპირებს. ბაღაფშმა უკვე გადაულოცა რუსებს სახელმწიფო აგარაკები. აფხაზები, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ რუსებს მათთან მხოლოდ თავისი მიზნები აინტერესებს. რუსებიც უკვე აშკარად ამბობენ, რომ აფხაზების ბედი და დამოუკიდებულება ნაკლებად აინტერესებთ. ამ ფონზე აფხაზეთის მთავრობის ნებისმიერი გადაწყვეტილება ხალხის სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს. ამ ანტირუსული განწყობით ყველაზე მეტად ზარალდება სერგეი ბაღაფში.

***— რატომ ზარალდება ყველაზე მეტად ბაღაფში?***

— ყველაფერს მას აბრალებენ. ამბობენ, რომ ის მზად არის, რუსებს ყველაფერი შეუსრულოს. მას აფხაზი ერის ინტერესების უგულებელყოფაშიც სდებენ ბრალს. ოღონდ ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს განწყობა სერიოზულად ცვლის პოლიტიკურ კლიმატს აფხაზეთში. პოლიტიკური კლიმატი თითქმის იგივე, პრორუსული დარჩა.

***— თუმცა, აფხაზური ოპოზიცია რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით საკმაოდ მკვეთრ განცხადებებს აკეთებს.***

— ერთი შეხედვით მართლაც კეთდება რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგო განცხადებები. ამ ყველაფერს კი ბაღაფშის საწინააღმდეგოდ იყენებენ. მათ სურთ, რომ ხალხის საპროტესტო განწყობა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ააგორონ. რუსეთის მიმართ კი მათი პოზიცია არ შეცვლილა.

***— ეს რაში გამოიხატება?***

— ოპოზიციონერები აპროტესტებენ იმას, რაც აფხაზეთში ხდება. ოღონდ არსად არ ამბობენ, რომ ამ უბედურების სათავე არის რუსეთი. ყველა თავის გამოსვლაში თუ ინტერვიუში, აფხაზი ოპოზიციონერები მოსკოვის მიმართ სიმპათიებს გამოხატავენ. ისინი ყოველ წუთას უსვამენ ხაზს, რომ არიან რუსეთთან ერთად. ამტკიცებენ, რომ მოსკოვთან უნდა იქონიონ საუკეთესო ურთიერთობა. ისინი აფხაზეთის რუსეთიდან გათავისუფლებაზე სულაც არ საუბრობენ. უბრალოდ, მოსახლეობას უქმნიან ილუზიებს, რომ ვითომ აფხაზებს რუსებთან თანასწორუფლებიანად შეუძლიათ ყოფნა. და რომ დღეს აფხაზეთში ცუდი რაღაცები ხდება ეს მხოლოდ ბაღაფშის ბრალია.

***— ყველაფერი შეიძლება მისი ბრალი არ არის, მაგრამ ამაში მას სერიოზული წვლილი აქვს შეტანილი.***

— მისი წვლილი შეიძლება არის, მაგრამ ეს ყველაფერი მარტო მისი ბრალი არ არის. მე დარწმუნებული ვარ, რომ მას გულზე სულაც არ ეხატება რუსებისთვის საუკეთესო მიწების გადაცემა.

***— მაშინ რატომ აკეთებს ასე?***

— იმიტომ, რომ მას სხვა გამოსავალი არა აქვს. ისევე, როგორც არ ექნება გამოსავალი ნებისმიერს, ვინც მის ადგილზე მოვა. ამას აფხაზები ნაწილობრივ უკვე შეგუებული არიან. ბუნებრივია, არიან რუსეთის პოლიტიკის მოწინააღმდეგენი. რუსეთის მიმართ მკვეთრად უარყოფითი განწყობა ეთნიკურ აფხაზებს აქვთ. არიან ისეთებიც, ვისთვისაც სულერთია, რა ხდება მათ თავს. ეს თემა ინტერნეტფორუმებზე აქტიურად განიხილება. იქ ბევრი საინტერესო კომენტარის წაკითხვა შეიძლება. მაგალითად, ამბობენ: „წაიღოს ეს მიწა რუსეთმა, იყოს მისი. ჩვენ მაინც არაფერი არ შეგვიძლია, ამიტომ უნდა ჩავბარდეთ რუსეთს“. ეს არის მარგინალური აზრი.უმეტესობას ძალიან პრინციპული პოზიცია აქვს ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ამის გამო აფხაზეთში არსებული რეჟიმი ძალიან ცუდ დღეშია.

***— ამბობენ, რომ ამ მთავრობაში ერთადერთი ანქვაბია, რომელიც პროაფხაზურად არის განწყობილი და რუსეთის დაკვეთებს არ შეასრულებს.***

— რუსეთის მოთხოვნების შესრულება ყველას მოუწევს. რაც შეეხება ანქვაბს, ის მართლაც ნაციონალისტურად არის განწყობილი. ბაღაფშის მთავრობაში მარტო ის არ არის ასეთი. შამბას მინისტრთა კაბინეტში არსებობს ე.წ. ნაციონალისტების ფრთა. შესაძლოა თავად ბაღაფშიც იყოს ამ ფრთის წარმომადგენელი. მას, როგორც უკვე გითხარით, დიდად არ ეხატება გულზე, რაც ხდება, მაგრამ მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ის მოსკოვის ნების წინააღმდეგ ვერ წავა. იმიტომ, რომ დღეს აფხაზეთი მთლიანად რუსეთზე არის მიბმული. რუსეთის ფულით არიგებენ აქ პენსიებს და ხელფასებს. აფხაზეთი მთლიანად რუსეთზეა მიბმული. სანამ ასე იქნება, მის სათავეში მყოფები იძულებული იქნებიან, მოსკოვის ყველა დაკვეთა შეასრულონ. ასე რომ არ ყოფილიყო, ბაღაფში არც გაგრის ზონას დათმობდა და არც ბიჭვინთაში არსებულ საკურორტო ობიექტებს. ამით სოხუმის რეჟიმი თავად იშოვიდა დიდ ფულს.

***— რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის ხელისუფლება რუსეთს ამა თუ იმ სურვილის შესრულებაზე უარს ეტყვის?***

— ასეთი ხელისუფლება გახდება რუსეთის მტერი. აფხაზეთი ვერ მიიღებს ფინანსურ ტრანშს. ვერ მიიღებს პოლიტიკურ მხარდაჭერას. მოსკოვის წინააღმდეგ წასვლა ახლა ძალიან სარისკოა. აფხაზეთი დღეს რუსი სამხედროებით არის გატენილი.

***— წინა კვირაში ხაჯიმბამ ხელისუფლების შესაცვლელად რეფერენდუმის ჩატარებაც კი მოითხოვა. მისი თქმით, ამ ხელისუფლების პირობებში აფხაზეთი მომავალ არჩევნებამდე ვერ მიაღწევს. როგორ ფიქრობთ, მისი ეს მოთხოვნაც რუსეთთან არის შეთანხმებული?***

— მნიშვნელობა არა აქვს, როდის ჩატარდება აფხაზეთში ე.წ. არჩევნები. იმიტომ, რომ ხელისუფლების სათავეში მხოლოდ ისეთი ადამიანი მოვა, რომელიც რუსეთის ინტერესებში იქნება. ხაჯიმბა ყოველთვის რუსეთის კაცი იყო. ეს ახლაც ასეა. მისი განცხადებები ანტირუსული ნამდვილად არ არის. ეს მხოლოდ ბაღაფშის ჩასაძირად კეთდება. ეგ თუ აფხაზეთის სათავეში მოვა, იმავეს გააკეთებს, რასაც ბაღაფში. ოღონდ ის რუსეთის დაკვეთებს ცოტა სხვანაირად შეასრულებს.

***— სხვანაირად როგორ?***

— ის ითამაშებს ისე, რომ თითქოს აფხაზეთი დამოუკიდებელი ქვეყანაა. ხმამაღლა ასეთი განცხადებები გაკეთდება, რეალურად კი ყველაფერი ისე იქნება, როგორც რუსეთს სურს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის კრემლის ფავორიტია. ეს ის კაცია, რომლის უკან პუტინი იდგა.

***— ამის მიუხედავად, მაშინ აფხაზებმა მაინც ის აირჩიეს პრეზიდენტად, ვინც მათ სურდათ.***

— ამით არაფერი არ შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებმა უარი თქვეს რუსეთის კანდიდატზე. გაიმარჯვა სერგეი ბაღაფშმა. რუსეთმა ყველაფერი გააკეთა და ბაღაფშს პუტინის ფავორიტი ხაჯიმბა დაუსვა გვერდით. პუტინის მიერ გენერლის სამხრეებით დაჯილდოებული ხაჯიმბა ვიცე-პრეზიდენტად დასვეს. იმ პერიოდში აფხაზეთში ორხელისუფლებიანობა დაიწყო. ხაჯიმბას იგივე უფლებები ჰქონდა, როგორიც ბაღაფშს.

***— რაღაცა პერიოდის შემდეგ ხაჯიმბას ამ თანამდებობის დატოვებამ მოუწია. თქვენი აზრით, ეს რისი ბრალი იყო?***

— გაპრეზიდენტების შემდეგ ბაღაფშმა დაიწყო საქმეების ჩაწყობა.

***— ვისთან ჩააწყო საქმეები?***

— რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლებასთან. მან თავისი საქციელით მოსკოვს დაუმტკიცა, რომ ის მათი ერთგულია. ისეთი რამეები გააკეთა, რომ მას ხაჯიმბა ჩამოაშორეს. ვინც არ უნდა მოვიდეს აფხაზეთის სათავეში, როგორი ნაციონალისტიც არ უნდა იყოს ის, მას რუსეთის ინტერესების გატარება მოუწევს.

***— გამოდის, რომ საქართველოსთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება იმას, თუ ვინ მოვა აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში.***

— ამ ვითარებაში ამას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. შეიძლება ადამიანურ ურთიერთობებში ამან რაიმე შედეგი გამოიღოს. გლობალურად არა მგონია, რომ რამე შეცვალოს კონკრეტულმა ფიგურამ. იმისთვის, რომ ჩვენთვის სასარგებლოდ მოხდეს შემოტრიალება, ხალხის განწყობა უნდა შეიცვალა.

***— ახლა ხალხის განწყობა ისევ საქართველოს საწინააღმდეგოა?***

— მართალია რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილონი არიან, მაგრამ არც საქართველოს მიმართ აქვთ დადებითი განწყობა. ამის მიუხედავად ისინი საქართველოში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით აკვირდებიან. მათ უკვე ძალიან კარგად ესმით, რომ რუსეთი მათ კარგს არაფერს არ მოუტანს. ამის მიუხედავად ისინი ჩვენკენ ჯერ ვერ შემობრუნდებიან. მათთან იდეოლოგიური მუშაობა ძალიან მაღალ დონეზეა. ბავშვებს საქართველოსთან დაკავშირებით სკოლიდანვე უყალიბებენ პოზიციას.

***— ასწავლიან, რომ ქართველები ცუდები არიან.***

— ასეა. აფხაზებს ქართველების მიმართ ძლიერი სიძულვილი აქვთ. ისინი ამის გამო ჩიხში არიან, რადგანაც მიხვდნენ, რომ რუსეთი მათ სიკეთეს არ მოუტანს. თუმცა, ჯერჯერობით რუსეთის იქით გზა არა აქვთ. ჩვენკენ შემოტრიალება ასე მარტივად არ მოხდება. ამისთვის საჭიროა დრო. დროთა განმავლობაში ცვლილებები მოხდება. რუსეთი საბოლოოდ გამოაჩენს თავის სახეს. თუმცა, ეს სახე ახლაც უკვე ნათლად ჩანს.

# რუსეთი და საქართველო კომპრომისულ სქემებს ეძებენ



გერა მამულაშვილი

**ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით თბილისსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებები გრძელდება. ქართული მხარე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საბაჟო პუნქტებზე კონტროლის განხორციელებას და ემბარგოს მოხსნას მოითხოვს. თბილისში დიდ დიპლომატიურ წარმატებად ჩათვალეს თავად რუსული დელეგაციის თანხმობა, რუსეთთან საზღვრის აფხაზურ და სამხრეთ ოსურ მონაკვეთებზე საქართველოს საბაჟო კონტროლის აღდგენის საკითხი განიხილოს.**

**ამ საკითხის მიმართ რუსულ მედიაში დიდ ინტერესს გამოხატავენ. თემას მორიგი სტატია კომერსანტმა მიუძღვნა.**

— მოსკოვის ვმო-ში შესვლაზე, რუსულ-ქართული მოლაპარაკებების აპრილის რაუნდი, თბილისის განცხადებით უშედეგოდ დასრულდა. მოლაპარაკებებზე საქართველოს პოზიცია უცვლელია — რუსეთის ფედერაციასთან საზღვრის აფხაზურ და სამხრეთ ოსურ მონაკვეთებზე ქართული საბაჟო კონტროლი უნდა აღდგეს, — წერს კომერსანტი.

თუმცა, რუსული კომერსანტის დიპლომატიური წყაროები საქართველოსთან ერთგვარი კომპრომისული ვარიანტის მიღწევის დიდ შესაძლებლობაზე საუბრობენ, რომელიც საზღვარზე ქართველების ფიზიკურ ყოფნას არ მოითხოვს, თუმცა თბილისში ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

— რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლაზე, რუსულ-ქართული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი შვეიცარიაში აპრილის ბოლოს გაიმართა, თუმცა მცირე პროგრესზეც კი არ გვიწევს საუბარი, თბილისში უკვე დიდ დიპლომატიურ წარმატებად ჩათვალეს რუსული მხარის თანხმობა, განიხილოს საბაჟოებზე ქართველების დაყენების საკითხი, — წერს კომერსანტი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრეს-მდივანმა ნიკო მჭედლიშვილმა გამოცემას განუცხადა, რომ ქართული მხარის თანხმობის თვალსაზრისით, მოლაპარაკებების მეორე რაუნდი ისეთივე უშედეგო იყო, როგორც წინა, მარტის შეხვედრა.

— ჩვენ კვლავაც მოვითხოვთ საბაჟო პუნქტების ლეგალიზებას საზღვრის აფხაზურ და სამხრეთ ოსურ მონაკვეთებზე, თუმცა რუსული მხარე ჩვენს მოთხოვნებზე ჯერჯერობით არ თანხმდება. ერთადერთი, რაზეც შეთანხმება შევძელით, მაისის ბოლოში მოლაპარაკებების მესამე რაუნდის ჩატარებაა, — აცხადებს ნიკო მჭედლიშვილი.

ამასთან ერთად, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სპეციალურ ბრიფინგზე ჟურნალისტებს მიანიშნა, რომ რუსული დელეგაცია პირველად დათანხმდა კონკრეტულად განიხილოს მდინარე ფსოუზე და როკის გვირაბზე ქართული საბაჟოს კონტროლის აღდგენის დეტალები და ტექნიკური შესაძლებლობები.

— საქართველოს რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებები პრაქტიკულ ჭრილში გადავიდა. მეორე რაუნდის დროს მხარეები უკვე შეუდგნენ რიგი საკითხების კონკრეტულ განხილვას. თავს შევიკავებ დეტალების კომენტარისგან, მაგრამ დაიწყო ძალიან სერიოზული წინადადებების განხილვა, — აცხადებს კალანდაძე.

— რაში მდგომარეობს ამ წინადადებების არსი, ამაზე მოსკოვში და თბილისში არაფერს ამბობენ და უარზე არიან რაიმე დამატებითი კომენტარები გააკეთონ. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ურთიერთშეთანხმებაზე, რომ რთული მოლაპარაკების პროცესის დეტალები არ გაახმაურონ.

თუმცა, ეს ხელს არ უშლის ორივე ქვეყნის საგარეო მინისტრებს, რომ რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების პერსპექტივებთან დაკავშირებით ერთმანეთთან დაუსწრებელ პოლემიკაში შევიდნენ. აპრილის ბოლოს, აფხაზეთში ვიზიტით ყოფნისას, რუსმა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კითხვაზე, საქართველოს პოზიციის მიუხედავად, შეძლებს თუ არა რუსეთი ვმო-სთან შეერთებას, განაცხადა, რომ „ასეთი შესაძლებლობები არსებობს და ისინი ამ ორგანიზაციის პრინციპებზე არის დაფუძნებულნი“, — წერს კომერსანტი.

თბილისში ამას მაშინვე ბლეფი უწოდეს.

— რუსეთი ბლეფობს. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების და პროცედურების გარდა, იქ არის წესები, რომლებსაც კანონის ძალა გააჩნია. თეორიულად ხმის მიცემით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა შეიძლება, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი რამ არასოდეს ყოფილა და ახლაც არ იქნება. ამასთან, იმ მიზეზებით, რომლებიც არც საქართველოსთან და არც რუსეთთან არ არის დაკავშირებული, — განუცხადა კომერსანტს ქართული საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა გრიგოლ ვაშაძემ.

ამასობაში, ურთიერთობების საჯარო გარკვევა მხარეებს ხელს არ უშლის ჩიხიდან გამოსვლის შესაძლო ხერხები განიხილონ. ყოველ შემთხვევაში, კომერსანტის დიპლომატიური წყარო ირწუნება, რომ ორივე მხარე სერიოზულად განიხილავს სქემას, რომლის პირობებშიც აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ქართველი მებაჟეების ფიზიკური ყოფნის თავიდან აცილება შესაძლებელია და ამავდროულად თბილისის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რუსეთთან ამ რესპუბლიკების სასაზღვრო მონაკვეთებზე ტვირთბრუნვის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე.

— გამოსავალი შეიძლება იყოს შემდეგი. რადგან საქართველოს საზღვარზე სიტუაციის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ აქვს, შეიძლება ნაბიჯების გადადგმა სიტუაციის გაუმჯობესებისთვის. მაგალითად, რუსეთის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საბაჟო სამსახურებმა რომ ცალმხრივი წესით გამოაქვეყნონ ტვირთბრუნვასთან დაკავშირებული სტატისტიკა, — აღნიშნავს კომერსანტის მოსკოვური წყარო, რომელიც უფრო დეტალური განმარტებებისგან თავს იკავებს.

— საქართველოს საგარეო უწყებაში, ამ სიტუაციის კომენტარზე უარს ამბობენ. ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ უწყებაში რუსული კომერსანტის წყარომ განაცხადა, რომ თბილისისთვის ერთადერთ შესაძლებელ კომპრომისს წარმოადგენს ტვირთების გადაადგილებაზე კონტროლი არა ქართველი მესაზღვრეების და მებაჟეების მიერ, არამედ ევროკავშირის წარმომადგენლების მხრიდან.

თუმცა, უფრო ადრე მოსკოვი, სოხუმი და ცხინვალი არაერთხელ აცხადებდნენ, რომ ეს წინადადებები მათთვის აბსოლუტურად მიუღებელია. მხარეთა ასეთი განსხვავებული პოზიციები, ისე ჩანდა, რომ მოლაპარაკებების გაგრძელებას უაზროს ხდიდა. მაგრამ რუსეთი და საქართველო მაინც შეთანხმდნენ დიალოგი ამ თვეში გააგრძელონ. ეს ფაქტი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ მათ მართლაც შეუძლიათ განიხილონ კომპრომისული სქემები, რომლებიც საჯაროდ გახმოვანებულისგან განსხვავდებიან, — წერს კომერსანტი.

რაც შეეხება სერგეი ლავროვის განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთს საქართველოს თანხმობის გარეშეც შეუძლია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანება, ამ საკითხზე შეგახსენებთ აშშ-ს პრეზიდენტის მრჩევლის მაიკლ მაკფოლის მიერ გაკეთებულ განცხადებას. მან თქვა, რომ აშშ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების პროცესის დასაჩქარებლად საქართველოზე ზეწოლას არ აპირებს.

— შეერთებული შტატების პოზიცია კარგადაა ცნობილი და ის იმაში მდგომარეობს, რომ ვაშინგტონი არ მოახდენს საქართველოზე არანაირ ზეწოლას და ამით რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების პროცესს არ დააჩქარებს. სწორედ ამიტომაა, რომ აშშ უარს აცხადებს ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებში ჩარევაზე. მთელს დასავლეთს სურს რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანება, მაგრამ ყველა აღიარებს ჩვენს სუვერენულ უფლებას — გამოვთქვათ პრეტენზია, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით საგარეო მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ.

თავად მაიკლ მაკფოლის განცხადების კონკრეტულ შინაარსს რაც შეეხება, მისი თქმით, აშშ რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების საკითხზე თბილისსა და მოსკოვს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში ჩარევას და შუამავლის ფუნქციის შესრულებას არ აპირებს, რადგან არ სურს საკითხის პოლიტიზება მოახდინოს.

# რა მოიფიქრა რუსეთმა ვმო-ში გასაწევრიანებლად?

ნანა მიშელაშვილი

**რუსეთის მიერ მოფიქრებული სცენარი ქართველმა დეპუტატებმა „გაშიფრეს“. რუსეთმა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად ახალი სქემა მოიფიქრა.**

გაზეთი „კომერსანტი“ ანონიმ რუს დიპლომატზე დაყრდნობით წერს, ორ ქვეყანას შორის განიხილება სქემა, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ქართველი მებაჟეების ფიზიკურად ყოფნის თავიდან აცილებას და ამავდროულად, თბილისის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, სასაზღვრო მონაკვეთზე სავაჭრო ბრუნვის შესახებ რუსეთისგან ინფორმაციის მიიღების შესახებ.



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის განცხადებით, არსებობს მხოლოდ ერთადერთი რამ — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების სრული კონტროლი. ასეთი შეფასება გააკეთა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა რუსეთსა და საქართველოს ვმო-ს ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკების შეფასებისას.

პავლე კუბლაშვილის განცხადებით, ამ საკითხზე ერთადერთი გამოსავალი არის, რომ უნდა იყოს სრული შესაძლებლობა ქართულმა მხარემ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ტვირთების გადაადგილება გააკონტროლოს. □ — ახლა რაღაც მოიფიქრონ, როგორ შეიძლება ეს შევცვალოთ, ჩავანაცვლოთ, სხვაგვარად გავაკეთოთ, სხვაგვარად არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ერთადერთი რამ

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების სრული კონტროლი, — განაცხადა პავლე კუბლაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

დეპუტატის თქმით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საბაჟო-გამშვები პუნქტების კონტროლის საკითხზე ქართული მხარე პოზიციას არ შეიცვლის და ამ კუთხით რაიმე ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

გაზეთი „კომერსანტი“ კი ანონიმ რუს დიპლომატზე დაყრდნობით წერს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებზე ქართველი მებაჟეების ყოფნა ქართული მხარის მთავარი მოთხოვნაა.

— გამოსავალი შეიძლება იყოს შემდეგში, ვინაიდან საქართველოს არ აქვს არანაირი ინფორმაცია საზღვარზე სიტუაციის შესახებ, შეიძლება ამის გასაუმჯობესებლად ერთგვარი ნაბიჯები გადაიდგას. მაგალითად, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საბაჟო სამსახურებმა სავაჭრო ბრუნვის შესახებ ერთობლივი სტატისტიკა გამოაქვეყნონ, — აცხადებს რუსი დიპლომატი. სხვა დეტალებს გაზეთის წყარო არ აკონკრეტებს.

რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებას(ვმო) 1993 წლიდან ცდილობს. ვმო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე წლის მარტში, შვეიცარიაში განახლდა. შეგახსენებთ, რომ რუსეთს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად საქართველოს თანხმობა სჭირდება.

## გიორგობას ქურმუხის ეკლესიაში წირვა-ლოცვას ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი აღავლენს



6 მაისს, გიორგობა დღეს კახის რაიონში, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაში წირვა-ლოცვას ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი მელქისედეკი აღავლენს, რის შემდეგაც პარაკლისს გადაიხდის, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

ამავე წყაროს ცნობით, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის კარი აზერბაიჯანის ხელისუფლებას მეოთხე წელია ჩაკეტილი აქვს. ტაძრის კარს მომლოცველებს და ტურისტებს წელიწადში მხოლოდ ორჯერ უხსნიან, 6 მაისს და 23 ნოემბერს.

ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია XV საუკუნეში აიგო საქართველოს ძირძველი კუთხის — ჰერეთის ტერიტორიაზე. **მედიანიუსი**

## ნიკა გილაური „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დასკვნას არ ეთანხმება



პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური არ ეთანხმება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დასკვნას, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში საპროცესო შეთანხმებები ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყაროა.

როგორც გილაურმა განმარტა, ქვეყნის ბიუჯეტი 7,2 მილიარდ ლარს შეადგენს და საპროცესო შეთანხმებებიდან შესული თანხა მინიმალურია.

— ვერანაირად ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ საპროცესო შეთანხმებები ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყაროა. საპროცესო შეთანხმება განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს ბიუჯეტი 7,2 მილიარდ ლარს შეადგენს და 63 მილიონი ვერც დააქცევს და ვერც ააშენებს საქართველოს ბიუჯეტს, — განაცხადა ნიკა გილაურმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ვერა ქობალია ასტანაში ფორუმს დაესწრო



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ასტანაში მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმს დაესწრო, სადაც მან საქართველოს ტურისტულ მიღწევებზე ისაუბრა.

ვერა ქობალიამ მონაწილეობა მიიღო სესიაში, რომელიც მსოფლიოში ტურიზმის ეკონომიკურ თავისებურებებზე მსჯელობას დაეთმო.

— გვაქვს საშუალება ჩავატაროთ ორმხრივი შეხვედრები, გვქონდა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებთან, სადაც გავუზიარეთ მათ ჩვენი გამოცდილება, ის მიმართულებები, რომელიც პრიორიტეტული იქნება მომავალ წლებში, რას ვგეგმავთ და როგორ მივაღწიეთ იმას, რომ უკვე 2011 წლის პირველ კვარტალში ჩვენ დავინახეთ 41 პროცენტიანი ზრდა ამ სექტორში,ს— განაცხადა ასტანაში მყოფმა ვერა ქობალიამ.

ღონისძიება ყახაზეთში უკვე მეოთხედ იმართება და მას 4 ათასზე მეტი დელეგატი ესწრება. მათ შორის არიან ნობელის პრემიის 4 ლაურეატი ეკონომიკის დარგში, ასევე გაეროს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ასტანაში ორი დღის წინათ გაემგზავრა და 7 მაისს დაბრუნდება.

**მედიანიუსი**

# აჭარა საქართველო აღარ არის!

შორენა კოწოწაშვილი

**სახალხო კრების წევრი თემურ შაშიაშვილი ქვეყანაში შექმნილ ვითარებას უმძიმესად აფასებს და მიაჩნია, რომ თუ პოლიტიკოსი ხარ, რაც ქვეყანაში ხდება, არ უნდა მოითმინო.**

— თუ ხედავ, რომ ბათუმი და აჭარა საქართველო აღარ არის. სამ-ოთხ თვეში იქ უკვე აღარაფერი არ იქნება ქართული; თუ ხედავ, რომ ათასობით ქართველი გადის თურქეთში, იმიტომ, რომ საზღვარი გახსნა. სამათხოვროდ მიდის საქართველო, პრეზიდენტის პოსტზე როგორ ზიხარ, მიხეილ სააკაშვილო! როგორ უყურებ შენს ხალხს თვალებში. ვინ ხარ შენ, პოლიტიკოსი, რვიანში ხარ თუ კრებაში, რომელსაც მიგაჩნია, რომ ეს უნდა მოითმონო. შენ პოლიტიკოსი კი არ ხარ, შენ ხარ სკამზე მიჯაჭვული კაცი, — აცხადებს „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი.

რატომ გადადო სახალხო კრებამ მოქმედებების დაწყება მაისის ბოლოსთვის და რას მოუწოდებს კრების წარმომადგენელი ალასანიას და ოქრუაშვილს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს **თემურ შაშიაშვილთან.**

***— ბატონო თემურ, რას იტყვით დასავლეთის მხრიდან საქართველოსთან დაკავშირებით გაკეთებულ მძიმე შეფასებებზე?***

— საერთოდ, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რა შეფასებებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოსთან დაკავშირებით გაკეთდა. ეს არის გულდასაწყვეტი. მაგრამ ეს არის ის, რასაც დიდი ხანია ქართველი ხალხი ეუბნება მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენ სააკაშვილის წინააღმდეგი კი არა ვართ, რომ როგორც ეს თქვენ გგონიათ, სააკაშვილია საქართველოს წინააღმდეგი; რომ ქვეყანაში არის აუტანელი მდგომარეობა. ეს არის რეალურად მოსახლეობის გენოციდი. არც სამართალია ქვეყანაში, არც დემოკრატია და არც თავისუფალი სიტყვა. ბუნებითი უფლებები, რომელიც ადამიანს გააჩნია ღმრთისგან ბოძებული, ეს არის სიცოცხლის უფლება, საკუთრების უფლება, პირადი თავისუფლების უფლება — ქართველ კაცს სამივე ეს უფლება აქვს წართმეული. სიცოცხლის უფლება აქვს წართმეული. სისხლის გაშრობის პერიოდია ქვეყანაში. მოსახლეობის 50%-ზე მეტი ვერ ახერხებს, მიიღოს სიცოცხლისთვის საჭირო კალორიების ნახევარიც კი. 85% ვერ იღებს სოცოცხლისთვის საჭირო აუცილებელ კალორიებს. ე.ი. საქართველოში სიცოცხლის უფლება არ არის დაცული. საკუთრებას, როგორც უნდათ, ისე ართმევენ ადამიანებს. განსხვავება არ არსებობს. აქ არსებობს მხოლოდ სააკაშვილის განწყობა; და მესამე, თავისუფლება — რომელ თავისუფლებაზეა ლაპარაკი? სააკაშვილი უაზროდ საუბრობს, ხომ ხედავთ, პრესა ჩემზე რას წერს. თავისუფლება არის იმ ქვეყანაში, სადაც გაზეთში რომ რამე დაიწერება, მას რეაგირება მოჰყვება. 15 მინისტრის იმპიჩმენტი მოხდა მსოფლიოში ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული მასალების გამო. აქ ეკლესიების მნგრეველებს აწინაურებენ. სახლების მნგრეველებს აწინაურებენ. ვინც ილანძღება, იგინება, აწინაურებენ. დღეს რაც ხდება, გასაკვირი არ არის. გასაკვირია ის, რომ დასავლეთს და პირველ რიგში, ამერიკას ეგონა, რომ აქ არის სააკაშვილის წინააღმდეგ აკვიატებული ბრძოლაა. აი, ეს არის მთელი ტრაგედია, რომ მათ ეს ეგონათ. ახლა მიხვდნენ და ამიტომ იწერება ასეთი მძიმე დასკვნები. რაც გირგვლიანთან დაკავშირებით დაიწერა და რა გადაწყვეტილებაც სასამართლომ მიიღო, ღირსების მქონე ადამიანი იტყოდა, ბოდიშს ვუხდი ქართველ ხალხს, რომ საქართველოს ისტორიაში დაიწერა, რომ ასე მოექცნენ ახალგაზრდა კაცს ქვეყანაში — მოკლეს, მკვლელები სათანადოდ არ დასაჯეს. პირდაპირ წერია, რომ შს მინისტრი და მისი მეუღლე იყო ამ მკვლელობასთან დაკავშირებული. ამას საქართველოში ოპოზიცია და უფლებადამცველები პირველი დღიდანვე ვლაპარაკობთ. ახლა ეს ყველაფერი სტრასბურგმა აღიარა. რაც დაიწერა საქართველოსთვის, არის უმძიმესი. სტრასბურგის სასამართლო წერს, პრეზიდენტმა მკვლელები უკანონოდ შეიწყალა და არ დასაჯა შს მინისტრი, რომლის ოჯახის ამ მკვლელობასთან იყო დაკავშირებული. ამაზე დიდი სირცხვილი ქვეყნისთვის რა უნდა იყოს. მაგრამ ვიმეორებ, დღეს საქართველოს ტრაგედია მარტო ის კი არ არის, რომ არასერიოზული, გაუწონასწორებელი და ქვეყნისთვის საშიში პრეზიდენტი ჰყავს. ყველაზე მძიმე არის მშიშარა კაცი. მშიშარა კაცს ირგვლივ უყვარს მონები. მშიშარა კაცი ყოველთვის ისეთ ნაბიჯზე მიდის, რომელიც ლოგიკას არ ექვემდებარება.

***— ანუ სააკაშვილის შიშის ქვეშ არის საქართველოს მოსახლეობა?***

— სააკაშვილზე მშიშარა კაცი მე არ შეხვედრია. ერთი გასროლის ხმაზე ომის დროს მიწაზე გაგორდა. მშიშარა კაცი ყოველთვის საშიშია. ამიტომ არის დღეს სააკაშვილიც საშიში. დააკვირდით, გიორგობა დღეს პოლიციის დღე აღინიშნა. სააკაშვილმა იფიქრა, თუ რამე მოხდება, პოლიცია გვერდზე მეყოლებაო. პოლიცია ხომ ამ ქვეყანაში სააკაშვილს უნდა ემსახუროს და არა ქართველ ხალხს. 26 მაისს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა თბილისში ეშინია და ქუთაისში აპირებს ღონისძიებების ჩატარებას. მშიშარა კაცი არის მოქმედებებში გაუწონასწორებელი, მას ლოგიკა არ აქვს.

## მერაბიშვილზე ბნელი ადამიანი არ არსებობს



***— შიშის გამო გეგმავს პრეზიდენტი 26 მაისის აღინიშვნას თუ მსგავსი ნაბიჯებით სააკაშვილი ორდედაქალაქიანობის დამკვიდრებას ცდილობს?***

— ორდედაქალაქიანობის პრინციპი არის მშიშარა პრინციპი, აბა, მეტი რა არის?! არ მინდა ასეთი მძიმე ბრალდება ჩამოვკიდო, მაგრამ გამორიცხულია, რომ საქართველოს ორი დედაქალაქი ჰქონდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე ქუთაისელი კაცი ვარ, ეს ქალაქი მიყვარს და ამ ფონზე ღიად ვაცხადებ: საქართველოს უნდა ჰქონდეს ერთი პოლიტიკური დედაქალაქი და რამდენიც გინდა, სამეცნიერო-ეკონომიკური და ტურისტული ქალაქი. ქუთაისის მომავალი არის მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტური ქალაქი, მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესი და კულტურის ქალაქი. სამეცნიერო და საუნივერსიტეტო ქალაქი რომ იყოს ქუთაისი, კი ბატონო, მაგრამ არა მეორე პოლიტიკური ცენტრი. ორი დედაქალაქი იმას აწყობს, ვისაც ერთ დედაქალაქში ცხოვრება ეშინია. სააკაშვილი კიდევ ერთ რეზიდენციას ბათუმში იშენებს. მითხარით ერთი, რომელ ქალაქში აღარ აქვს სააკაშვილს რეზიდენცია? — მცხეთაში რეზიდენცია, თბილისზე აღარ ვლაპარაკობ, რამდენიც გნებავთ, იმდენი. სამეგრელოში რეზიდენცია აიშენა, ბათუმში რეზიდენციას იშენებს. ქვეყანაში შენდება მხოლოდ ციხეები და პრეზიდენტის რეზიდენციები. ეს არის შიშის პირველი ნიშანი. ჩვენთან ყველა შენობა შუშის კეთდება და ვითომ ყველაზე ნათელ შენობებში ყველაზე ბნელი ადამიანები სხედან. სააკაშვილის მინისტრები ყველაზე ბნელი ადამიანები არიან. მერაბიშვილზე ბნელი ადამიანი შეიძლება სადმე ნახოთ?

***— პრეზიდენტის შიში იმან განაპირობა, რომ დასავლეთში მას მხარს აღარ უჭერენ?***

— სააკაშვილს დასავლეთში დიდი ხანია მხარს აღარ უჭერენ. მაგრამ დასავლეთში იციან, რომ სააკაშვილი გაუწონასწორებელი კაცია და ხვალ შეიძლება ის შეეკრას ირანს. ზეგ შეიძლება გამოაცხადოს, რომ აჭარა არის დამოუკიდებელი ეკონომიკური ზონა და მე აჭარის ხელმძღვანელი ვარო. რეზიდენციას უკვე იშენებს. იმაზე უარესი რა უნდა მოხდეს, რომ ბათუმსა და თურქეთს შორის შიდა რეისებია და ფაქტობრივად საზღვარი მოიშალა. ბათუმი მთლიანად თურქეთის ხელშია. ხვალ-ზეგ თურქეთმა შეიძლება ბათუმი თურქულ ქალაქად გამოაცხადოს. ქვეყნის გარეთ სულ მეუბნებიან, რომ სააკაშვილი არის გაუწონასწორებელი ადამიანი და მისგან ყველაფერია მოსალოდნელიო. ოპოზიციის იმედი რომ არ ჰქონდა დასავლეთს აქამდე, ესაც ფაქტია. პირდაპირ გვეუბნებიან, თქვენ არ ხართ იმ ქვეყნის ოპოზიცია, სადაც პრეზიდენტს 7 ნოემბერი და 8 აგვისტო აპატიეთო? საკუთარი ხალხის დარბევა და ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვა აპატიეთო, პრეზიდენტის პოსტის მითვისება აპატიეთ, გენოციდს უწყობს საკაშვილი საკუთარ ხალხს და ამას პატიობთო. ამით უცხოელები გვეუბნებიან, თქვენც სუსტები ხართო — აი, რეალობა. დასავლეთი ყოველთვის არის იმ ქვეყნის მიმართ კეთილად განწყობილი, სადაც ოპოზიცია და ხელისუფლება რაღაც წონასწორობაში არიან ერთმანეთთან.

***— სააკაშვილიც სუსტს უწოდებდა ოპოზიციას, თუმცა, რვიანი ირწმუნება, რომ საკუთარი სიძლიერე არა მხოლოდ დასავლეთს დაუმტკიცეს იმ წინადადებებით, რომელიც მოლაპარაკების პროცესში ხელისუფლებას აუყენეს.***

— მე რვიანს ამაში ვეთანხმები. უბრალოდ, რვიანი უშვებს უდიდეს შეცდომას, როცა ფიქრობს, რომ ხალხის აქტივობა და ხელისუფლებასთან მოლაპარაკება ეს ერთი პოლიტიკური პროცესი არ არის. ვიმეორებ, რომ ეს არის ერთი პოლიტიკური პროცესი და ვინც ფიქრობს, რომ მოლაპარაკება ცალკეა, თავისთვის და კრება რასაც ლაპარაკობს, ის ცალკეა, ანუ ვინც ამას ლაპარაკობს, ის სააკაშვილის მომხრეა. მე ამას ვამბობ ეროვნული მოძრაობის გამოცდილებიდან გამომდინარე. გამსახურდიაც იჯდა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე და კოსტავაც. ხელისუფლება ანგარიშს უწევდა არა გამსახურდიას და კოსტავას, არამედ ხალხს ქუჩაში. ამიტომ როდესაც ვილაცას რვიანში თავში აზრად მოუვიდა, რომ ყველაფერი ჩვენ ვართ და სხვა არავინ არ არის, ამით შეურაცხყოფა მიაყენეს არა მარტო თავის კოლეგებს, არამედ შეურაცხყოფა მიაყენეს ხალხსაც, იმიტომ, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა ქვეყანაში არც რვიანია და არც კრება, არც რომელიმე პოლიტიკური პარტია ან პოლიტიკოსი. მთავარი პოლიტიკური ძალა ქვეყანაში არის ხალხი. დღეს ხალხში უფრო მძიმე ოპოზიციური განწყობაა, ვიდრე რომელიმე ოპოზიციურ პარტიაში. ხალხის განწყობას ოპოზიციონერები ვერ პასუხობენ. დღეს რომ მაგარი ოპოზიცია იყოს ხელისუფლებაში, თავგანწირვაზე წავიდოდნენ, როგორც ეს ირლანდიაში მოხდა. არ არის დღეს ოპოზიციაში ხალხი, რომლებსაც შეუძლიათ ისე მოიქცნენ, როგორც ირლანდიაში. როცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღატაკის ზღვარზეა, პოლიტიკოსები ცუდად არ ცხოვრობენ, ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც, ეს არის ყველაზე დიდი სისუსტე და ეს არის ის, რაც ჩვენ — პოლიტიკოსებს ხალხის თვალში გვაპატარავებს. მე ამ ლაპარაკის გამო ყველაზე მეტად ვისჯები იმიტომ, რომ არც ოპოზიციაში მოვწონვარ ხალხს და არც ხელისუფლებაში, იგონებენ ათას რამეს. წლის განმავლობაში 50 ათას ლარზე მეტი ვერ შეგვიგროვებია ვერასდროს და ვილაცას შეუძლია დაგვაბრალოს, რომ რუსეთის ფულია, ის უჭერს მხარს და ა. შ. ვაი იმას, ვინც რუსული ფულით მარაგდება და უი იმას, ვინც კიდევ სოროსის და ამერიკული ფულით მარაგდება. ორივე უბედურებაა ამ ქვეყნისათვის. ხელისუფლებას დღეს არ აწყობს ეროვნული განწყობის პოლიტიკური ძალა. მას აწყობს ამერიკული ან რუსული ძალა. დღეს ყველზე მყვირალები არიან რუსული და ამერიკული ძალები. მას, რომელიც ქართულია, ტელევიზიებს არ უთმობენ. ყველას ეშინია ქართული ძალის. ქართული ძალა არც რუსეთს დაიჯენს თავზე და არც ამერიკას. ამერიკასთან ექნება ათასჯერ უკეთესი ურთიერთობა, ვიდრე სააკაშვილს აქვს. ის დაალაგებს ურთიერთობას რუსეთთანაც. ურთიერთობის დალაგებას მხოლოდ ქართული ძალა შეძლებს და არა რუსული ან ამერიკული. სწორედ ეს არ აწყობს დღეს სააკაშვილს. მას არ უნდა, რომ საქართველოში იყოს ქართული ძალა. იმ პოლიტიკოსებს და პიროვნებებს ლანძლავენ, რომლებიც არც რუსებს გაეგება ფეხქვეშ და არც ამერიკელებს. ვინც მათ ფეხქვეშ ეგება, მათთვის ტელევიზიები ღიაა და ის ხალხი სააკაშვილს მოსწონს.

***— თქვენ რუსული ფული ახსენეთ. რეალურად გამოჩნდა ოპოზიციურ ფლანგზე რუსული ფული?***

— რუსული ფულით დღეს ხელისუფლება ფინანსდება. დღეს საქართველოს ხელისუფლება და საქართველოს ბიუჯეტის 60% არის რუსეთთან დაკავშირებული ფული. საქართველოს მთელი სიმდიდრე რუსული კომპანიების ხელშია. ვერ ინატრებდა რუსეთი მისთვის სასარგებლო ისეთ ხელისუფლებას საქართველოში, როგორიც სააკაშვილის ხელისუფლებაა. სამწუხარო, იცით, რა არის, სააკაშვილს ტელევიზიები ხელში უჭირავს და ამ ტელევიზიებით სხვას ლანძლავს, სხვას აკერებს რაღაც იარლიყებს და სინამდვილეში თვითონ რუსულ ინტერესებს ახორციელებს. გუშინწინ არ გაყიდეს „ხრამი-1“ და „ხრამი-2“? რა, „ენგურჰესის“ საკითხია გაურკვეველი? რა, არ ვიცით, რომ ჭიათურა და ოქროს საბადოები რუსეთის ხელშია? რუსეთის მთავარი წარმომადგენლები ბეჟუაშვილები რომ იყვნენ და დღესაც რჩებიან, ეს არ იცის ხელისუფლებამ? მერაბიშვილის და რუსეთის ხელისუფლების შს მინისტრის შეხვედრა, შემთხვევითი იყო? დარწმუნებული ვარ, რუსებს ეხვეწებიან: ოღონდ სკამს ნუ წაგვართმევთ და მთელი საქართველო თქვენი იყოსო. საფრანგეთში მაგალითად, ამას წინათ რომ აქებდა სააკაშვილი, მთელი ენერგეტიკა და რკინიგზაც სახელმწიფოს ხელშია. საქართველოში კი ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა კი არა, რისი გაყიდვაც არ შეიძლებოდა, ისიც გაყიდეს. ღმერთი რომ ამბობს: მიწა ჩემია და არ გაყიდოთო, ამასაც კი შეეხნენ.

# თავისუფალი აზრის სახლში ჟიული შარტავას გაიხსენებენ

შორენა გონგლა ე

**თავისუფალი აზრის სახლმა რეორგანიზაცია განიცადა. ეს სახლი უკვე რამდენიმე წელია, რაც ფუნქციონირებს. ახლა მას ახალი ხელმ ღვანელობა ჰყავს. მის ხელმ ღვანელად ვაჟა ბერი ე დაინიშნა.**

როგორც თავისუფალი აზრის სახლში „ახალ თაობას“ განუცხადეს, მათთან შეიქმნა 20-მდე სხვადასხვა დარბაზი. მასში გაწევრიანებული არიან სხვადასხვა დარგის პროფესიონალი სპეციალისტები, დაგეგმილია შესანიშნავი ღონისძიებები, ჭეშმარიტი დემოკრატიის ეგიდით.

თავისუფალი აზრის სახლში ფუნქციონირებს ასევე საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას სახელობის გმირთა დარბაზი.



მიმდინარე წლის 9 მაისს 17 საათზე გაიმართება დარბაზობა, რომლის თემაა: ორი თაობის ჟიული შარტავა... სიცოცხლე გრძელდება.

დიდი ჟიული შარტავას მეგობრები და თანამოაზრეები შეხვედრას უწყობენ უმცროსი ჟიული შარტავას თაობას.

1993 წელს გაზეთ „დიტარატურულ საქართველოში“ ბატონი ჟიული წერდა: „სანამ ცოცხლები ვართ, ერთად მოვახმაროთ საქართველოს ჩვენი მკლავი და ჩვენი უნარი. ნუ ჩავტეხთ ხიდს ერთმანეთს შორის, ამ ხიდზე ჩვენთან ერთად ჩვენი შთამომავლობა დგას. დგას საქართველოს ხვალინდელი დღე. და საქართველომ 21 საუკუნეში უნდა შეაბიჯოს და გაიაროს მესამე ათასწლეული ამ ხიდითაც. ერთად ვიზრუნოთ საამისოდ“.



— დიახ, ჩვენ, თავისუფალი აზრის სახლის მესვეურნი ამ სურვილს ხორცს შევასხამთ და ერთად ვიზრუნობთ თაობათა ხიდჩაუტეხლობაზე, — განაცხადეს თავისუფალი აზრის სახლში.

თავისუფალი აზრის სახლი ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას ულოცავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

ასევე საქართველოს ხელისუფლებასა და მხედრობას და ყველა მართლმადიდებელ მამულიშვილს. ვუსურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ქართველი ერის სულიერ ერთიანობას და სამშობლოს გაბრწყინებას.

## იაპონიიდან შემოყვანილ ავტომანქანებზე რადიაციული ფონი ნორმის ფარგლებშია

გარემოს დაცვის სამინისტროს რადიაციული უსაფრთხოების სპეციალისტებმა იაპონიიდან შემოყვანილ ავტომანქანებზე უახლესი ტიპის დეტექტორებით რადიაციული ფონი შეამოწმეს და მოსახლეობას ქვეყანაში არსებული რადიაციული ფონის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

როგორც საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, იაპონიაში განვითარებული მოვლენების და ფუკუსიმას რეაქტორზე მომხდარი აფეთქების შემდეგ საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ შესაძლოა საქართველოში იმპორტირებულ ავტომანქანებზე იყოს მომატებული რადიაცია.

— ეს იყო დამატებით კიდევ ერთი შემოწმება მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით. ჩვენ გავზომეთ ჰაერის დაბინძურების დონე, გამა გამოსხივება და რადიაციული ფონი, რომელიც ნორმის ფარგლებშია და უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, — განაცხადა გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა მარინა არაბიძემ.

საქართველო არის რეგიონის ცენტრი, საიდანაც მარაგდება მთელი შუა აზიის ქვეყნები ავტომანქანებით. საექსპორტო მანქანების ძირითადი ნაწილი კი სწორედ იაპონიიდან შემოდის, რის გამოც საქართველოში გამკაცრებულია იმ ტვირთების რადიაციული ფონის კონტროლი, რომლებიც ქვეყანაში საჰაერო და საზღვაო გზით შემოდის იაპონიიდან. ასევე, განსაკუთრებულ რეჟიმში ხდება გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ ჰაერის დაბინძურების ხარისხის მონიტორინგი. ამ ეტაპზე, საქართველოში არ დაფიქსირებულა იაპონიიდან შემოსული ავტომანქანა, რომელზეც მომატებული იყოს რადიაციული ფონი.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ 13 მეტეოსადგურს აქვს სპეციალური ხელსაწყოები, რომელთა მეშვეობითაც ყოველდღიურად ხორციელდება ჰაერში გამა გამოსხივების დონის გაზომვა. გარემოს დაცვის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები რადიაციული ფონის და ჰაერის დანინძურების ხარისხის რეგულარულ შემოწმებას მომავალშიც გააგრძელებენ.

მედიანიუსი

## ადიდებულმა ალაზანმა ყვარელში ბუნებრივი აირის ცენტრალური მაგისტრალი გაგლიჯა

ადიდებულმა ალაზანმა ბუნებრივი აირის ცენტრალური მაგისტრალი დააზიანა, რის გამოც ყვარლის რაიონს ბუნებრივი აირი არ მიეწოდება, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

„სოკარ ჯორჯია გაზი კახეთის" რეგიონალური სამმართველოს უფროსის ნუგზარ ბურკიაშვილის თქმით, დაზიანების აღდგენა ვერ ხერხდება.

— მილი წყალშია და სანამ წყლის დონე არ დაიკლებს, რეაბილიტაციას ვერ მოვახერხებთ, — განაცხადა ბურკიაშვილმა.

მაგისტრალი ბუნებრივი აირის სატრანსპორტო კომპანიას ეკუთვნის. კომპანიის ადმინისტრაციაში განმარტავენ, რომ ავარიის ლიკვიდაცია დროულად მოხერხდა, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების დრო კი ჯერ უცნობია.

მედიანიუსი

## ვარკეთილში პოლიციის ახალი განყოფილება გაიხსნა

თბილისს პოლიციის ახალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შენობა შეემატა. ახალი განყოფილება ვარკეთილში აშენდა, სადაც 55



თანამშრომელი იმუშავებს და დასახლებას მოემსახურება.

პოლიციის ახალი შენობა თბილისის მერმა გიგი უგულავამ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა გახსნეს.

2008 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის სხვადასხვა რაიონში პოლიციის განყოფილების ახალი შენობები ააშენა. პროექტი გრძელდება და უახლოეს მომავალში თბილისში პოლიციის კიდევ ოთხი ახალი განყოფილება დაიწყებს ფუნქციონირებას.

მედიანიუსი

# პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლება 10.000 ლარი ღირს

## ადვოკატ ტაბალუას სკანდალური განცხადება

შორენა კოწოწაშვილი



ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი ადვოკატთა ინსტიტუციონალურ დევნაზე საუბრობს და იმ კონკრეტულ ფაქტებს ასახელებს, რასაც სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში რიგი ადვოკატების მიმართ აქვს ადგილი. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში 100-ზე მეტი ადვოკატია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და არაერთი ადვოკატი განიცდის ძალადობას ხელისუფლების წარმომადგენელთა, მათ შორის, ხათუნა კალმახელიძის უწყების და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან. 2 მაისს ადვოკატთა ასოციაციას განცხადებით მიმართა ადვოკატმა ვლადიმერ ტაბალუამ, რომელიც განცხადებაში აღწერს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის ვაჟა ცხვედიანის მიერ, პატიმარ ტარიელ საყვარელიძის წამების ფაქტს.

ტაბალუას განცხადების საფუძველზე ზაზა ხატიაშვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავას და მოითხოვა გამოძიებულ იქნეს ტაბალუას მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები.

ხატიაშვილი საქართველოს მთავარ პროკურორს მოუწოდებს სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება ვლადიმერ ტაბალუას მიერ გახმაურებულ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხატიაშვილის თქმით, ადვოკატთა ასოციაცია გაატარებს რადიკალურ ზომებს ადვოკატის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის ფაქტთან დაკავშირებით.

ადვოკატ ვლადიმერ ტაბალუას მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელმა პრესკონფერენცია გამართა. ხატიაშვილის თქმით, იმის მიუხედავად, რომ არაერთგზის მიმართა მთავარ პროკურორს, ადვოკატთა კორპუსის დევნის გამო პასუხისგებაში მიეცა სახელმწიფო ჩინოვნიკები, დღემდე არავინ დასჯილა. პირიქით, ხატიაშვილი დარწმუნებული, რომ სწორედ მთავარი პროკურატურის უმოქმედობამ წაახალისა კალმახელიძის უწყების თანამშრომლები, ახალ-ახალი დანაშაულობები ჩაედინათ ადვოკატებთან მიმართებაში.

— თუ ადვოკატი გაიგებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ნაცემია და მასთან შეხვედრა უნდა მტკიცებულების გამოსატანად, დიდი შანსია, რომ საპატიმრო დაწესებულებიდან არ გამოუშვან და გამოგონილი ბრალდებით დააკავონ. ამის მაგალითია რუსთავის მე-2 საპყრობილის დირექტორის, შოთა თოლორდავას და მისი ხელქვეითების მიერ ადვოკატ ტაბალუას უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა იმის გამო, რომ მას ციხიდან გამოჰქონდა პატიმარ ტარიელ საყვარელიძის განცხადება წამების თაობაზე. ტაბალუას დაურღვიეს კლიენტთან კონფიდენციალურობა და მიაყენეს შეურაცხყოფა, — აცხადებს ზაზა ხატიაშვილი და მოითხოვს სს საქმის აღძვრას მთავარ პროკურატურაში ტაბალუას უკანონოდ დაკავების გამო. მისი თქმით, 8 თვეა მთავარი პროკურატურა ტაბალუას საქმეზე არანაირ ზომებს არ იღებს.

რაც შეეხება თავად ტაბალუას, როგორც ხატიაშვილი აცხადებს, ადვოკატი დროულად მიხვდა, რომ მის წინააღმდეგ პროვოკაცია მზადდებოდა და იძულებული გახდა, დაეხია მსჯავრდებულ საყვარელიძის მიერ დაწერილი განცხადება, სადაც აღწერდა, თუ როგორ აწამა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორმა ვაჟა ცხვედიანმა 2011 წლის 10 თებერვალს და 7 აპრილს.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატ ტაბალუას საქმე მოხვდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტ ხოსე მარია დავო ფერნანდეს გამოგზავნილ წერილში, რომლითაც ფერნანდესი მოითხოვდა ადვოკატების დევნის ფაქტების გამოძიებას.

პრესკონფერენციას ესწრებოდა თავად ადვოკატი ვლადიმერ ტაბალუა, რომელსაც საყვარელიძის ფაქტის პარალელურად იმ ვითარებაზეც გავესაუბრეთ, რომელიც დღეს ციხეებშია შექმნილი და რომლითაც მინისტრი ხათუნა კალმახელიძე თავს იწონებს და ისე წარმოაჩენს, თითქოს ევროდინის ციხეთა სისტემა შექმნა

***— ბატონო ვლადიმერ, რა პრეტენზიები გაქვთ კალმახელიძის უწყებასთან და რა პრობლემებს წააწყდით მსჯავდებულ საყვარელიძის ცემა-წამების გამო?***

— კონკრეტულად, არა მხოლოდ მე, არამედ ადვოკატთა ასოციაციის თითქმის ყოველთვის აქვთ ეს პრობლემები საპყრობილეებში შესვლისას და გამოსვლისას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ვიგებთ, რომ პატიმარს სცემეს, აწამეს, უკანონოდ შეუწყვიტეს მკურნალობა ან უკანონოდ შეუცვალეს რეჟიმი და გვჭირდება რამე ინფორმაციის მიღება. ციხის ადმინისტრაცია ამ დროს შეგნებულად გვიქმნის დაბრკოლებას. სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვანაირადაა. გეგუთის დაწესებულებაში რომ შედიხარ, ფეხსაცმელს გაგხდიან შესვლისას და გამოსვლისას. რომ ეუბნები, ამის უფლება არ გაქვთ და ეს კანონში არ წერია, იძახიან, ჩვენთან ასეთი წესია. რუსთავის მე-2 დაწესებულებაშიც გხდიან ფეხსაცმელს და ხელით გეხებიან ჩხრეკის დროს, რისი უფლებაც არ აქვთ. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ცემის ფაქტია და ეს გახმაურებულია, რომელი ადვოკატიც ასეთ ფაქტს ახმაურებს, მის მიმართ გააჩნიათ შურისძიების მოტივი; რომ შენ გაგამწარონ, ხელი შეგიშალონ; ინფორმაცია არ მოგცემენ, დახასიათება რომ გამოითხოვო, ამას აჭიანურებენ.

***— ამას ციხის ადმინისტრაცია აკეთებს?***

— ადმინისტრაცია აკეთებს ამას და თან შეგნებულად. ამასთან, რა კითხვასაც დაუსვამ, იმ კითხვებზე პასუხს არ იძლევიან. საყვარელიძის ცემის ფაქტზე საჩივარი შევიტანე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელზე. პატიმრობის შესახებ კანონის 96-ე მუხლით ევალებათ საჩივარზე ზომების მიღება. ვწერ, რომ საყვარელიძეს „რეზბალნიცის" დირექტორმა სცემა უკანონოდ, შეუწყვიტა მკურნალობა და დააბრუნა რუსთავის მე-17 დაწესებულებაში. გთხოვთ, გამოიძიოთ და პატიმარი დააბრუნოთ სამკურნალო დაწესებულებაში. იმის ნაცვლად, რომ თვითონ ეს ფაქტი გამოიძიოს, სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარეს უგზავნის. ის იქიდან წერს, გამოვიკვლიეთ და კონსულტაცია ჩავიტარეთო. მე კონსულტაციას კი არა, მოკვლევის ჩატარებას და ზომების გატარებას ვითხოვდი. იგივე მივწერე მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს, იქიდანაც ნული რეაგირება.

***— ანუ ბატონო ვლადიმერ, ხათუნა კალმახელიძეს მისწერეთ, რომ სულით ავადმყოფ პატიმარს სცემენ და აწამებენ და რეაგირება მაინც არ არის?***

— რეაგირება ნამდვილად არ არის, პირდაპირ მივწერე მინისტრს, რომ ჭაჭუამ ჩაიდინა ასეთი ქმედება. ჩემი საჩივარი კალმახელიძემ იმ ადგილას გადაამისამართა, სადაც არ უნდა გადაეგზავნა. მწერენ, საყვარელიძე ავადმყოფია, მაგრამ იძულებით მკურნალობას არ საჭიროებსო. მინისტრს ვწერ, ცხვედიანმა პატიმარს სცემა, აწამა, გთხოვთ მიიღოთ ზომები. გენერალური ინსპექცია მწერს სრულიად სხვა რაღაცას, ანუ პასუხს არ იძლევიან. ეს კალმახელიძის უწყებაში უკვე მიღებული ფორმაა. ანუ კალმახელიძის სისტემაში ჩადენილი დანაშაული, რასაც სჩადიან მოხელეები, ამას ფარავენ.

***— რაზე მიანიშნებთ, მძიმე მდგომარეობაში მყოფ პატიმრებს არ მკურნალობენ და სახელმწიფო მოხელეთა დანაშაულების ფაქტებს მალავენ კალმახელიძის უწყებაში?***

— დიახ ასეა, მალავენ. მე ვახმიანებ, რომ სულიერად დაავადებულ პატიმარ საყვარელიძეს უკანონოდ შეუწყვიტეს მკურნალობა. ისედაც აღგზნებულია პატიმარი და წამალს რომ არ მისცემ, რას იზამს ის? ის არა მხოლოდ სხვებისთვის არის საშიში ასეთ მდგომარეობაში, არამედ საკუთარი თავისთვისაც. ამ მდგომარეობაში პატიმარმა შეიძლება სრულიად უდანაშაულო პატიმარი მოკლას, არადა, საყვარელიძეს განაჩენში უწერია, რომ სასჯელი უნდა მოიხადოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში განკურნებამდე, ხოლო განკურნების შემდეგ, ჩვეულებრივი წესით. სანამ არ დაიდება დასკვნა, რომ საყვარელიძე განკურნებულია, მისი ფსიქიატრიული განყოფილებიდან გადაყვანა დაუშვებელია.

***— მინისტრ კალმახელიძის ქმედებაში უფლებამოსილების გადამეტება, ან დანაშაულის ნიშნები იკვეთება?***

— მინისტრის ქმედება და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ქმედება პირდაპირ არის სამსახურებრივი გულგრილობა, რაც არის დანაშაული. კალმახელიძე და დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამ კუთხით სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან. როცა მინისტრს ატყობინებ, რომ პატიმარს კლავენ ცემა-წამებით და ამაზე რეაგირებას არ ახდენენ და უნდათ, მიჩქმალონ, დანაშაულია ეს, აბა, რა არის? ეს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით შეიძლება დააკვალიფიციროს: დანაშაულის დაფარვა და გულგრილობა. მინისტრის და მისი მაღალჩინოსნების ასეთი ქმედება, რა თქმა უნდა, ჩვენი, ადვოკატების შეურაცხყოფაა. ჩვენ არ გვეძლევა ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების დაცვის შესაძლებლობა. უფრო უარესიც, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა ჩვენი უფლებები დავიცვათ. ჩვენი საჩივრები რეაგირების გარეშე რჩება. მაგალითად, თოლორდავას დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურაში შეტანილი საჩივარი უკვე რვა თვეა რეაგირების გარეშეა დარჩენილი. პასუხს რომ მოვთხოვ, მეტყვიან, არ დადასტურდაო. სად უნდა გაასაჩივრო? გენერალური პროკურატურა რეაგირებას არ ახდენს, უგზავნის დეპარტამენტს და კალმახელიძეს. კალმახელიძე უგზავნის საგამოძიებოს და ეს წრე შეკრულია, რომ ეს საქმე არ გაიქექოს და სააშკარაოზე არ გამოვიდეს.

***— ცრუობს მინისტრი კალმახელიძე, როცა პარლამენტის ტრიბუნიდან აცხადებს, რომ არც ისეთი მძიმე მდგომარეობაა ციხეებში პატიმრების ჯანმრთელობის კუთხით, როგორც ეს უფლებადამცველების მხრიდან ვრცელდებაო?***

— შეიძლება ითქვას, რომ ცრუობს, რადგან უამრავი დაავადებული პატიმარია დღეს ციხეებში. მძიმე ავადმყოფ პატიმრებს არ იწყალებენ. იმდენი მძიმედ დაავადებული პატიმარია ტუბერკულოზით დაავადებულთა საპატიმროში, ექსპერტიზა რომ ჩატარდეს, დაიწერება უამრავზე: ამ ადამიანს არ შეუძლია სასჯელის მოხდა. ასეთ პატიმრებს არ იწყალებენ. შეიძლება სხვა შეიწყალონ ნაცნობობით ან დარეკვით, მაგრამ მძიმე ავადმყოფ პატიმრებს არ იწყალებენ. სრულიად ჯანმრთელი ადამიანი რომ შედის ასეთი მძიმე ავადმყოფ პატიმრებთან და ციხეში რომ ავადდება, ამაზე რას ამბობს კალმახელიძე? ამ ფაქტების გახმაურება არ უნდათ. კონკრეტული პატიმრისგან ვიცი, რომელიც ახლა გარეთ არის, რომ ციხის საავადმყოფოში საწოლი სამასი დოლარი ღირს თვის განმავლობაში. რომ იქ იწვე და მკურნალობა ჩაიტარო სამკურნალო დაწესებულებაში.

***— ეს ამ ხელისუფლების პირობებში ხდება?***

— კი, ამ ხელისუფლების პირობებში. რომ იძახიან, კორუფცია არ არისო. როგორ არ არის ციხეებში კორუფცია, სენივით არის გავრცელებული. თუ პატიმარი სასჯელს იხდის ერთ დაწესებულებაში და სხვაში უნდა გადასვლა, მაგალითად, ოჯახთან ახლოს, 1500 დოლარზე ნაკლები არ უნდა გადაიხადოს. მსგავსი ფაქტის გამო 500 დოლარის აღებისთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელიც კი დაიჭირეს.

***— ანუ პატიმრები ადმინისტრაციას ფულს უხდიან?***

— გადაუხდიათ და ყოფილა ასეთი ფაქტია. ეს ვიცი პიროვნებისგან, რომელმაც სასჯელი მოიხადა და დღეს გარეთ არის ცოცხალი.

***— ვადაზე ადრე პატიმართა გათავისუფლება სამართლიანად ხდება?***

— როცა ვამბობთ, რომ 26.000 პატიმარია, არანაკლებ 4.000 პატიმარს ეკუთვნის ვადაზე ადრე გათავისუფლება. მაგრამ ასეთ პატიმრებს არ გაუშვებენ. აქედან 15-20 პატიმარს გაუშვებენ და ამას ტელევიზიით აცხადებენ. როგორც მითხრეს, ვადაზე ადგრე გათავისუფლება რომ მოხდეს, მინიმალური 5.000, მაქსიმალური 10.000 ლარია საჭირო, რომ გადაიხადო და პატიმართა იმ სიაში მოხვდე, ვინც უნდა გაათავისუფლონ.

***— ბატონო ვლადიმერ, თქვენ სკანდალურ განცხადებებს აკეთებთ. გამოდის, კალმახელიძის უწყებაში კორუფცია სერიოზულ მასშტაბებს აღწევს. ასეა?***

— სერიოზულ დონეზეა ამ კუთხით, რომელიც მე ზემოთ დაგისახელეთ. ცხვედიანი ავადმყოფ პატიმარს რომ სცემს და ჩვეულებრივ დაწესებულებაში გადაჰყავს, მის საწოლს რომ ათავისუფლებს, ეს საწოლი იმ პატიმრით უნდა შეივსოს, ვინც ფულ გადაიხდის. ამ განცხადებას ვაკეთებ იმ ინფორმაციებიდან გამომდინარე, რაც პატიმრებისგან მაქვს. კალმახელიძე თავის დომეზე რომ იდგეს, როგორც მინისტრი და ასეთ ფაქტებს არ მალავდეს, სხვა იქნებოდა. მაგრამ როცა მინისტრი უმძიმეს ფაქტებს მალავს და თავად არის ამ ჯაჭვში ჩაბმული, რომელიც ციხეებში უმძიმეს რეალობას ჩქმალავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ხათუნა კალმახელიძეც ჩაბმულია ამ კორუფციულ გარიგებებში. სხვას ვერ იფიქრებ, როცა ხედავ, ადამიანი კვდება და ციხის საავადმყოფოში არ გადაგყავს, როცა ეკუთვნის ვადაზე ადრე გათავისუფლება და არ ათავისუფლებ და ა.შ.

# საქართველომ დასავლეთთან ურთიერთობის გამო დაკარგა ორი თავისი ძირძველი ტერიტორია

შორენა გონგლაძე

**ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან**

***— ბატონო ჰამლეტ, რევოლუციურმა ტალღამ საკმაოდ დიდი ხნით გადაიწია, როგორც სახალხო კრების მიერ გაჟღერებული განცხადებიდან გახდა ცნობილი, სააკაშვილის დამამთავრებელი აქციები თვის ბოლოს დაიწყება, ბურჯანაძისეულ ოპტიმიზმს თუ უერთდებით?***

— სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი არ მაქვს, რომ რაღაც მოხდება ამ ქვეყანაში. ამისთვის არ არის ხალხი მზად, ამისთვის საზოგადოებას უნდა მომზადება. საზოგადოებაში კი არის დიდი უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, არ არის საკმარისი, რომ მოხდეს ის, რაც ბურჯანაძეს უნდა, ან მოხდეს ის, რომ დაემხოს ეს ხელისუფლება. ამისთვის საზოგადოება სხვანაირი შემართებით უნდა იყოს განწყობილი. მაგალითების მოყვანა არ გაგვიჭირდება, იმდენი რევოლუციები ხდება არაბულ სამყაროში. იქ ისეთი შემართებით მოქმედებს ხალხი, რომ ისინი სიცოცხლესაც არ ზოგავენ, რათა მიიღონ შედეგი, მაგრამ ჩვენთან ასეთი განწყობა ნამდვილად არ არის. საზოგადოებას, ცხადია, არ უყვარს ეს ხელისუფლება, მაგრამ საზოგადოება არც იმის განწყობაზეა, რომ თავი შესწიროს ამ ყველაფერს. ქართველი ხალხი გაცილებით უფრო მიწიერია და უფრო სათავისოდ ფიქრობს, ვიდრე სამომავლოდ. მათ ურჩევნიათ ის, რაც არის, ოღონდ ცოცხლები იყვნენ.

***— თქვენ თქვით, რომ ხალხს უნდა მომზადება რევოლუციისთვის, მაგრამ ეს უნდა გააკეთოს რეიტინგულმა პიროვნებამ, ვინ უნდა მოამზადოს ხალხი, ბურჯანაძემ?***

— გეთანხმებით კითხვაში, რომელსაც მისვამთ. ცხადია, საზოგადოება უნდა მოამზადოს მან, ვინც აპირებს ხალხის განწყობის ბოლომდე მიყვანას. ამ შემთხვევაში ამას აპირებს ბურჯანაძე, მაგრამ საზოგადოებას თვითონ ბურჯანაძის მიმართ აქვს გარკვეული სკეპტიციზმი. საზოგადოება მრავალი წლის განმავლობაში ბურჯანაძეს უყურებდა, როგორც სააკაშვილის მარჯვენა ხელს და მისთვის მართალია ბურჯანაძის დღევანდელი განწყობა არის ანტისააკაშვილისეული, მაგრამ ხალხს ვერ უპატიებია ის, რაც ჩაიდინა ბურჯანაძემ მრავალი წლის განმავლობაში. ასე რომ, ბურჯანაძისადმი დამოკიდებულება არის ხალხის მიმართ მრავალი კითხვის ნიშნის ქვეშ. მე ცუდს ვერ ვხედავ იმაში, რომ ბურჯანაძის პოლიტიკური კურსი მიმართულია რუსეთისკენ. საქმე ისაა, რომ დასავლეთისკენ პოლიტიკურმა კურსმა სადამდეც მიგვიყვანა, ეს ყველასთვის ცნობილია. გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან დსთ-ს წევრი სახელმწიფოები, ისინი ეკონომიკური თვალსაზრისითაც გაცილებით მაღლა დგანან და პოლიტიკური თვალსაზრისითაც მყარად გამოიყურებიან, ვიდრე არშემდგარი საქართველო. საქართველომ დასავლეთთან ურთიერთობის გამო დაკარგა ორი თავისი ძირძველი ტერიტორია. ყველაფერს რომ შევეშვათ, გაიუარესა თავისი ეკონომიკური მდგომარეობა და იმ დონემდე მიიყვანა ქვეყანა, რომ ქართველი გაცილებით მეტი ცხოვრობს საზღვარგარეთ, ვიდრე საქართველოში. ეს ყველაფერი არის ჩვენი ძალიან ცუდი პოლიტიკური კურსის გამო. მე არ ვამბობ, რომ დასავლეთთან არ უნდა გვქონდეს ურთიერთობა, დასავლეთთან უნდა იყოს ურთიერთობა, მაგრამ ასევე უნდა იყოს ურთიერთობა რუსეთთან. მე როგორც ვიცი, ბურჯანაძეც ამას ამბობს და არა იმას, რომ ჩვენ რუსეთის მონები უნდა გავხდეთ. ამაში ბურჯანაძეს გაცილებიც უკეთესი პოზიცია უკავია და უფრო პრაგმატული და ჭკვიანური, ვიდრე ამ ხელისუფლებას და იმათ, ვისაც ჰგონია, რომ დასავლეთი აგვაყვავებს. დასავ-



ლეთმა დაგვაქცია, ეს არის ფაქტი და ამას არ სჭირდება არავითარი გულთმისნობა, რომ ვინმეს თვალი აუხილოს. თუ ამ საზოგადოებას თვალი ვერ აეხილა იმ ვითარებით, რომელიც რეალობაში არსებობს და როგორც ჩანს, ვერ აეხილა, ასე იქნება სულ მუდამ და დავა იმ დონემდე, რა დონეზეც არის მივარდნილი აფრიკული ქვეყნები.

***— თქვენ თქვით, რომ დასავლეთთან ურთიერთობამ დაგვაკარგვინა ტერიტორიები, მაგრამ ეს ტერიტორიები გაცილებით ადრე დაიკარგა, ვიდრე ჩვენი დასავლური კურსი გამოიკვეთებოდა.***

— ჩვენ დავიწყეთ ამის დაკარგვა, ის იყო შევარდნაძისეული ქარაფშუტული პოლიტიკა და არანაკლებ ქარაფშუტული გამსახურდიასეული პოლიტიკა. გამსახურდიამ გამოაცხადა საქართველო სხვა ეროვნების ადამიანების გარეშე. ეს ყველაფერი დაიწყო მაშინ. მართალია მაშინ დასავლეთი ჩვენთან მჭიდროდ არ თანამშრომლობდა, მაგრამ ჩვენი სურვილი იყო, რომ ჩვენ შორს ვყოფილიყავით რუსეთისგან და როგორმე ჩავხუტებოდით დასავლეთს. დასავლეთის იმედით შევარდნაძე, რომელიც გამოჩნდა ხელისუფლებაში, შევარდა აფხაზეთში, ასევე მდგომარეობა გაირთულა სამხრეთ ოსეთში და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. შემდეგ დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა დასავლეთთან და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ის რაც შევარდნაძის დროს დავკარგეთ, შესაძლებელი იყო დაგვებრუნებინა უკან, მაგრამ ჩვენ არაფერი არ გავაკეთეთ, რომ დავლაპარაკებოდით აფხაზებსა და ოსებს. ჩვენი პოზიცია მუდამ იყო ასეთი, რომ ჩვენ ვართ ყველაფერი, აფხაზები და ოსები არაფერი, ასეთი დამოკიდებულება როდესაც არსებობს მრავალეროვან ქვეყანაში, იქ ყოველთვის წაგებულია პოლიტიკური ცენტრი და ასეც მოხდა.

***— აფხაზებთან და ოსებთან ლაპარაკი არ გამოვიდოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ უკან იდგა და დღესაც დგას რუსეთი...***

— ამ პროცესებში აქტიურად ვიყავი ჩართული, მრავალი წლის განმავლობაში ურთიერთობა მქონდა აფხაზებთან, ვხვდებოდი მათ გერმანიასა და ავსტრიაში და ვიცი მათი განწყობა. უბედურება ის არის, რომ ხელისუფლებამ არ გადადგა არავითარი ნაბიჯი.

***— რა ნაბიჯი უნდა გადაედგა?***

— ეს ძალიან ვრცელი თემაა. შემუშავებული იქნა ქართულ-აფხაზური შერიგების გეგმა, რომელზეც სავარაუდოდ ავიღეთ ათი წელი. ამ ხნის განმავლობაში არ უნდა გველაპარაკა არავითარ სტატუსზე, დაგვეწყო ყველა სხვა დარგში ურთიერთობები, გარდა პოლიტიკური ურთიერთობისა, აღგვედგინა ეს ურთიერთობები და შემდეგ, როდესაც ჩვენ გვექნებოდა კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და სხვა კავშირები, ამის შემდეგ გამოჩნდებოდა, უკვე რამდენად ვიყავით მზად ჩვენ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისთვის. ამაზე მოდიოდნენ აფხაზები, იყო ლაპარაკი იმაზე, რომ თბილისში გახსნილიყო სოხუმის წარმომადგენლობა, იყო ლაპარაკი იმ დონეზე, რომ მაშინ აჭარის წარმომადგენელიც ვიყავი და აფხაზებმა მკითხეს, შეგვეძლო თუ არა ჩვენი დროშის და გერბის გამოფენა ჩვენს წარმომადგენლობაზე. ამით დაინტერესებული იყვნენ აფხაზები, მე ამის შესახებ წერილობით მივაწოდე ინფორმაცია მაშინდელ ხელისუფლებას. ეს ხდებოდა 2003 წელს, ვარდების რევოლუციამდე. ამ პროცესებისთვის ასევე მზად იყო რუსეთი. როდესაც შევარდნაძე სოჭის შეხვედრის დროს პუტინს შეხვდა, კატეგორიულად იყო ლაპარაკი იმ პროგრამაზე, რომელიც ჩვენ მიერ იყო გაკეთებული. ამის შემდეგ შევარდნაძემ დაიწყო ყოყმანი, შემდეგ მოხდა რევოლუცია და ყველაფერი ჩაბარდა ისტორიას. პუტინს არაერთხელ უთქვამს, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ ჩვენ, როგორც ნივთს, აფხაზეთს და ოსეთს ვერ მოვექცევით, თქვენ უნდა დაელაპარაკოთ მათ, მაგრამ ცენტრს არასდროს არ უფიქრია არც ოსებთან და არც აფხაზებთან დალაპარაკება. ეს ყველაფერი ისტორიას ჩაბარდა, ახლა მათ უკვე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ჩვენ კი ვიცინით, ეს რა დამოუკიდებლობა არისო, მაგრამ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ხდები, როდესაც თუნდაც ერთი სახელმწიფო გაღიარებს და ისინი ოთხმა სახელმწიფომ აღიარა.

***— ამ წლებს თუ გადავხედავთ, არც რუსეთთან ურთიერთობამ მოგვიტანა არაფერი და არც დასავლეთთან, ძალიან ბევრი ქვეყანა არსებობს და საქართველოზე ბევრად პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ ნეიტრალიტეტი, ამ გზით რატომ არ შეიძლება საქართველო წავიდეს?***

— ხალხის გარკვეული კატეგორია და მათ შორის მეც, დაჟინებით მოვითხოვდით, რომ საქართველოს ჰქონოდა ნეიტრალიტეტი, ანუ მას ჰქონოდა ნეიტრალური პოლიტიკა თავის საგარეო კურსში, ნუ ჩაერევა საქართველო ისეთ საკითხებში, რომელიც არ არის მისთვის ხელსაყრელი, როგორც პატარა ქვეყნისათვის. სამწუხაროდ, ეს არ მოსწონს, უპირველეს ყოვლისა, ამ ხელისუფლებას, არ მოსწონს დასავლეთი იმიტომ, რომ დასავლეთს სურს საქართველო იყოს მასზე მიბმული და იყოს მისი კოლონია. არ უნდათ ქართველ პოლიტიკოსებს, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, მათ მიაჩნიათ, რომ ძნელია საქართველომ განახორციელოს ნეიტრალიტეტი. იოლი არის მწვადის ჭამა, რასაც ქართველები აკეთებენ და იოლია ყანწით საქართველოს სადღეგრძელოების სმა, მაგრამ ძნელია თანამიმდევრული პოლიტიკა და ქვეყნებთან ურთიერთობა. ამიტომ, თუ საქართველოს სურს, რომ იცხოვროს ნორმალურად, ამისათვის საჭიროა შრომა. ეს არ არის ერთი დღის საქმე, ეს წლებმა უნდა დაამტკიცოს, რომ საქართველო არის ნეიტრალური, მაგრამ საქართველო თავისი მოქმედებით პირველი მტერი არის რუსეთის, პირველი გამაღიზიანებელი, პირველი მძრომიალე ამერიკის უკანალში და ცხადია, ასეთი ქვეყანა ვერაფერს ვერ მიაღწევს. ასეთი ქვეყანა ყოველთვის იქნება სადღაც ისტორიის კიდეზე და იმ სივრცეში, დღეს თუ არა, ხვალ რომ გადაიჩეხება ხევში.

## როსტომ ჩხეიძის ახალი პიესის წარდგინება გაიმართა



თბილისში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მწერლის, ლიტერატურამცოდნის, კრიტიკოსისა და მთარგმნელის, როსტომ ჩხეიძის პიესის — „ჩემი გზა ჩემი აკლდამა (მონტაჟი ორ მოქმედებად და ათ სურათად დაკარგული პიესის ტრაგედიაზე)“ წარდგინება გაიმართა. ეს ავტორის ახალი დრამატურგიული ნიმუშია, რომელიც თემატურადაც და კონცეფციურადაც აგრძელებს მის პირველ პიესას „ლეგენდა ისკანდერისა“.

ნაწარმოები თავის დროზე პოპულარული კომედიოგრაფის, ზურაბ ანტონოვის შემზარავ აღსასრულსა და ამ აღსასრულის საეჭვო გარემოებების გამოძიებას შეეხება. მკითხველს გამომძიებლის როლში ილია ჭავჭავაძე ევლინება.

როგორც როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, მას მამამ, ქართული ლიტერატურის სახელოვანმა წარმომადგენელმა ოთარ ჩხეიძემ ჯერ კიდევ ბავშვობაში უამბო, თუ როგორ უკბინა ზურაბ ანტონოვს ცოფიანმა ძაღლმა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ერთი თვის შემდეგ კი, უკვე დაავადებული, იმის შიშით, რომ „ხალხი არ დაეგლიჯა“, საკუთარ ოთახში გამოკეტეს და ექიმის ნაცვლად პოლიცია დააყენეს. საავადმყოფოში საღამოს კი წაიყვანეს, მაგრამ აღარაფერი ეშველა.

— ანტონოვის ბედისწერა ბავშვობიდანვე მაფორიაქებდა. ოთახში გამოკეტილი მწერლის სიტყვები — „მიშველეთ, რათა მკლავთ?!“ - ყურში მიწიოდა. როგორ შეიძლება, კაცი ასე გაწირო! ასეთია მწერლის ბედი პოლიციურ სახელმწიფოში, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ. მისი თქმით, ნაწარმოებში მოხმობილი წარმოსახვითი დიალოგები დოკუმენტურ წყაროებს მიჰყვება. დოკუმენტურ ჩარჩოებს არ სცილდება ავტორის ფანტაზიაც.

როგორც წიგნის რედაქტორმა მაკა ჯოხაძემ განაცხადა, დეტექტივი, როგორც ჟანრული ფორმა, როსტომ ჩხეიძისათვის მახლობელია. მის შემოქმედებაში ლიტერატურული დეტექტივები და დეტექტიური ცდები მკაფიოდ და შთამბეჭდავად იკვეთება. მისი შეფასებით, ახალი ნაწარმოები გმირების ხასიათებით, სიუჟეტის განვითარებით, პასაჟებითა და სხვა კომპონენტებით დეტექტიური ჟანრის სრულყოფილი ნიმუშია.

როგორც პროფესორმა მაია ჯალიაშვილმა განაცხადა, ნაწარმოები ექსპრესიულად იკითხება და მკითხველიც გამოძიების მონაწილედ იქცევა.

—ზურაბ ანტონოვის დაღუპვის გამოძიება სწორხაზოვნად არ ვითარდება. ილია ჭავჭავაძეს სხვადასხვა პირზე მიაქვს ეჭვი და მკითხველის ინტერესიც ერთიდან მეორეზე გადადის. ეს კი ნაწარმოებს ერთიორად საინტერესოს ხდის, — აღნიშნა მაია ჯალიაშვილმა.

პროფესორ ზაზა აბზიანიძის მოსაზრებით, კარგი იქნება, თუკი წიგნის განხილვა მას შემდეგაც გაიმართება, რაც მას წაიკითხავენ და სცენაზე დადგმულს იხილავენ.

როსტომ ჩხეიძის ახალ წიგნზე მოსაზრებანი გამოთქვეს: ლევან ბრეგაძემ, ზაზა აბზიანიძემ, ქეთევან ელოშვილმა, ლევან ქურციკაშვილმა, მარიამ კარბელაშვილმა.

**მედიანიუსი**

## ვანო მერაბიშვილმა უკრაინის დელეგაცია მიიღო



საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია: მინისტრის მრჩეველი ლეონიდ ზიმა, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, პოლკოვნიკი ვლადიმერ ჰუცუბიდენკო, ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი, მაიორი მიხეილ კუზნეცოვი და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი რომან მიცაკი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დელეგაციას დეტალურად გააცნო შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები.

ვიზიტის ფარგლებში უკრაინის დელეგაცია გაეცნო შინაგან საქამეთა სამინისტროს მომსახრების სააგენტოს მუშაობას და ასევე დაესწრო ვარკეთილში პოლიციის განყოფილების ახალი შენობის გახსნას.

**მედიანიუსი**

## აშშ-ს მთავრობა გერმანულ „დოიჩ ბანკს“ უჩივის

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გერმანიის უმსხვილეს ბანკს „დოიჩ ბანკს“ სასამართლოში უჩივის და მისგან იპოთეკური პროდუქტების არასწორად გაცემისათვის ჯარიმისა და კომპენსაციის სახით 1 მილიარდ დოლარზე მეტს მოითხოვს.

საჩივრის მიხედვით, „დოიჩ ბანკი“ და მისი ჩრდილოამერიკული იპოთეკური ფილიალი „მორგეიგ ბანკი“ რამდენიმე წლის განმავლობაში გასცემდნენ სესხებს გადახდის უნარის არ მქონე პირებზე.

მოსარჩელე მხარის განცხადებით, ბანკმა შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში ფედერალური სამშენებლო კომპანიები, რათა სახელმწიფოს იპოთეკური პროდუქტების დაზღვევის სიაში მოხვერილიყვნენ. სახელმწიფო მოსარჩელეების თქმით, ბანკი ხშირად მოქმედებდა კანონის დარღვევით.

აშშ-ის ფედერალური პროკურორის განცხადებით, ბანკების წარმომადგებლები შეგნებულად ხუჭავდნენ თვალს ძალიან ბევრ დეტალზე და გასცემდნენ სესხს ფაქტობრივად საკრედიტო ისტორიის შესწავლის გარეშე.

აშშ-ის ხელისუფლების მონაცემებით, 1999-1009 წლებში ბანკმა 39 ათასზე მეტი იპოთეკური სესხი გასცა, რომლებიც სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში იყვნენ ჩართულები და საერთო ჯამში მათზე დაახლოებით 5 მილიარდი დოლარი გამოიყო.

**მედიანიუსი**

# ავტორთა საზოგადოება ახალ თავმჯდომარეს ელოდება

ეკა ირემაშვილი

**11 მაისს საქართველოს ავტორთა საზოგადოება რიგგარეშე საერთო კრებას მართავს, სადაც განხილული იქნება გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის წევრების არჩევისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. რიგგარეშე კრების დანიშვნა მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც 2§ აპრილს კომპოზიტორთა კავშირში ავტორთა საზოგადოების ორგანიზაციის წევრები და მათი ხელმ ღვანელი ელგუჯა შაფათავა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.**




ელგუჯა შაფათავამ შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა გამგეობის ანგარიში „2010 წელს გაწეული მუშაობისა და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში შედეგების“ შესახებ. ამის შემდეგ მან დაკავებული თანამდებობა თანამშრომელთა ბრალდებების გამო ოფიციალურად დატოვა. ორგანიზაციის წევრების ერთი ნაწილი საკუთარ ხელმძღვანელს არასწორ მენეჯმენტში ადანაშაულებენ. მათი განცხადებით, ჰონორარების სახით საზოგადოებისთვის გადარიცხული თანხა ადრესატამდე არ მიდის და უკვალოდ ქრება.

— თითქმის არასოდეს შემიწყვეტია მოლაპარაკებები სხვადასხვა მომხმარებელთან. ავტორები, ვერ ღებულობდნენ ჰონორარს, რაც იმის ბრალი იყო, რომ მათი მომხმარებელი არ იხდიდა და არც ახლა იხდის თანხას. ამის გამო ჩვენ სასამართლო პროცესები წამოვიწყეთ და მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით. ვიცი, რომ ბევრი რამეა შესაცვლელი, მაგრამ ჩვენ მაქსიმალურად ვმუშაობდით ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ამჯერად გადავწყვიტე საბოლოო გადაწყვეტილება გამეცხადებინა და ამ თანამდებობიდან გადავდექი, — განაცხადა ელგუჯა შაფათავამ.

ამ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოც შეუერთდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო დღეს და „საქპატენტმა“ რესტორან „სენატში“ მიღება მოაწყო. ღონისძიებას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, ნიკოლოზ რურუაც ესწრებოდა. „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა“ ეს დღე მიულოცა ყველა გამომგონებელს, მეცნიერს, ხელოვნების სფეროს წარმომადგენელსა და ინტელექტუალური საკუთრების დარგის სპეციალისტს. 26 აპრილი 2001 წლიდან მთელ მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღედ აღინიშნება და ყოველწლიურად ერთ კონკრეტულ თემას ეძღვნება. 26 აპრილის ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღედ გამოცხადება 2000 წლის სექტემბერში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდა. ეს თარიღი უკავშირდება ამ ორგანიზაციის დაფუძნებას, რადგან სწორედ 1970 წლის 26 აპრილს ძალაში შევიდა ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო დღეს კლუბში 33ა“ კონცერტიც მოეწყო, სახელწოდებით „არ მოიპარო სიმღერა!“, რომელშიც 16 ქართველი მომღერალი გაერთიანდა.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ თავმჯდომარემ ირაკლი ღვალაძემ საქართველოს ავტორთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე იურისტი გიგა კობალაძე დაასახელა, რომელმაც ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და ხელოვან-შემოქმედთა საზოგადოება დააარსა. 11 მაისს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში შეკრებილ გამგეობის წევრებს გიგა კობალაძე თავის პროგრამას რიგგარეშე კრებაზე წარუდგენს.

5 მაისს საქართველოს ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარეობის კანდიდატი გიგა კობალაძე სამოქმედო პროგრამის პრეზენტაციას ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრში „საქპატენტი“ გამართავს. წარმოდგენილი პროგრამა გულისმობს საქართველოს ავტორთა საზოგადოების რეფორმირების სამოქმედო გეგმას. პრეზენტაციას დაესწრებიან საქართველოს ავტორთა საზოგადოების წევრი რეჟისორები, კომპოზიტორები, მწერლები და სხვა ავტორები.

არის თუ არა გამოსავალი, რა მოსაზრებები აქვთ ქართველ ხელოვანებს და მოხდება თუ არა რეალურად ინტელექტუალური საკუთრების დაცვა საქართველოში, ამ თემებზე „ახალი თაობა“ სხვადასხვა ცნობილ ადამიანს ესაუბრა:

**ნუნუ გაბუნია, კომპოზიტორი:**

— კომპოზიტორთა კავშირში შეკრებაზე ვერ წავედი, ავად ვიყავი, მაგრამ მოვლენების საქმის კურსში ვარ. უამრავი ქვეყანა დაინგრა, მაგრამ დღეს მყარად დგას ფეხზე. ეს უნგრეთის მაგალითზე შემიძლია ვთქვა. ჩვენ ალბათ ერიც არ გვივარგა.

*— იქნებ თქვენი პასიურობის ბრალია ეს ყველაფერი?*

— საბჭოთა კავშირის დროს საათივით იყო ეს ორგანიზაცია აწყობილი. გიგი წერეთლის მამა ხელმძღვანელობდა და არანაირი ხარვეზი არ ყოფილა. გია მაჭარაშვილს ყველანაირად ვენდობი, მასაც უნდოდა რამდენიმე წლის წინ ჩვენი უფლებები დაეცვა, მაგრამ ვერ შეძლო. წინათ ოღონდ კონცერტი ჩაგვეტარებინა და უფასო იყო დარბაზი. ახლა კი ისეთი ძვირია დარბაზი, როგორ ჩავატაროთ კონცერტი? დღეს ვისაც ფული აქვს, ის არის გამარჯვებული. ესემესებით კონკურსი გაგიგიათ?

*— როგორ შეიძლება ამ მდგომარეობის გამოსწორება?*

— ეს საკითხი სახელმწიფოს დონეზე უნდა წყდებოდეს. არავინ ყურადღება არ მიაქცია საავტორო უფლებების დაცვას. ყველამ რომ გადაიხადოს ჩვენი ინტელექტუალური შრომის საფასური, სოლიდური თანხა მოგვიგროვდება. ჩვენი სენია, რატომ უნდა გადავიხადო? მომღერალი ხომ არ მღერის უფასოდ? ჩვენ კი არავინ არაფერს გვიხდის. ჩვენი შემოქმედებით ხომ იღებენ სიამოვნებას ადამიანები? ნუთუ შრომის საფასური არ გვეკუთვნის?

*— საავტორო ორგანიზაციიდან თანხები მიგიღიათ?*

— ძალიან იშვიათად. თუ დამირეკავდა, მეტყოდა, რომ მოსკოვმა გადმოგზავნა თქვენი თანხაო. პირველ კურსზე დავწერე თოჯინების თეატრისთვის მუსიკა. კარგად მახსოვს, იმ წელს გარდაიცვალა გოჩა, ჩემი ქმარი. თურმე მაშინდელი სპექტაკლი აღუდგენიათ. შემთხვევით მივედი ამ საავტორო უფთლებების ორგანიზაციაში, რომ გამერკვია, მქონდა თუ არა რაიმე დარიცხული. წლობით იდგმებოდა ჩემი მიუზიკლები, ოპერეტები და კაპიკი არ ირიცხებოდა.

*— თქვენ რომ იაქტიუროთ?*

— როგორ ჩავერიოთ? მათხოვრის როლში ხომ ვერ გამოვალთ? თოჯინების თეატრში დადგმული ჩემი სპექტაკლის თანხაც არ მომცეს მაშინ. 400 ლარი იყო და ისიც ვერ მომცეს მთლიანად.

*— რატომ?*

— 200 ლარი გამომიწერეს და დანარჩენი ნაწილ-ნაწილ ავიღე. სრულიად შემთხვევით ვნახე ესეც და რომ არ მენახა, ალბათ, არც არავინ მეტყოდა. მაქვს ისეთი სიმღერები, რომელიც ვიცი, რომ რესტორნებში სრულდება. აუცილებელია კანონი გამკაცრდეს, რესტორნების მეპატრონეების ტვინამდე უნდა მივიდეს ის, რომ ჩვენც გვეკუთვნის ჩვენი შრომის საფასური.

*— 11 მაისს შეკრებაზე მიხვალთ?*

— რა თქმა უნდა. უკვე საქართველოში ვიქნები და ამ შეკრებაზე აუცილებლად მივალ.

**ჯუმბერ ჯანდიერი, კომპოზიტორი, პოეტი, მხატვარი:**

— ხელოვანთა უფლებები საერთოდ არ არის დაცული. ამაზე ხშირად მისაუბრია. თუკი გადაცემები კეთდებოდა, იწვევდნენ მხოლოდ შემსრულებლებს. ავტორი არსად სახელდება — არც რესტორანში, არც გადაცემაში. ბევრმა არც კი იცის ესა თუ ის ნაწარმოები ვისია. ალბათ შეგნებულად აკეთებდნენ, რომ ავტორი არსად დაფიქსირებულიყო. თუმცა, რომც დაფიქსირებულიყო, ამ ხნის განმავლობაში ავტორს არავინ არაფერს უხდიდა. ახლა იმედი გაჩნდა, თუკი სერიოზულად მოკიდებენ ხელს, უნდა მოელოს ბოლო ნაწარმოების მითვისებას. აქ მარტო მუსიკაზე არ არის ლაპარაკი, აქ ხელოვნების ყველა სფერო იგულისხმება. ასევე მეცნიერება და გამოგონებაც. კანონი უნდა კანონობდეს. კანონი კი გამოიცა, მაგრამ ამის აღმრიცხველი და განმკითხავი არავინ არის.

*— საავტორო უფლებათა დაცვის საზოგადოებას თქვენთვის თანხა არ გადმოურიცხია?*

— როგორც თქვენ არაფერი მიგიღიათ, ისე მე არაფერი მიმიღია. ერთხელ მახსოვს, საახალწლოდ გადმომირიცხეს 100 ლარი. ეს არის ჩემი მთელი 11 წლის შემოსავალი. ვინც დააშინებდა, მივიდოდა და ფულს მოთხოვდა, იმას აძლევდა. ვინც ცოტა მორიდებული იყო, იმას არაფერსაც არ ურიცხავდნენ. ახლა ვნახოთ, ვის აირჩევენ, რა პროგრამა ექნებათ. თუ ეს საკითხი მოგვარდება, მხოლოდ მივესალმები.

*— როგორ უნდა იმოქმედოთ, რომ მიიღოთ თქვენი ინტელექტუალური შრომის საფასური?*

— საქართველოს გარდა, ჩვენი ნაწარმოებები უცხოეთშიც ხომ სრულდება? ალბომებიც ხომ გვაქვს გამოცემული? ნუთუ ამის საფასური არ გვეკუთვნის? ეს ხომ სამარცხვინოა? ხშირად ამ კანონებს აქაურები არღვევენ და სხვა რომ მოგატყუებს, რაღა უნდა გაგიკვირდეს. ჩვენ უნდა გავწევრიანდეთ მსოფლიო საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციაში.

*— რესტორნების ქსელის კონტროლი რეალურად შესაძლებელია?*

— ადრე ასე გვეუბნებოდნენ, თქვენ წადით და შეამოწმეთო. მე როგორ შევამოწმო? უამრავი დარღვევებია, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ბოლომდე არ მგონია, რომ ეს საკითხი მოგვარდეს, მაგრამ ცოტა მაინც თუ გამოსწორდა, გამიხარდება. თუკი სხვისი შრომა ფასდება, ჩვენ რა დავაშავეთ? ირაკლი ღვალაძემაც გვითხრა, თქვენც ამოგვიდექით მხარშიო. ამაზე თანახმა ვართ, მაგრამ საჭიროა ყველაფერი დარეგულირდეს და პროფესიონალებმა იმუშავონ, რომ მათი ნდობის ხარისხი მაღალი იყოს.

**გია მაჭარაშვილი, კომპოზიტორი:**

— საავტორო უფლებები, ეს ის თემაა, რომელიც ყველა ხელოვანს ძალიან გვაწუხებს. ოფიციალურად

გაგრძელება მე-14 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი ყავლაშვილის პროექტის იზოლირებული ბინა 16 (17), ნუცუბიძის ფერდობი IV, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარის, ბ/აირი, გაჯით გალესილი, მეტალოპლასტმასის ფანჯრები, სამზარეულო-შემოსასვლელი მეტლახის იატაკით, პლასტმასის მილებით, რკინის კარი, ტელეფონი, აიეტი, ინტერნეტი. ტელ: 855 75 03 35; 871 004 160.

# „ბარსა“ ფინალშია და მეტოქეს ელის

**ბარსელონა-რეალი 1:1 (0:0)**

*1:0 პედრო (54), 1:1 მარსელო (64)*

**ბარსელონა:** ვალდესი, ალვეში, მასკერანო, პიკე, პუიოლი (აბიდალი 90), ბუსკეტსი, ხავი, ინიესტა, პედრო (აფელაი 90), მესი, ვილია (კეიტა 74)

**რეალი:** კასილიასი, არბელოა, კარვალიო, ალბიოლი, მარსელო, დიარა, ალონსო, კაკა (იოზილი 60), დი მარია, რონალდუ, იგუაინი (ადებაიორი 55)



ოთხმატჩიანი „ელ-კლასიკოს“ საგა დასრულდა. წელიწადიც არ არის გასული მას შემდეგ, რაც ფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონობას ერთად ზეიმობდნენ, თუმცა ბოლო ბოლო დღეებია ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადამტერებულნი.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას: „რეალს“ მინიმუმ 2 გოლი ჰქონდა გასატანი, მაგრამ ამის მიუხედავად შეტევაში საკმაოდ უსუსურად გამოიყურებოდნენ. პირველ ტაიმში, ისევე, როგორც მთელი შეხვედრის განმავლობაში, მადრიდელები, ძირითადად, თამაშის წესების დარღვევით იყვნენ დაკავებულნი. 90 წუთის განმავლობაში, ისინი 31-ჯერ დაჯარიმდნენ, აქედან 11-ჯერ მესის წინააღმდეგ თამაშის დროს. ორივე ეს მაჩვენებელი, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებისთვის სარეკორდოა.

„ბარსელონას“ ფინალისკენ დიდი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული და ამის გამო იყო, რომ შეხვედრის საწყის წუთებში, კასილიასის კარზე იერიშების მიტანით თავს დიდად არ იწუხებდნენ, მაგრამ მეტოქის ნახევარს ნელ-ნელა გაუშინაურდნენ და სტუმართა მეკარესაც, უფრო და უფრო რთული დარტყმების მოგერიება უწევდა. პირველ 45 წუთში, კასილიასს ბუსკეტსის, მესისა (2-ჯერ) და ვილიას სახიფათო დარტყმების მოგერიება მოუხდა. ერთხელაც, ძალიან ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩენილმა მესიმ, ბურთი კარს ააცილა.

მეორე ტაიმი საკამათო ეპიზოდით დაიწყო. რონალდუს გადაცემის შემდეგ, მეკარესთან პირისპირ გასულმა იგუაინმა გოლი კი გაიტანა, მაგრამ არგენტინელის დარტყმამდე, არბიტრს შეხვედრა უკვე შეჩერებული ჰქონდა. ამის მიზეზი ისაა, რომ პასის შემდეგ, რონალდუ წაიქცა და მასკერანოს დაეჯახა, რომელმაც იგუაინისთვის ხელის შეშლა სწორედ იმის გამო ვერ მოახერხა.

53-ე წუთზე, გონსალო იგუაინმა სცადა შორეული დარტყმით ანგარიშის გახსნა, მაგრამ მან ბურთი პუიოლს მოარტყა. ამ ეპიზოდიდან ერთ წუთში, ანგარიში მაინც გაიხსნა, მაგრამ გოლი საპირისპირო კარში გავიდა. ინიესტას ძალიან კარგი გადაცემით მეკარესთან პირისპირ აღმოჩენილმა პედრომ, ზუსტი დარტყმით, „კლასიკოში“ თავისი მე-3 გოლი გაიტანა.

გოლის გაშვებიდან ათ წუთში, სტუმრებმა კარში ზუსტად დარტყმაც მოახერხეს და ანგარიშიც გაათანაბრეს. „ბარსას“ ფეხბურთელის მიერ საკუთარ ნახევარზე გაკეთებული გადაცემა ალონსომ ჩაჭრა, რის შემდეგაც, მასპინძელთა საჯარიმოში დი მარია შეიჭრა, მაგრამ არგენტინელის პირველი დარტყმის დროს, ბურთი ვალდესის კარის ძელს მოხვდა. დამატებაზე დარტყმა კვლავ დი მარიას შეეძლო, მაგრამ მან, უკეთეს სიტუაციაში მყოფი მარსელო მონახა და ამ უკანასკნელს გაატანინა.

შეხვედრის დარჩენილ ნაწილში, ერთადერთი აღსანიშნავი რამ მოხდა — 90-ე წუთზე, პუიოლის ნაცვლად, მოედანზე გამოვიდა ერიკ აბიდალი. მოგეხსენებათ, დაახლოებით 3 თვის წინათ, ფრანგ მცველს ღვიძლის სიმსივნე დაუდგინეს და იგი საოპერაციო გახდა. ბოლო ოთხ „კლასიკოში“, ფეხბურთელთა მხრიდან, არცთუ სპორტული ქმედებების ფონზე, სიმსივნის დამმარცხებელი ფეხბურთელის მოედანზე დაბრუნება ნამდვილად იყო 18-დღიანი ომის სასიამოვნო დასასრული.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ანდრეს ინიესტა

„რეალი“ არც ისე უსუსური გუნდია და მისი შეჩერება რომ ხდება, ეს ძირითადად ნახევარმცველებს ეხებათ. ხავი და ინიესტა — ეს კრეატიული ბიჭები შესანიშნავად უზღუდავდნენ სივრცეებს მადრიდელ ფეხბურთელებს, ხოლო ინიესტამ საგოლე პასიც მიითვალა და უფრო იმიტომ გამოვარჩიეთ.

# „ლიგამუსი“ ჩემპიონია და უკრაინაში მიდის

საცურაო აუზ „ოლიმპიკში“ დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი წყალბურთში 1997-98 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. შეჯიბრებაში თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის გუნდები მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ თბილისის გარდა წყალბურთი სხვა რეგიონებში ჩამკვდარი იყო, ამიტომ დედაქალაქელთა უპირატესობა თვალნათლივ ჩანდა.

ნახევარფინალებში თბილისის „ლიგამუსმა“ და „ივერიის“ პირველმა გუნდმა შესაბამისად ქუთაისისა (23:1) და ბათუმის (20:2) გუნდები დაამარცხეს და ფინალში გავიდნენ.

საინტერესო გამოდგა ფინალური მატჩი. გუნდები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. საბოლოოდ, „ლიგამუსმა“ 8:7 იმარჯვა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა ასეთია: ილია გიგაური, ლაშა ბერიშვილი, ჯემალ ზაზახიძე, რევაზ იმნაიშვილი, მამუკა თუხარელი, ვიქტორ გვიმრაძე, გიორგი ჭედია, ალეკო ფირცხალავა, ილია დუმბაძე, თედი შავიშვილი, ირაკლი რაზმაძე, ზურაბ კვირკველია, ლუკა მგელაძე, ლევან მოსეშვილი, გოჩა ვადაჭკორია, დაჩი ხეჩუაშვილი.

მესამე ადგილისთვის მატჩი „ბათუმმა“ 9:4 დაამარცხა „ქუთაისი“.

საქართველოს ჩემპიონი „ლიგამუსი“ ზაფხულში უკრაინაში გაემგზავრება და იქაურ ღია ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას, სადაც მასპინძლებთან ერთად ბელარუსიისა და მოლდოვის გუნდებიც ითამაშებენ.

# პლეი-ოფები მასპინძელთა გამარჯვებებით დაიწყო

**შსს — სოხუმი 77:72**

**(26:14, 11:25, 17:16, 22:1§**

**შსს:** ი.ბერიშვილი (6), ბ.ლეჟავა (22), კოტონი, დ.ბარბაქაძე (13ქ. 10მ.), იმნაძე (21); ლაფანაშვილი (3), ნიკოლაძე (6), მარკოიშვილი (3), ტუჯანიტალბა, შერმადინი, ტომარაძე (3)

**სოხუმი:** ფარლალავა (19), ჰარისი (3), ჩლაიძე (8), კვეტენაძე, რ.დამუსი (12); შანიძე (7), სორდია (4), კანკია, კ.დამუსი (8), ფაცაცია (11)

ეს წყვილი ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს. როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული შეხვედრა უაღრესად დაძაბული გამოდგა, რომლის ბედი ძირითადი დროის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე გადაწყდა.

პირველ მეოთხედში შსს აქტიურობდა, რომელიც „ძალოვნებმა“ 12 ქულის სხვაობით, 26:14 მოიგეს. განსაკუთრებით, უკანახაზელი ბესო ლეჟავა გამოირჩეოდა, რომელმაც დროის ამ მონაკვეთში 11 ქულა გააკეთა.

მეორე მეოთხედი საპირისპირო სცენარით ჩატარდა. ამჯერად „სოხუმი“ გააქტიურდა, რომელმაც ანგარიში ჯერ გაათანაბრა (29:29), შემდეგ დაწინაურდა და პირველი ტაიმი ორი ქულის სხვაობით, 39:37 მოიგო.

მესამე მეოთხედმა გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა. დროის ამ მონაკვეთში ყველაზე მნიშვნელოვანი ის მომენტი იყო, როცა ცენტრალური თავდამსხმელები, დავით იმნაძე (შსს) და კარლ დამუსი (სოხუმი) წაკინკლავდნენ. მართალია, თამაში მალე განახლდა, მაგრამ ოკეანისგაღმელი კალათბურთელი მაინც ბობოქრობდა და ისე კარგად ათამაშდა, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე კარგი შეხვედრა ჩაატარა. ურიგოდ არც კარლის ძმა რიჩარდი გამოიყურებოდა, რასაც ვერ ვიტყვით სოხუმელთა მესამე ლეგიონერ იუჯან ჰარისზე. იგი, თითქმის არ ჩანდა მოედანზე და ძალიან სუსტად ითამაშა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მატჩის ბედი მე-4 მეოთხედში გადაწყდა. ძირითადი დროის დასრულებამდე წუთისა და 33 წამით ადრე, როცა ანგარიში 70:67 იყო „სოხუმის“ სასარგებლოდ, ზღვისპირელმა ფაცაციამ საჯარიმო ააცილა და ანგარიშის გაზრდის შანსი ხელიდან გაუშვა. ამის შემდეგ, შესანიშნავად ითამაშა შსს-ს უკანახაზელმა გიორგი ნიკოლაძემ, რომელმაც ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო და თანაგუნდელები 73:70 დააწინაურა. შეიძლება ითქვას, რომ მატჩის ბედი აქ გადაწყდა. დარჩენილ 21 წამში, „სოხუმმა“ სცადა მატჩის გადარჩენა, მაგრამ ვერ შეძლო, 72:77 დამარცხდა და სერიაში შსს 1:0 დაწინაურდა.

ამ შეხვედრაში ყველაზე მეტი, 22 ქულა, შსს-ს უკანახაზელმა ბესო ლეჟავამ დააგროვა. 13 ქულითა და 10 მოხსნით, ორმაგი დუბლის ავტორი გახდა ლეჟავას თანაგუნდელი დავით ბარბაქაძე. სოხუმელთა შორის ყველაზე შედეგიანი 19 ქულით ლაშა ფარლალავა იყო.

**არმია — ენერჯი ინვესტი 94:63**

**(25:13, 22:14, 23:15, 24:21**

**არმია:** ტუღუში (10), ბოისა (11), საყვარელიძე (11), ბაბიაშვილი (12), შარაბიძე (13); ბაქრაძე (3), მინაშვილი (7), პირველაშვილი (4), ათანელიშვილი (15ქ.15მ.), ათუაშვილი (8), ანატოლი ბერიშვილი, მოსეშვილი

**ენერჯი:** აბაიშვილი (6), მაჭავარიანი (7), არაბული (11), გუგავა (7), ლამუ (261. 14 მ.); გ.ბერუაშვილი, თვარაძე (2), აბულაძე (4).

როგორც მოსალოდნელი იყო, „არმიამ“ დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა.

ამ შეხვედრაში, ყველაზე კარგი შედეგი „ენერჯი ინვესტის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა სამუელ ლამუმ აჩვენა, რომელმაც 26 ქულითა და 14 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა. 15 ქულითა და ამდენივე მოხსნით, ასევე ორმაგი დუბლის ავტორი გახდა „არმიას“ ცენტრალური თავდამსხმელი რევაზ ათანელიშვილი, რომელიც თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო.

**თსუ — სტუ 97:81**

**(18:15, 26:21, 39:25, 22:29**

**თსუ:** გაფრინდაშვილი (3), ფანჩულიძე (19), მიხეილ ბერიშვილი (19ქ. 10მ.), ლონდარიძე (11), მათიაშვილი (31ქ. 14მ.); მარხვაშვილი, კოხრეიძე (9), ჩიტაშვილი

**სტუ:** ჩიკვილაძე (25), ვ.ბერუაშვილი (11ქ. 11მ.), ჯანგველაძე (10), ძიძიგური (7), კობიძე (2); ჭოხონელიძე, ლომოური (18), გასიტაშვილი (2), თევზაძე (2), ლაშქარაძე, ახალკაცი (4)

სტუდენტურ დერბიში რეგულერული ჩემპიონატის მეორეადგილოსანმა თსუ-მ 16 ქულის სხვაობით, 97:81 შეძლო ახალგაზრდა კალათბურთელებით დაკომპლექტებული სტუ-ს დამარცხება.

ამ შეხვედრაში, ყველაზე კარგი შედეგი თსუ-ს ცენტრალურმა თავდამსხმელმა რიჩარდ მათიაშვილმა აჩვენა, რომელიც 31 ქულითა და 14 მოხსნით ორმაგი დუბლის ავტორი გახდა. ასევე ორმაგი დუბლის ავტორი გახდა მათიაშვილის თანაგუნდელი, ფორვარდი მიხეილ ბერიშვილი, რომლის ანგარიშზე 19 ქულა და 10 მოხსნაა.

სტუ-ს მხრიდან ყველაზე მეტი, 25 ქულა, უკანახაზელმა ბექა ჩიკვილაძემ მიითვალა. 11 ქულითა და ამდენივე მოხსნით, ორმაგი დუბლის ავტორი გახდა ჩიკვილაძის თანაგუნდელი, უკანახაზელი ვასილ ბერუაშვილი.

**ქუთაისი — თსსუ 95:88**

**(28:15, 21:24, 25:22, 29:2§**

**ქუთაისი:** დიდია (14), კვიმსაძე (15ქ. 7პ), ბოლქვაძე (4), გ.ბარბაქაძე (12), ცეკვავა (22); ბაბუნაშვილი (14), ლომინაშვილი (10), კოღუაშვილი (4)

**თსსუ:** გულისაბედაშვილი (9), ჩაჩიბაია (8), ბექაური (5), დვალიშვილი (20ქ. 9მ), როჯერსი (23); ი.ლეჟავა, თავართქილაძე, კეიდია (4), როდუმტა (5), ჭოჭუა (14), ფაიქრიძე

კიდევ ერთი მატჩი ქუთაისში გაიმართა, სადაც ადგილობრივმა გუნდმა თსსუ-ს უმასპინძლა და 95:88 დაამარცხა.

გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო 22 ქულით ლევან ცეკვავა გახლდათ, ხოლო „სამედიცინოს“ რიგებში 23 ქულით ჯეფრი როჯერსი გამოირჩა.

აღსანიშნავია, რომ მეოთხედფინალური სერიის ოთხივე შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, რომლებიც განმეორებით შეხვედრაში სტუმრის როლში იქნებიან.

# კვახაძე და რაზმაძე, მსაჯის გინების გამო, პოლიციამ დასაჯა!



ეროვნული ჩემპიონატის 31-ე ტურის მატჩში, რუსთავის „ოლიმპსა“ და „ზესტაფონს“ შორის, მომხდარი ინციდენტისა და მსაჯის გინების გამო, მასპინძელი გუნდის კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე და ნახევარმცველი ლუკა რაზმაძე, სადისციპლინო კომიტეტმა 5-5-მატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 600-600 ლარით დასაჯა.

ფეხბუთელებს უქმობა სეზონის ბოლომდე მოუწევთ. თუმცა, ფეხბურთელებს ეს არ აკმარეს და ორივე მათგანი რუსთავის პოლიციამაც დააკავა. როგორც მათ პოლიციაში განუმარტეს, „ზესტაფონთან“ შეხვედრაში, მათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, გინების გამო, მათთან საჩივარი შევიდა აღნიშნულ ფაქტზე და ამის გამო მოხდა მათი დაკავება.

მომხდარის გამო, ლექსო კვახაძე აღშფოთებას ვერ მალავს და აცხადებს, რომ ხმა მედიამ უნდა ამოიღოს, რადგან მსგავს ფაქტს, მსოფლიოში პრეცედენტი არ ჰქონია.

— დაგვაკავეს, როგორც კრიმინალები და მთელი დღის განმავლობაში არ გამოგვიშვეს, ვარჯიშიც კი გაგვაცდენინეს. იქვე მოაწყვეს სასამართლო და გაგვასამართლეს — ან 90 დღე ადმინისტრაციული დარღვევისთვის, ან 100 ლარი. მოსამართლემ იქვე გამოგვიწერა 100-ლარიანი ჯარიმები. მე თუ წესებს ვარღვევ მოედანზე, არსებობს ამისი განსმჯელი შესაბამისი ორგანო და მათ უკვე გამოგვიტანეს შესაბამისი განაჩენი. საქართველოში აქამდე არ მომხდარა, რომ მსაჯზე გინებისთვის ფეხბურთელი 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაესაჯათ, ჩვენთვის კი ეს მოხდა. ახლაც, არ მგონია, რომ ვინმე გულშემატკივარს დაერეკა პოლიციაში ამის გამო. თუ უნდათ ფეხბურთს თავი დაგვანებებინონ, თქვან პირდაპირ, ფაქტია, რომ ისევ ფედერაციიდან ან მათი უწყებიდან აწყობდა ვილაცას ეს. ფეხბურთს რომ სულ თავი დავანებო, მაინც ხმამაღლა ვიტყვი და მინდა ყველამ თქვათ, რომ ის, რაც ხდება, არის მიზანმიმართული ზეწოლა ჩვენ მიმართ და როდემდე შეიძლება გაგრძელდეს?

პ.ს. მართალია, ფეხბურთელი ასეთ განცხადებას აკეთებს, მაგრამ გავრცელებული ხმებით, ამ ფეხბურთელების დაჭერა შესაძლოა, სულ სხვა ფაქტს უკავშირდებოდეს — ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში აგორებული სკანდალი ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებით.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ბარსელონა-რეალი ........ 1:1

**ავსტრია. თასი**

კაფენბერგი-ლუშტენაიუ ........ 1:2

**ჩეხეთი. თასი**

ბოლესლავი-კრომერიცი ........ 1:1

**პოლონეთი. თასი**

**ფინალი**

ლეხი-ლეგია ........ 1:1(4:5პ)

**არგენტინა. კლაუსურა**

ბოკა-ინდეპენდიენტე ........ 1:1

კოლონი-ლანუსი ........ 0:1

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალები 4 მოგებამდე**

მაიამი-ბოსტონი ........ 102:91

სერიის ანგარიში ........ 2:0

ოკლაჰომა-მემფისი ........ 111:102

სერიის ანგარიში ........ 1:1

**ჩოგბურთი**

**ატპ. მადრიდი. თიხა**

გასკე-ხიმენო ტრავერი ........ 6:3;4:6;3:6

ანდერსონი კ.-როხუსი!ო. ........ 6:2;6:4

ტროიცკი-მაიერი ........ 6:4;5:7;4:6

სიმონი-ლუბიჩიჩი ........ 7:5;7:6

დელ პოტრო-იუჟნი ........ 6:1;3:6;6:3

ცონგა-რიბა ........ 6:4;6:2

ბელუჩი-ანდუჰარი ........ 6:4;6:2

დავიდენკო-გრანოლერსი ........ 5:7;2:6

ისნერი-სტახოვსკი ........ 5:7;6:4;6:7

ვერდასკო-ლუ ........ 6:7;5:7

ლოპესი-რაონიცი ........ 4:6;7:6;6:4

გარსია ლოპესი-დე ბაკერი ........ 6:2;6:3

ფერერი-მანარინო ........ 7:5;0:6;6:0

მონფილსი-მონაკო ........ 2:6;0:6

**ვტა. მადრიდი. თიხა**

საფინა-ლიაგოსტერა ........ 5:7;6:4;6:3

მატეკი-კინგი ........ 6:0;6:2

სტოსური-პანტუჩოვა ........ 7:6;7:5

კვიტოვა-სჰეპერსი ........ 6:3;6:3

ვოზნიაცკი-იოვანოვსკი ........ 6:4;6:4

რადვანსკა ა.-გაიდისოვა ........ 6:3;3:6;3:6

პავლუჩენკოვა-ბარტოლი ........ 7:5;6:1

სკიავონე-ერანი ........ 6:0;2:6;6:3

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალები 4 მოგებამდე**

ტამპა ბეი-ვაშინგტონი ........ 4:3

სერიის ანგარიში ........ 3:0

ნეშვილი-ვანკუვერი ........ 2:3(ოტ)

სერიის ანგარიში ........ 1:2

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

კანადა-შვეიცარია ........ 4:3(ოტ)

სლოვენია-გერმანია ........ 2:2(0:1ბ)

რუსეთი-სლოვაკეთი ........ 4:3

საფრანგეთი-ბელარუსი ........ 2:1(ოტ)

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ევროკომისია შენგენის ზონაში სასაზღვრო კონტროლის შემოღების საკითხს იხილავს



ევროკომისიამ გაერთიანებული ევროპის საშინაო საზღვრებზე დროებითი საპასპორტო სავიზო კონტროლის გამარტივების წინადადება წამოაყენა.

შენგენის შეთანხმების წესების შეცვლის ინიციატივა იტალიამ და საფრანგეთმა წამოაყენეს, რომლებიც აფრიკის ქვეყნებიდან იმიგრანტების მოძალების ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ.

ოფიციალურმა რომმა მათ ევროპაში თავისუფლად გადაადგილების ნება დართო, საფრანგეთმა კი ისინი თავის ტერიტორიაზე არ შეუშვა.

შენგენის შეთანხმებაში მონაწილეობს ევროკავშირის 22 ქვეყანა და კიდევ სამი ქვეყანა, რომლებიც ევროკავშირში არ შედიან. ეს ქვეყნებია ისლანდია, ნორვეგია და შვეიცარია.

შენგენის შეთანხმებამ, რომელსაც ხელი 1965 წელს მოაწერეს, მაგრამ ძალაში 10 წლის შემდეგ შევიდა, შენგენის ზონაში შესულ ქვეყნებს შორის სასაზღვრო კონტროლი გააუქმა.

შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით, შენგენის ზონის ქვეყნები თავიანთ საზღვრებზე განსაკუთრებული ზომის სახით შეზღუდული სავიზო-საპასპორტო კონტროლის დაწესების უფლებას იღებენ. ასეთი შემოწმება შესაძლებელი უნდა გახდეს იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე ქვეყანა იმიგრანტების მასობრივი მოძალების ობიექტი ხდება ან მეზობელი ქვეყანა ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებს.

შემოთავაზებული შესწორებების ნაწილი გულისხმობს ევროკავშირის ერთობლივ ზომებს საზღვრების დაცვის მიზნით და ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნების დახმარებას, რომლებიც საზღვარგარეთიდან იმიგრანტების მოძალებას განიცდიან.

ეს წინადადება ევროკომისიის წევრი ქვეყნების შს მინისტრების შეხვედრაზე 12 მაისს უნდა განიხილონ, შემდეგ კი 24 მაისს, ევროპელი ლიდერების შეხვედრაზე.

მიუხედავად ამისა, ამ შესწორების ძალაში შესვლის მიზნით ისინი შენგენის მონაწილე ყველა ქვეყანამ უნდა დაამტკიცოს, რაც ძალიან რთული იქნება, რადგან ინიციატივა მრავალ პოლიტიკოსში სერიოზულ წინააღმდეგობას იწვევს.

კერძოდ, საბერძნეთის მოქალაქეთა დაცვის მინისტრმა ქრისტოს პაპუტსისმა განაცხადა, რომ შენგენის ზონის ქვეყნებს შორის გადაადგილების თავისუფლება საგანგებოდ უნდა იყოს დაცული, რადგან იგი ევროპის გაერთიანების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს.

მისი თქმით, გადაადგილების თავისუფლება ევროპის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს და მისი გაუქმება არ შეიძლება. მან ასევე განაცხადა, რომ შენგენის ზონის ქვეყნები სასაზღვრო ქვეყნებს ევროკავშირის გარე საზღვრების არალეგალური იმიგრანტებისაგან დაცვაში უნდა დაეხმარონ.

# სამხრეთ კორეის ყოფილ პრეზიდენტს ფილტვში ნემსი უპოვეს

სამხრეთ კორეის ყოფილი პრეზიდენტის, რო დე უს ერთ-ერთ ფილტვში აკუპუნქტურის ნემსი აღმოაჩინეს.



საავადმყოფოში იგი ძლიერი ხველების ჩივილებით მოხვდა. ავადმყოფობის მიზეზის გამორკვევის ამაო მცდელობის შემდეგ ექიმებმა ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტეს.

ექიმები ძალიან გააკვირვა იმან, რომ პაციენტის მარჯვენა ფილტვში მათ 6.6 სმ სიგრძის აკუპუნქტურის ნემსი იპოვეს.

უცხო სხეულის მოშორების შემდეგ ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. გასულ ორშაბათს იგი სეულის ეროვნული უნივერსიტეტის კლინიკიდან გაწერეს.

კვლავინდებურად გაურკვეველია, თუ როგორ მოხვდა აკუპუნქტურის ნემსი 78 წლის რო დე უს ფილტვში. აკუპუნქტურის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ მათ არც ერთ პროცედურას მსგავსი შედეგი არ უნდა გამოეწვია.

რო დე უ სამხრეთ კორეის პრეზიდენტი 1988-დან 1993 წლამდე იყო. 2002 წელს მას პროსტატის კიბოს ოპერაცია გაუკეთეს.

ასეთივე უცნაური შემთხვევა დაფიქსირდა ჩინეთში, სადაც ექიმებმა პაციენტს კუჭიდან თითქმის 30 წლის წინ გადაყლაპული ხის ჩხირის ნატეხი ამოუღეს.

პაციენტი სახელად ვანი კლინიკაში კუჭის მწვავე ტკივილის ჩივილებით მოხვდა. ექიმებმა იგი გამოიკვლიეს და ტკივილის მიზეზი დაადგინეს — კუჭში მას ერთჯერადი ხის საჭმელი ჩხირის ნატეხი აღმოუჩინეს.

პაციენტმა მოგვიანებით აღიარა, რომ 28 წლის წინ ძლიერი სტრესის დროს ჩხირის ნახევარი თავად გადაყლაპა.

როგორც ექიმებმა დაადგინეს, ჩხირმა კუჭის კედლები სერიოზულად დააზიანა და მამაკაცის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ოპერაციამ რამდენიმე საათი გასტანა, ამჟამად პაციენტი თავს კარგად გრძნობს. თავად მამაკაცის თქმით, 30 წლის განმავლობაში ჩხირი მას არ აწუხებდა, ექიმს კი ოპერაციის შიშის გამო არ მიმართა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ავტორთა საზოგადოება ახალ თავმჯდომარეს ელოდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გავიდა 11 წელი და დღემდე არანაირი საავტორო უფლება არ ყოფილა დაცული. სწორედ 11 წლის წინ ამოქმედდა მეორედ საავტორო უფლებების დაცვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ვინც ამ სფეროს იცნობს და ჩახედულია, მინიმალური დახმარებაც კი არავის მიუღია.

***— ეს ხელოვანის დახმარებაა?***

— რა თქმა უნდა, არა. ეს არის ოფიციალური ჰონორარი, რომელიც უნდა გადაეცეს როგორც სიმღერის, ასევე ტექსტის ავტორს. ჩვენ ვსაუბრობთ საესტრადო მიმართულებაზე, თორემ ამ ორგანიზაციაში არიან მხატვრები, მწერლები, სტამბები, კინო, თეატრი, ვინც ავტორებად ითვლებიან — სცენარის ავტორი, ლიბრეტოს ავტორი, ბევრი სფეროა გაერთიანებული. ჩვენი სფერო ყველაზე კარგად ვიცი, ყურმოკვრით გამიგია სხვა სფეროების წარმომადგენლებისგან უკმაყოფილო გამოძახილები.

***— რატომ არის ეს პრობლემა მოუგვარებელი?***

— ნამდვილად არ შემიძლია ვინმეს დავადო ხელი, განა იმიტომ, რომ ვიცი და არ ვამბობ, უბრალოდ ფაქტები არ მაქვს. თვითონ კანონში, რომელიც ჩამოყალიბდა და ითვლებოდა, ვითომ საავტორო უფლებების დამცავ კანონად, არ იყო ჩადებული მთავარი — თუ მოპირისპირე მხარე მას წინაამდეგობას გაუწევდა, ის სოლიდური თანხით დაჯარიმებულიყო.

***— რეალურად შესაძლებელია რესტორნიდან ფულის ამოღება?***

— მარტო რესტორნები და კაფეები ხომ არ არის? არსებობს ტელევიზიები, რადიოები, ჯეოსელი, მაგთი, რომლებიც ზარებად იყენებენ ამა თუ იმ მელოდიებს. ეს ყველაფერი ხომ ვიღაცის შრომაა? ამ დაწესებულებებსა და ორგანიზაცას შორის მიდის დაპირისპირება და ჭიდაობა. ამ ჭიდაობაში გავიდა 11 წელი.

***— როგორც უნდა ამოიღოთ კუთვნილი ჰონორარი?***

— ამ კანონში ყველაზე მკაფიოდ უნდა ეწეროს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი — იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება აღნიშნული თანხის გადარიცხვა შესაბამის პირებზე, ურჩი გადამხდელი დაჯირიმდება საკმაოდ სოლიდური თანხით, ან მასზე აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე და განხილვა მოხდება სასამართლოში. თუკი მას ეცოდინება, რომ აუცილებლად წააგებს საქმეს, მაშინ აუცილებლად გადაიხდის. ბევრს უთქვამს, ელგუჯა შაფათავას მხრიდან ვითხოვდით დოკუმენტებს და იმის დამტკიცებას, რომ ჩვენ მიერ გადმორიცხული თანხა ნამდვილად იმ ავტორებს გადაეცემათ, ვინც თქვენთან არის გაწევრიანებული, ის კი არანაირ დოკუმენტებს არ გვაჩვენებდაო. ეტყობა მათ ნდობა არ ჰქონდათ და ეგონათ, რომ შაფათავა მათ ატყუებდა.

***— ხელოვანების ჩარევა არ არის აუცილებელი?***

— ძალიან ძნელია ამ ყველაფერში ჩარევა და გაკონტროლება. ეს არის სამსახური, რომელიც გადის მსგავს ობიექტებზე, აკონტროლებენ ყველა იმ დაწესებულებას, სადაც ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება ხდება. ისინი პროფესიით უნდა იყვნენ იურისტები, რომლებიც კოდექსებში კარგად ერკვევიან და იურიდიული ენით უნდა აუხსნან, რომ ყველა ვალდებულია გადაიხადოს ჰონორარი იმ ავტორისთვის, რომლის სიმღერებიც მის დაწესებულებაში სრულდება.

***— ელგუჯა შაფათავას გადადგომა რამდენად გამართლებულია?***

— შეიძლება კარგია, რომ შაფათავა გადააყენეს, ბევრი კმაყოფილი დარჩებოდა ამ ნაბიჯით, მაგრამ გადაყენებაც და დანიშვნაც ხდება ოფიციალურად.



***— მან განაცხადა, რომ ის არავის გადაუყენებია და თავად დატოვა თანამდებობა.***

— თუკი 11 წლის შემდეგ მიხვდა იმას, რომ ვერ აკეთებდა საქმეს, კარგი ნაბიჯი გადაუდგამს. ნებისმიერი ხელმძღვანელის მოყვანა და გაშვებაც ავტორთა ხმათა უმრავლესობით ხდება. ყველას გაგვიხარდება, თუკი სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება.

***— თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?***

— ნამდვილად მეტი სიმკაცრეა საჭირო. არ შეიძლება ზედაპირულად შევხედოთ ამ სამსახურს და მის მუშაობას. მთავარია მათ იცოდნენ ავტორის სატკივარი.

***— ამ საზოგადოებისგან რაიმე ჰონორარი მიგიღიათ?***

— ამას წინათ ვკითხე ამ ორგანიზაციის წარმომადგენელს, რაიმე თანხა ხომ არ არის ჩემს გვარზე დარიცხული-მეთქი და იცით რამდენი მითხრა? 30 ლარიო. 11 წლის განმავლობაში 1000 ლარზე მეტი მოგროვილი არ მაქვს. შეიძლება 100 ლარით ვცდებოდე. ეს არის ჩემი შემოქმედების გათელვა და თავზე დაფურთხება. ეს არის ის სამსახური, რომელიც 11 წელი ჩემს უფლებებს იცავდა? ჩვენ ისეთი ხელმძღვანელი გვჭირდება, რომელიც მთლიანად ამოაპირქვავებს ყველაფერს და კანონს უმაღლეს დონეზე აიყვანს. ეს სამსახური შეიძლება 2 წლის შემდეგ აღარც კი დამჭირდეს. ვინ აინაზღაურებს 11 წლის დანაკარგს? შაფათავას მივადგე? ბუნებით ინტრიგანი არ ვარ და რა ვქნა? ყველაზე მეტად იმ პერიოდში იყო ჩემი სიმღერები მოდაში, როცა მათი დაცვის კუთხით არაფერი გაკეთებულა. კომუნისტების პერიოდში ერთ თვეში 7 ათასი მანეთი ავიღე. შედარებას რომ ვაკეთებ, ხმამაღლა ვამბობ, ის პერიოდი მერჩივნა ამ პერიოდს, უნდათ ჩამქოლონ და უნდათ მლანძღონ. ეს ორგანიზაცია მილიონებს უნდა აგროვებდეს. თან შაფათავას ნათქვამი აქვს, რომ მსოფლიოს 80 ქვეყანასთან მაქვს ხელშეკრულებები გაფორმებულიო.

**ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი:**

— ეს ის საკითხია, რომელიც ნამდვილად მოსაგვარებელია. ელგუჯა შაფათავას ნამდვილად არ ჰქონდა ეს სფერო აწყობილი, იყო ბევრი ხარვეზი. რაღა დაგიმალოთ და ის საქმეს ვერ აკეთებდა ისე, როგორც საჭირო იყო. ნახევარ წელიწადში დაახლოებით 200 ლარს მიხდიდნენ. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ელგუჯა დაკისრებულ მოვალეობას 3-იანზე ასრულებდა. მისი წასვლის შემდეგ შეიკრიბება კომისია, რომელიც გადაწყვეტს, ვინ მოვა მის ადგილზე.

***— მიგაჩნიათ, რომ ეს პრობლემა მოგვარებადია?***

— რა თქმა უნდა. კანონმა უნდა იკანონოს და ყველა დაემორჩილოს კანონს. მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. ადრე ძალიან მოწესრიგებული იყო ეს საქმე. რაც საქართველოს გარეთ იყო, იმას მოსკოვი აკონტროლებდა. უცხოეთში ჩეკებს ვიღებდით, თუ მიხვიდოდი თვის ბოლოს, საკმაოდ სოლიდური თანხა გხვდებოდა. მართალია პროცენტები გვერიცხებოდა, მაგრამ ცოტა თანხა ნამდვილად არ გამოდიოდა.

***— გყავთ თქვენი კანდიდატურა?***

— როგორც ვიცი, ერთი კანდიდატურა „საქპატენტმა“ უკვე დაასახელა. დანარჩენმა მსურველებმაც წარმოგვიდგინონ პროექტები და საუკეთესოს ავირჩევთ. მარტო რომ ილაპარაკონ და საქმე არ გააკეთონ, ასე არ გამოვა.

***— იმისთვის, რომ ყველაფერი გამოსწორდეს, თქვენც ხომ უნდა იაქტიუროთ?***

— რა თქმა უნდა, ჩვენ გავაკონტროლებთ ყველაფერს. ჩვენ დიდი შრომა გვაქვს. ადრე სხვა ცხოვრება იყო, ახლა სხვა წყობაა. შევეცადოთ ყველა ერთად, რომ ჩვენი შრომა დაფასდეს.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სამხრეთ კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 2. შამფურზე შემწვარი ხორცი; 3. ეპიკური პოემა „ილიადას“ ავტორი; 4. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 6. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირი; 8. დოსტოევსკის რომანი; 11. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 12. ქართული რადიო; 16. ბოჭკოვანი ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურა; 17. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 18. კლოუნის მიერ შესრულებული ყალბი, ხმაურიანი სილა ცირკში.

**თარაზულად:** 1. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 5. წნული მეგრული ქოხი; 7. ღვინის შემრჩევი კლიენტთათვის მაღალი კლასის რესტორანში; 9. ცხვრის საკრეჭი დიდი მაკრატელი; 10. რაიმე მოვლენის პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა; 13. ჰოლანდიის კუნძული ჩრდილოეთის ზღვაში; 14. ფრანგი კინორეჟისორი; 15. ჩეხური მოტოციკლეტი; 19. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 20. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ქართული მინერალური წყალი; 22. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა.

*შეადგინა თ. კობალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 2. ოჯალეში; 3. აპატრიდი; 4. ობივატელი; 5. ლანჩი; 6. ერზაცი; 8. ბრინზა; 11. გუდრონი; 14. ონომასტიკა; 15. ბირთვისი; 16. ალტერაცია; 17. ფაგოტი; 19. ოსტერია; 21. ხიხვი; 22. შნეკი.

**თარაზულად:** 1. ბოტაფოგო; 5. ლილე; 7. საბენა; 9. მაჭავარიანი; 10. ზუგდიდი; 12. აციდოზი; 13. გრეგორი; 16. ამნერისი; 17. ფიჯი; 18. ბონზა; 20. სკალპელი; 22. შტილი; 23. რეესტრი; 24. ცაგერი; 25. ვისკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. მწვადი; 3. ჰომეროსი; 4. ფიგარო; 6. ხულიგანი; 8. იდიოტი; 11. ბეისბოლი; 12. ნაცნობი; 16. ბამბა; 17. თაობა; 18. აპჩი.

**თარაზულად:** 1. ჰეტმანი; 5. ფაცხა; 7. სომელიე; 9. დუქარდი; 10. ფაქტორი; 13. ტექსელი; 14. ბესონი; 15. იავა; 19. ანორაკი; 20. მარჩიბი; 21. ნაბეღლავი; 22. შიიზმი.

# უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე სამსახურში აღდგენას ვერ შეძლებს

სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულმა მოხელემ, სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, შესაძლოა სამსახურში აღდგენა მაინც ვერ შეძლოს. შესაბამისი ცვლილება „საჯარო სამსახურის“ შესახებ კანონში შედის.

კანონპროექტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს გათავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ.

ამ შემთხვევაში მოხელეს, მოთხოვნილი განაცდური ხელფასი, სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში აუნაზღაურდება, თუ დაწესებულების მიერ მოხელე აღდგენილი იქნება სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

— კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს დაწესებულების მიერ მოხელის სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურების იმგვარად ჩამოყალიბება, რომ სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე (გადაყვანაზე) გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობამ არ გამოიწვიოს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენა, თუ ამავე სასამართლო გადაწყვეტილებით დაწესებულება ვალდებულია გამოსცეს ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება,— აღნიშნულია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

როგორც საპარლამენტო კომიტეტებზე ამ საკითხის განხილვისას ითქვა, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ისეთ ფაქტთან, როდესაც საჯარო სამსახურში „უკანონოდ“ გათავისუფლებული პირის ნაცვლად, უკვე აყვანილია სხვა პირი.

კანონპროექტის ავტორი იუსტიციის სამინისტროა. პარლამენტი პროექტს ხვალ მეორე მოსმენით განიხილავს.

**ინტერპრესნიუსი**

# იულონ გაგოშიძემ ქარელში საჯარო ლექცია წაიკითხა

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოწვევით ისტორიკოსმა და არქეოლოგმა, აკადემიკოსმა იულონ გაგოშიძემ დღეს ქარელში საჯარო ლექცია წაიკითხა, რომლის მიზანი რაიონის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაცნობა იყო.

ლექციაზე ნაჩვენები იყო ფილმი, სადაც საუბარია ქართლის ამ მონაკვეთში შესწავლილი უძველესი არქეოლოგიური მასალის შესახებ. კერძოდ, საუბარი იყო ტახტიძირის, ურბნისის, რუისისა და სხვა სოფლების ტერიტორიაზე განხორციელებული გათხრების შედეგებზე.

— ქართლის ამ ტერიტორიის შესწავლა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 50-იან წლებიდან დაიწყეს მეცნიერებმა. ეს კვლევები დღემდე გრძელდება, თუმცა შესასწავლი და გამოსაკვლევი კიდევ უამრავია. ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 11 ათასზე მეტი უძველესი ექსპონატია აღმოჩენილი, რომელიც ეროვნულ მუზეუმში ინახება. ძალიან მიხარია, რომ დღეს საშუალება მაქვს, ეს ყველაფერი ქარელის მოსახლეობას პირადად წარვუდგინო, — აღნიშნა მან.

**ინტერპრესნიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე გურამ კობიაშვილი, შვილები ვეფხია, ლიკა კობიაშვილები, რძალი ხათუნა მაისაშვილი, სიძე იაგო მაჩხანელი, შვილიშვილები მარიამ, დოდო, გურამ კობიაშვილები, გიორგი მაჩხანელი იუწყებიან

**ლუდა ჩქარეულის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: ხუთშაბათსა და პარასკევს, 17 საათზე.

დაკრძალვა: შაბათს, 15 საათზე.

გამოსვენება: წმ. ნინოს სახელობის საბურთალოს ეკლესიიდან.

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი 14ა.

---

გელა და ხათუნა ყიფიანები თანაუგრძნობენ მეგობარს, მარინა ქურდაძეს მეუღლის

**მამუკა ჯიქიას**

გარდაცვალების გამო.

---

ფრიდონ ინჯია თავისი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავს ბატონი მამუკა დანელიას ქალიშვილის, ყველასათვის უსაყვარლესი

**ნინო დანელიას**

გარდაცვალების გამო.

მთელი გულითა და სულით თანავუგრძნობთ ბატონი მამუკას ოჯახს, მათ სანათესაოსა და პატარა ნინოს ყველა მეგობარსა და ახლობელს.

დღეს თქვენთან ერთად მთელი მარტვილი წუხს და განიცდის ამ უდიდეს სევდასა და ტკივილს.

---

მარტვილის საფეხბურთო კლუბი „მერანი“ მწუხარებას გამოთქვამს ქ.მარტვილის გამგებლის, ბატონი მამუკა დანელიას ქალიშვილის

**ნინო დანელიას**

გარდაცვალების გამო.

უფალმა მოხედოს და შეეწიოს მის ახალგაზრდა, ლამაზ სულს და ცათა სასუფეველში დაუმკვიდროს მას მარადიული განსასვენებელი.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# „ჩვენ თვითონ“ ხელისუფლებას გაერო-ს კონვენციის რატიფიცირებისკენ მოუწოდებს

„ჩვენ თვითონ“ მოუწოდებს ხელისუფლებას, რატიფიცირება გაუკეთოს გაერო-ს კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ.



როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ხოკერაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის მხრივ, საქართველოს კანონმდებლობაში სერიოზული ხარვეზები და აქედან გამომდინარე საგანგაშო მდგომარეობაა.

მისი თქმით, პრობლემა დაუყოვნებლივ მოგვარებას საჭიროებს, ვინაიდან სახელმწიფოს ვალდებულება აქვს აღებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ, რაც ხელმოწერითაც არის დადასტურებული.

— შეგახსენებთ, რომ საქართველოს წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ალექსანდრე ლომაიამ გაერო-ს კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ და მის დამატებით ოქმს ხელი ჯერ კიდევ 2009 წლის 10 ივლისს მოაწერა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმოწერიდან წელიწადნახევარზე მეტი გავიდა, საქართველო კონვენციის რატიფიცირებას არ ახდენს. მეტიც, საქართველოს პრეზიდენტს დოკუმენტი პარლამენტში დღემდე არ გადაუგზავნია, — აღნიშნა მან.

ხოკერაშვილის განცხადებით, აღნიშნულმა კონვენციამ შექმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმი, რაც აქამდე არ არსებობდა. კონვენციის თანახმად, გაერო-ში ჩამოყალიბდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, რომელიც განიხილავს მხარე სახელმწიფოების ანგარიშებს, აგრეთვე კოლექტიურ და ინდივიდუალურ სარჩელებს სახელმწიფოების წინააღმდეგ. კონვენცია ასევე ითვალისწინებს სახელმწიფოზე ზეწოლის ბევრ ეფექტურ საშუალებას — სახელმწიფოთა პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხიმგებლობით.

როგორც პარტიაში აცხადებენ, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ხელს აწერს გაერო-ს კონვენციას და არ ახდენს მის რატიფიცირებას, მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს მთავრობას კატეგორიულად არ სურს ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმის დანერგვა.

— მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს და მოვუწოდებთ მას, რატიფიცირებისთვის გადაუგზავნოს პარლამენტს გაერო-ს მიერ მიღებული კონვენციის დოკუმენტი, რომელზეც ჩვენს სახელმწიფოს ხელი აქვს მოწერილი. ამ დოკუმენტის რატიფიცირება საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების გარანტირებულ დაცვას უზრუნველყოფს, — განაცხადა ხოკერაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ევროკავშირი საქართველოს ციხეებში არსებულ მდგომარეობას ყურადღებით დააკვირდება

ევროკავშირი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებულ მდგომარეობას და ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ ვითარებას მეტი ყურადღებით დააკვირდება.



ამის შესახებ ნათქვამია ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის წერილში, რომელიც მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა და საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის მედიაომბუდსმენმა, ირმა ინაშვილმა ევროკავშირში 28 მარტს გაგზავნილი წერილის საპასუხოდ მიიღო.

ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი რიინა კიონკა წერილში ირმა ინაშვილს ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის, კეტრინ ეშტონის სახელით, მადლობას უხდის საქართველს პენიტენციურ სისტემაში არსებულ მდგომარეობისთვის ყურადღების დათმობისა და ამ პრობლემის წარმოჩენისკენ მიმართულ ღონისძიებებისთვის. მათ შორის ფართომასშტაბური ამნისტიის მოთხოვნით გამართული საპროტესტო აქციებისთვის.

რიინა კიონკა აღნიშნავს, რომ ევროკავშირში აღრიცხვაზე აიყვანენ გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ატარებს საკმარის ღონისძიებებს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. გარდა ამისა, ევროკავშირი გააგრძელებს მონიტორინგს როგორ ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება სამოქმედო გეგმას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, დემოკრატიული მართვის ხელშემწყობი ზომების მიღებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებით. კერძოდ, პატიმართა მდგომარეობის, ისევე როგორც შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზების უფლების კუთხით. რიინა კიონკას განცხადებით ეს თემები ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებათა შესახებ დიალოგის ფარგლებში განიხილება, რომლის სამი რაუნდიც უკვე შედგა. „ჩვენ აღრიცხვაზე ავიყვანეთ თქვენი კრიტიკული მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ატარებს საკმარის ღონისძიებებს თქვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ნება მიბოძეთ, დაგარწმუნოთ, რომ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის თემა ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობაში პრიორიტეტულად რჩება, — აცხადებს რიინა კიონკა.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისსა და ბუდაპეშტს შორის მემორანდუმი გაფორმდა

დედაქალაქის მერიაში გუშინ, თბილისსა და ბუდაპეშტს შორის მემორანდუმი გაფორმდა. თბილისსა და ბუდაპეშტს შორის დაძმობილების შესახებ მემორანდუმს ხელი თბილისის მერმა გიგი უგულავამ და ბუდაპეშტის მერმა იშტვან ტარლოშმა მოაწერეს.

მემორანდუმის თანახმად, თბილისისა და ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში განვითარდება. ორი ქალაქი უზრუნველყოფს ერთმანეთს შორის ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას შემდეგ სფეროებში: ადგილობრივი თვითმმართველობა, ქალაქის მართვა და საჯარო სამსახური, ურბანული დაგეგმარება და განვითარება, გარემოსა და ბუნების დაცვა, განათლება, კულტურა და ჯანდაცვა, ახალგაზრდებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა. გარდა ამისა, ორი ქალაქის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შორის კომერციული და საქმიანი ურთიერთობები ჩამოყალიბდება.

თბილისში სტუმრად მყოფი ბუდაპეშტის მერი იშტვან ტარლოში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მეხუთე საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობს. ფორუმის ფარგლებში ბუდაპეშტის მერი ერთ-ერთ სესიაზე მოხსენებით წარსდგა, რომელიც მიწისქვეშა ურბანულ განვითარებას ეხებოდა.

იშტვან ტარლოშმა დღესვე თბილისის მერ გიგი უგულავასთან ერთად გვირგვინით შეამკო უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ქანდაკება და ასევე ვარკეთილში ახალი პოლიციის განყოფილების გახსნას დაესწრო.

**ინტერპრესნიუსი**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 5 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** **კალათბურთი**. საქ. ჩემპიონატის მეოთხედფინალი. სოხუმი-შსს **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 03.20** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სერ. **"ზიანი"** (12) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"მარტოხელა თეთრი ქალი"** (18) (ბ. ფონდა) **04.20** მხ. ფილმი **"პროფესია – რეპორტიორი"** (12) (ჯ. ნიკოლსონი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"ჩემი სიკვდილის შემდეგ"** **01.00** მხ. ფილმი **"პირველი რაინდი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ნიჭიერი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მორჩენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოქ-ტო **00.00** მხ. ფილმი **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "საოცარი მითები და ლეგენდები" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.20** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** **შეგირდი** **23.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.00** მხ. ფილმი **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) **03.10** მხ. ფ. **"კერკეტი კაკალი"** (12) (ბ. უილისი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"დიდი გასეირნება"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** დოკ. ფილმი "ხილული სასწაულები" **11.05** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** **13.35** კონცერტი – ქართული ხმები და ანს. "ბათუმი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფ. **"ბაში აჩუკი"** **17.00** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.30** "განთიადის" არქივიდან **18.05** საღვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ.ფ.**"ხევისბერი გოჩა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.15** მოკლემ. ფილმი **"ოჯახი"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ფოლკლორში" **00.35** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.00** მხ. ფილმი **"კეთილი ადამიანები"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**5 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6447
ევრო —2,3896
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6943
რუსული რუბლი — 0,0584

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 11-14
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-23, ღამით — 12-15
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 14-1§, ღამით — 5-6

## ამინდის პროგნოზი 5 მაისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

**WWW.PHERDI.GE** ☎ **95-90-60**

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ქართულ ფეხბურთს სერგო კოტრიკაძე აღარ ჰყავს



ქართულმა საფეხბურთო სამყარომ მძიმე დანაკლისი განიცადა.1964 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გუნდის, თბილისის „დინამოს" ლეგენდარული მეკარე სერგო კოტრიკაძე 3 მაისს, შვედეთის ქალაქ სტოკჰოლმში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

ბატონი სერგო საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრი იყო და გუნდს „ლენარტ იოჰანსონის თასი 2011"-ის გათამაშებაზე ახლდა.

თავისი კარიერის მანძილზე კოტრიკაძე თბილისის „დინამოსა" (241 მატჩი) და ქუთაისის „ტორპედოში" (20) თამაშობდა. დინამოელთა შემადგენლობაში 1964 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1962 წელს დაასახელეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარედ, ხოლო 1969 წელს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნათამაშევი აქვს 2 მატჩი. დებიუტი 1963 წლის 22 ივლისს ჰქონდა ფინეთის ნაკრებთან, რომელიც სსრკ-მ 7:0 მოიგო. მისი მეორე თამაშიც ფინეთის ნაკრებთან შედგა — 4:0.

კოტრიკაძე საბჭოთა ნაკრებს 1962 წელს ჩილეში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ახლდა, მაგრამ მაშინ არც ერთი მატჩი არ უთამაშია.

**მ. ქ.**

## ასტროპროგნოზი 5 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ოპტიმისტური დღეა

**ვერძი** — ეს დღე მნიშვნელოვან საქმეებს დაუთმეთ, აუცილებლად გაგიმართლებთ. **კურო** — ფულს შოულობთ, წინსვლა გელით. **ტყუპები** — მშვენიერი დღეა, საქმეს კეთილად დააგვირგვინებთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც ბოლომდე მიიყვანთ. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს ამის დრო არ არის. **სასწორი** — თქვენი ოპონენტები გააქტიურდებიან, მზად იყავით. **მორიელი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **თხის რქა** — სიურპრიზს მოგიმზადებენ, გახარებული ხართ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## რას მეტყველებს თქვენი ხელწერა? ტესტი



***1. ასოების ზომა:***
ა. ძალიან პატარა (3), ბ. პატარა (7), გ. საშუალო (17), დ. მსხვილი (2).

***2. ასოების დახრა:***
ა. მარცხნივ (2), ბ. ოდნავ მარცხნივ (5), გ. მარჯვნივ (14), დ. მკვეთრად მარჯვნივ (0), ე. პირდაპირ (5).

***3. ასოების ფორმა:***
ა. მომრგვალებული (9), ბ. უფორმო (19), გ. კუთხოვანი (19).

***4. სტრიქონების დახრა:***
ა. ზემოთ (16), ბ. პირდაპირი სტრიქონები (12), გ. ქვემოთ (1).

***5. ინტენსიურობა და კალმის დაწოლის ძალა:***
ა. მსუბუქი (8), გ. საშუალო (15), დ. ძალიან ძლიერი (2).

***6. წერის მანერა:***
ა. გადაბმული ასოები (11), ბ. განცალკევებული ასოები (18), გ. შერეული (15).

***7. ზოგადი შეფასება:***
ა. აკურატული (13), ბ. ზოგი ასო იკითხება, ზოგი არა (9), გ. გაურკვეველი (4).

**პასუხები**

**45 ქულაზე ნაკლები:** ავადმყოფი ან ძალიან ხანდაზმული ადამიანების ხელწერა.

**45-55 ქულა:** გაუბედავი, პასიური, ფლეგმატური ადამიანი.

**55-75 ქულა:** გაუბედავი, რბილი, დახვეწილი მანერების მქონე ადამიანი.

**75-85 ქულა:** პირდაპირი, გულახდილი, საკუთარი ღირსების შეგრძნების მქონე ადამიანი.

**85-95 ქულა:** პირდაპირი და კეთილსინდისიერი ადამიანი მდგრადი ფსიქიკით.

**95-105 ქულა:** ინდივიდუალისტი, ფეთქებადი ხასიათის, სხვაზე დამოკიდებული, ნიჭიერი ადამიანის ხელწერა.

**105-ზე მეტი:** უპასუხისმგებლო ადამიანი ზოგჯერ არადისციპლინირებული, უხეში.

**გ. თ.**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 4. პირადი წვრილმანი ინტერესებით მცხოვრები ადამიანი; 5. შუადღის საუზმე აშშ-ში; 6. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 8. განსაკუთრებული წესით დამზადებული ცხვრის ყველი; 11. საგზაო მშენებლობაში გამოყენებული ფისი; 14. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 15. ისტორიული ციხესიმაგრე ალგეთის ხეობაში; 16. მუსიკალური ბგერის ამაღლება ან დადაბლება; 17. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. პატარა სასაუზმე იტალიაში; 21. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 22. ხრახნული კონვეირი.

**თარაზულად:** 1. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. მზის სადიდებელი სვანური სიმღერა; 7. ბელგიური ავიაკომპანია; 9. ქართველი პოეტი რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. ქალაქი სამეგრელოში; 12. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლსა და ორგანიზმის ქსოვილებში; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 16. ოპერა „აიდას" პერსონაჟი; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 18. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 20. პატარა ქირურგიული დანა; 22. წყნარი, უქარო ამინდი ზღვის სანაპიროზე; 23. დოკუმენტების სარეგისტრაციო დავთარი; 24. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში; 25. ბრიტანული არაყი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*





# ყურადღება!

## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა 100 წიგნის პირველი ტომის, განდის, შეძენა!

"ახალი თაობის" 9 მაისის ნომრიდან ისევ გაიყიდება განდის ავტობიოგრაფია, იგივე ფასად:

**გაზეთი + წიგნი = 8 ლარი**






ლურჯი წითელი ყვითელი შავი